619
1996



ინტერვიუ ნატო ონიანთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის პასტერნაკი —
ლ. პ. ბერიას

ერთი ნაბიჯი კაენამდე

სტალინი და ესპანეთის ოქრო

დროშა

№ 7–9.

1996.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ახალგაზრდობის „მშვიდობისათვის კავკასიაში“ შეხვედრა ბათუმში



სამების ეკლესიის საფუძვლის ჩაყრა თაბორის მთაზე



საკონსტიტუციო სასამართლოს ფიცის მიღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმინდა თარიღები



# მარიამობა

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მარადქალწული მარიამი იესო ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა წმიდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველთან. მისი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულის შესახებ მას სამი დღით ადრე აცნობა მთავარანგელოზმა გაბრიელმა. ღვთისმშობლის სურვილით, ღმერთის ძალითა და სასწაულით, მაშინ იერუსალიმში შეიკრიბა ყველა წმიდა მოციქული, თომას გარდა.

სიკვდილის წინ ოთახი, სადაც დედაღვთისა იმყოფებოდა, გააბრწყინა უჩვეულო ნათელმა, თვითონ უფალი იესო ქრისტე გამოცხადდა და წაიყვანა მისი უწმიდესი სული, ხოლო სხეული მისი დაასაფლავეს მოციქულებმა სამარხში, სადაც განისვენებდნენ წმიდა მარიამის მშობლები და მართალი იოსები.

სამი დღის შემდეგ მოვიდა მოციქული თომა და მოისურვა თაყვანი ეცა ღვთისმშობლის ცხედრისათვის, მაგრამ როდესაც გახსნეს სამარხი, იქ სხეული აღარ იყო.

მოულოდნელად მათ გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „გიხაროდეთ, მე მუდამ ვიქნები თქვენთან თქვენთვის მლოცველი ღმერთის წინაშე“.

„მოწყალების კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი შენ გესავთ არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინაალმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა“.

№ 7–9 1996 (686)

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

## შინაარსი

ლამარა გაგუა. აფხაზეთი ჩვენი ტკივილი.

ჩვენ ძლიერი და იმედიანი საქართველოსკენ მივდივართ. ინტერვიუ ნატო ონიანთან.

ლელა კალანდარიშვილი. მადლი სიკეთისა.

ვასილ გვეტაძე. ოთარ ჭილაძე.

ნოდარ დუმბაძე. დედა (მოთხრობა).

ბაჩანა ბრეგვაძე. მარკუს ავრელიუსი

ერთი ნაბიჯი კაენამდე (თარგმანი).

თამაზ ნატროშვილი. ბორის პასტერნაკი – ლავრენტი ბერიას.

შოთა შავგულიძე. გვიან გადაშლილი ვორკუტის დღიურები.

გიორგი გოგოლაშვილი. ფიქრები დედაენის შესახებ.

დინო ბულატი. კოლომბრე.

მამუკა ცეცხლაძე. რანუ, რანუნ' აინა.

ალექსანდრე ორლოვი. სტალინი და ესპანეთის ოქრო.

პანორამა, კროსვორდი, იუმორი

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი—თავმჯდომარე,

გულნარა ბახტაძე—პასუხისმგებელი რედაქტორი, ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნაპოლეონ ქარქაშაძე — საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი, რამოდენიმე საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1975—1990 წლებში მუშაობდა აფხაზეთში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად, იყო აფხაზეთის რუსთაველის საზოგადოების შემქმნელი და პირველი პრეზიდენტი, აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოს თავმჯდომარე.**

**აფხაზეთსა და მის პრობლემებზე ნაპოლეონ ქარქაშაძეს ესაუბრა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ლამარა გაგუა.**

**— თქვენ აფხაზეთში მუშაობდით 1975 წლიდან, მომსწრე ხართ 1978-79 და 1989-90 წლების მოვლენებისა, რამ გამოიწვია შეურიგებლობისა და დაპირისპირების ასეთი ტალღა, რაში ხედავთ მიზეზებს?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ქართველები და აფხაზები ოდითგანვე რომ ერთ მიწა-წყალზე ვცხოვრობდით, ეს ისტორიული ფაქტია. ვის ეკუთვნოდა იგი? ცხადია იმას, ვისი მატერიალური კულტურის ძეგლებიცაა აღმოჩენილი ამ ტერიტორიაზე. ვერ ნახავთ აფხაზეთში ისტორიულ ძეგლს, ქართველის აშენებული და ნახელავი რომ არ იყოს. ჩვენ რომ იქ აბორიგენი ერი ვართ, ეს სადავო ძველი ბერძნებისთვისაც არ ყოფილა. გასარკვევია, როდის ჩამოსახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან აბაზინები (ცხოვრობს იქ ასეთი ხალხი), რომელთა ენაც თითქმის არ განსხვავდება აფხაზურისაგან. ცნობილი აფხაზი მეცნიერის, აკადემიკოს ზურაბ ანჩაბაძისაგან გამიგია, რომ ჩრდილოეთიდან მათი ჩამოსახლება დაიწყო XII საუკუნეში, ხოლო ინტენსიური ხასიათი მიიღო XVI საუკუნეში. დააკვირდით, მთებში მაცხოვრებელი აფხაზები სახლობენ ჩრდილოეთიდან გადმომავალი უღელტეხილების მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქართველებისა და აფხაზების „გათიშვა“ დაიწყო მას შემდეგ, რაც მათმა მთავარმა იდეოლოგმა და მწერლობაში კლასიკოსად წოდებულმა დიმიტრი გულიამ, წარმოშობით აბაშელმა კაცმა (დააკვირდით გვარიც ქართული წარმოშობისაა), ქართული შრიფტი შეცვალა რუსულით. სწორედ აქედან იღებს სათავეს მომდევნო თაობების გარუსება. აფხაზმა ახალგაზრდობამ მასიურად მიაშურა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს, თვით სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის აფხაზურ ჯგუფებშიც კი სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ყოველივე ამან, ისინი საბოლოოდ მოწყვიტა ქართულ გარემოს.

1948 წლიდან პერმანენტულად იწყება ე. წ. აფხაზური პრობლემის ხელოვნური გამწვავება. ყოველ 8—10 წელიწადში ერთხელ, იგი კულმინაციას აღწევს. განსაკუთრებით გააქტიურდნენ აფხაზი სეპარატისტები ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, რომელიც ხშირად ისვენებდა ლიძავაში და აფხაზებს, ცხადია, არ გაუჭირდებოდათ ამ შეზღუდული გონების ადამიანის „დაბმა“.

მე კარგად მახსოვს 1978-79 წლების მოვლენები. მაშინ ე. წ. ბრეჟნევის კონსტიტუციას „ვიწონებდით“. აფხაზებმა წამოაყენეს თეზისი — დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების, ან რუსეთთან შეერთების შესახებ. მახსოვს, თითქმის ყოველდღე იმართებოდა პარტიის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომები, რომლებშიაც პერიოდულად მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს, ისე სსრ კავშირის მაღალი თანამდებობის პირები, მდგომარეობა ძალიან დაიძაბა, აფხაზებმა მთავრობის სახლის წინა მოედანი სადღეღამისოდ დაიკავეს და სულ უფრო და უფრო ამწვავებდნენ სიტუაციას.

ერთხელ სხდომიდან პირდაპირ ტელეფონთან გამომიძახეს და ბატონ ე. შევარდნაძის დავალებით ცკ ერთი მდივანი მელაპარაკა. საინტერესო სატელეფონო საუბარი ასეთი შინაარსის იყო: „ნაპოლეონ, შეძლებ ხვალ 10 საათისათვის მოედანზე სუბტროპიკული ინსტიტუტის პროფესორ-თანამშრომლებისა და სტუდენტების გამოყვანას? — ვუპასუხე, რომ შევძლებდი, „ხვალ ხელმძღვანელები ჩამოვლენ როგორც მოსკოვიდან, ისე თბილისიდან. ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“, დანარჩენს მე თავად მივხვდი: წყდებოდა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა-არყოფნის ბედი. ინსტიტუტის მთელი კოლექტივი დაირაზმა, ზუგდიდიდან ქართული სასულე ორკესტრი გამოვიძახეთ, დილის 3 საათზე დავიძარით კელასურიდან ხუთი ათას კაცამდე, საკმაოდ დიდი მანძილი — 12 კილომეტრი ქართული მარშების ჰანგზე გავიარეთ, გზაში ქართველი მოსახლეობა გვიერთდებოდა და სანამ მოედანზე მივედით, უკვე 30—35 ათასი ვიყავით, დაფრთხნენ აფხაზები და მოედანი მთლიანად ქართველებით აივსო. ტრიბუნაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელები ბატონ ე. შევარდნაძის მეთაურობით და მოსკოვიდან ჩამოსული ჩინოსნები იყვნენ. კონსტიტუციის პროექტი „მოვიწონეთ“, რომელშიც აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა. ამჯერად გადავრჩით. თუმცა დასაშოშმინებლად აფხაზებს გაუხსნეს ტელევიზია, უნივერსიტეტი, დაიწყეს შემოვლითი გზის მშენებლობა და ა. შ. მე ვთვლი, რომ ეს იყო აუცილებელი, ე. წ. გონივრული კომპრომისი, რომლის შემდეგაც სიმწვავე დროებით ჩაქრა.

რაც შეეხება 1989 წლისა და მომდევნო წლების მოვლენებს, მე მათი უშუალო მონაწილე ვარ. ჩვენ, ცხადია, ველოდით სიტუაციის გამწვავებას, აფხაზებმა შექმნეს ნაციონალისტური ორგანიზაცია „აიდგილარა“, რომელიც საკმაოდ სოლიდურ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა. ამ დროს კი ქართული ეროვნული მოძრაობა დაქსაქსული და ნაკლებად ორგანიზებულია. მართალია, ვატარებდით გრანდიოზულ მიტინგებს, რომელსაც ძირითადად თბილისიდან ჩამოსული ეროვნული მოძრაობის ლიდერები ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ამ ღონისძიებებს უფრო გალიზიანება და დაქსაქსულობა შეჰქონდა ქართულ მოძრაობაში. ამ პერიოდში წამოვაყენე იდეა ქართული ეროვნული ერთიანობის საბჭოს შექმნისა, რომელშიც გავერთიანდით ე. წ. კომუნისტებიც, თანამდებობის პირებიც და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებიც. იმ დროიდან ჩემი სამუშაო კაბინეტი ნამდვილ შტაბს დაემსგავსა, სადაც არ წყდებოდა მუშაობა არც დღისით და არც ღამით. სხვათა შორის, თბილისიდან ჩამოსული მაშინდელი ხელმძღვანელებიც და ეროვნული მოძრაობის ლიდერებიც ჩემს კაბინეტში ვიკრიბებოდით; თბილისიდან ხშირად ჩამოდიოდნენ მ. კოსტავა, ზ. ჭავჭავაძე, გ, მამულია, თ. კვაჭანტირაძე, რ. შავიშვილი, ვ. ხმალაძე, ლ. თაბუკაშვილი, ოფიციოზიდან ნ. ფოფხაძე, ვ. ლორთქიფანიძე, ზ. ჩხეიძე, გ. ენუქიძე და სხვები.

ჩვენს სხდომებს და საერთოდ საქმიანობას იცავდა შემდგომში ცნობილი გენერალ გენო ადამიას შეიარაღებული რაზმი. ვისაც მაშინდელი ჩვენი საქმიანობა ახსოვს, ალბათ დამემოწმება, რომ მართლაც ნაყოფიერ და სასარგებლო საქმეს ვაკეთებდით, რამეთუ ვიწრო პარტიულ ინტერესებს საქართველოს ინტერესები დავუპირისპირეთ; ვმოქმედებდით მაქსიმალური სიბრძნითა და გონიერებით. მახსოვს, ჩვენთან დიალოგისთვის მოვიდნენ „„აიდგილარას“ წარმომადგენლები: ზ. აჩბა, ლ. შამბა, დ. ფილია, გ. მექვაბია და სხვები. საკმაოდ მწვავე, მაგრამ კონსტრუქციული დიალოგი გაიმართა. ბოლოს მათ გვთხოვეს შეხვედრა ზ. გამსახურდიასთან და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებთან. დიდი ძალისხმევის შემდეგ მათი სამკაციანი დელეგაცია ჩამოვიყვანე თბილისში. დიალოგი შედგა რუსთაველის საზოგადოებაში, რომელსაც ესწრებოდნენ ზ. გამსახურდია, თ. სიგუა, ნ. ნათაძე, ლ. ალექ-

# აფხაზეთი - ჩვენი ტკივილი



სიძე და სხვები. გულახდილად ვიტყვი, საუბარი არ გამოგვივიდა, იმის ნაცვლად, რომ კონსტრუქციულად გვესაუბრა, ქართულმა მხარემ, რატომღაც, სიტუაცია გაამწვავა, არადა აფხაზებს აინტერესებდათ დამოუკიდებელ საქართველოში აფხაზეთის სტატუსი. მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც, რომ ჩვენ შეგვეძლო კომპრომისული ვარიანტის მიღება. მაგრამ, როდესაც თვით ქართულ მოძრაობაშიც არ იყო ერთიანი აზრი და უმრავლესობა უმეტეს შემთხვევაში ურთიერთსაპირისპიროს აცხადებდა, რა თქმა უნდა, შეთანხმება ვერ მიიღწეოდა.

აფხაზეთი კი ბობოქრობდა, აქტიურობდნენ როგორც აფხაზები, ისე ქართველები. ეროვნული მოძრაობის ლიდერები მკვეთრად განსხვავებულ აზრს ქადაგებდნენ, იყო ურთიერთლანძღვაც. (სხვათა შორის, ამ განსხვავებულმა, ურთიერთშეურიგებელმა, მტრობაში გადასულმა დაპირისპირებამ წაგვაგებინა აფხაზეთის ომი), აფხაზები კი გვისმენდნენ, აანალიზებდნენ ჩვენს საქმიანობას. მახსოვს მათი ნათქვამი: „ჯერ თქვენ ერთმანეთში ვერ მორიგებულხართ და ჩვენთან ურთიერთობას როგორღა გაარკვევთო".

ამას მოჰყვა შემდგომი მოვლენები. იგრძნეს რა ქართული მოძრაობის სისუსტე, არაორგანიზებულობა, დაქსაქსულობა, აფხაზები შეტევაზე გადმოვიდნენ, მათ არამარტო პოლიტიკური სიტუაცია დაძაბეს, არამედ აშკარა ძალადობასა და შეიარაღებულ ბრძოლაზე გადავიდნენ. მახსოვს მათი პირველი შეიარაღებული გამოსვლა — ჩემი ბინა აფხაზეთის მწერალთა სახლის წინ მდებარეობდა, რომელიც მათ მთავარ შტაბად გადააქციეს, ქალაქში გზები გადაკეტეს. გაუთავებლად ისმოდა სროლები, მთელი ღამე არ წყდებოდა მწერალთა სახლში იარაღიანი ხალხის მისვლა-მოსვლა. არ ვიცი, როგორ მოახერხეს ჩემს ბინამდე მოღწევა ჩემმა სტუდენტებმა და ქართული რაზმის რამოდენიმე წევრმა, ისინი ჩემს დასაცავად მოვიდნენ, მთელი ღამე იარაღასხმული ვისხედით ჩემს ბინაში და ველოდით თავდასხმას, რომელიც ერთმა აფხაზმა, თანამდებობის პირმა აგვაცილა (ის კაცი სოხუმშია და შეგნებულად არ ვასახელებ მის გვარს). შემდეგ იყო სოხუმში სისხლიანი შეტაკებები, გაგრის მიტინგის დარბევა, ავტობუსებზე თავდასხმები და სხვ. უსაფრთხოების მიზნით, მე სოფელ ბაბუშერაში, ერთ-ერთ აგარაკზე გადამიყვანეს, სადაც სადღეღამისო დაცვა დამინიშნეს. მდგომარეობა თანდათან უმართავი ხდებოდა. უნდა ითქვას, რომ ვერც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გამოიჩინა სიბრძნე, თითქმის ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მაშინ იქნა მიღებული, უსუსური და არაფრისმთქმელი იყო. ჩვენ ეს მაშინვე განვაცხადეთ, შეცდომა იყო ბ. ადლეიბას შეცვლა, აფხაზეთიდან უჭკვიანესი კაცის ო. ზუხბაიას წამოყვანა. ფაქტიურად ქართული მხრიდან დასაჯეს ის ხელმძღვანელები, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლოდნენ და მედგრად უწევდნენ წინააღმდეგობას აფხაზებს. ეს კომპრომისი კი არა, დათმობა, უსიტყვო კაპიტულაცია უფრო იყო.

**— თქვენ ბ. ადლეიბა ახსენეთ. როგორ პოლიტიკას ატარებდა იგი და საერთოდ ხომ არ შეადარებდით ე. წ. ე. შევარდნაძისა და მომდევნო პერიოდებს ერთმანეთს?**

— საინტერესო კითხვაა, ბატონ ე. შევარდნაძის მაშინდელი პოლიტიკა აფხაზეთში იყო გონივრული, აგებული ურთიერთპატივისცემასა და კომპრომისზე. მახსოვს, როგორ უფრთხილდებოდა ბატონი ედუარდი ბ. ადლეიბას ავტორიტეტს, ამას ვგრძნობდით როგორც ქართველები, ისე აფხაზები. იმასაც ვხედავდით, თუ როგორი ხელშეუხებელი ავტორიტეტი იყო ბ. ადლეიბასათვის ბატონი ედუარდი. მე შევსწრებივარ მათ შორის სატელეფონო საუბრებს, რომლიდანაც ჩანდა ურთიერთპატივისცემა და თანადგომა. გონივრული იყო ისიც, რომ აქცენტი გადაგვქონდა ტოპონომიკის მეორეხარისხოვან საკითხებზე, მაგალითად, რა დაგვერქმია გუდაუთაში ან გალში რომელიმე ღელესათვის, გამოვყოფდით კომისიებს, რომლებიც მუშაობდნენ ისტორიულ მასალებზე (რა ისტორიული მასალა უნდა ყოფილიყო ღელეს ირგვლივ), გარკვეული დროის შემდეგ ჩავთვლიდით კომისიის მუშაობას დამთავრებულად და მივიღებდით კომპრომისულ გადაწყვეტილებას — გალში დარჩეს ქართული სახელი, ხოლო გუდაუთაში აფხაზური. ბ. ადლეიბას გულწრფელად სწამდა, რომ აფხაზეთი საქართველოს გარეშე ვერ იარსებებდა. ჩვენ ბევრჯერ გვქონია ამის შესახებ საუბარი, მაგრამ ის, როგორც ჭეშმარიტი აფხაზი კაცი, ცხადია, აფხაზურ საქმეს უფრო აკეთებდა, მაგრამ ცდილობდა, არ გაეფუჭებინა ქართული... შემდგომ ხელმძღვანელებს შორის ურთიერთპატივისცემა, ურთიერთდაპირისპირებით, პრობლემების გამწვავებით შეიცვალა, რაც ძალიან სწრაფად გავრცელდა ხალხზე. ამან, ცხადია, ქართველებსა და აფხაზებს შორის მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. სხვათა შორის, ბ. ადლეიბა სასტიკი წინააღმდეგი იყო არძინბას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევისა. ეს პირადად მე გამანდო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიის წინა დღეს. მე ტელეფონით მოვახსენე ამის შესახებ ზ. გამსახურდიას, მაგრამ მას, როგორც ჩანს, გარანტია არძინბას არჩევაზე უკვე გაცემული ჰქონდა. სესიაზე მხოლოდ ოთხმა დეპუტატმა გამოვთქ-

საქართველოს

ვით წინააღმდეგობა, მაგრამ ამაოდ... ამით იმის თქმა მინდა, რომ ბ. ადლეიბამ იცოდა არძინბას ქართველებისადმი შეურიგებლობა და ისიც, თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვებოდა მის არჩევას.

**— საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი დახმარება, რომელსაც ქართული ინტელიგენცია, მეცნიერები უწევდნენ აფხაზებს. თვით არძინბამაც სადოქტორო დისერტაცია თბილისში დაიცვა, რატომ არ დაგვიფასეს აფხაზებმა ასეთი მხარდაჭერა?**

— დიდი წვლილი მიუძღვის ქართველებს აფხაზური ეთნოსის, კულტურის, მეცნიერების შენარჩუნებასა და განვითარებაში. თვით არძინბამაც, რომელიც 22 წელიწადი მოსკოვში მსახურობდა, იქ დამუშავებული სადოქტორო დისერტაცია, თბილისში დაიცვა. ჩვენ ყველას ვეხმარებოდით. რატომ არ დაგვიფასეს?.. მთლად ასე არაა. ზოგმა დაგვიფასა, ბევრმა არა, ალბათ იმიტომ, რომ იოლად მივეცით ის, რაც მთლად ასე უშრომლად გასამეტებელი არ იყო. მახსოვს, თუ როგორი შეღავათებით ვიღებდით უმაღლესში აფხაზებს, მათი გარიცხვა თითქმის პოლიტიკურ აქტად აღიქმებოდა, თანდათანობით ზოგიერთში გაჩნდა სინდრომი რომ „ჩვენი ეშინიათ“, „ვალდებული არიან ანგარიში გაგვიწიონ“. ასეთმა ფილოსოფიამ გაათამამა ისინი. მე ვთვლი, რომ არ იყო საჭირო ზომიერებას გადასული მაამებლობა... ერთხელ ცეკაშიც კი გამომიძახეს და დამავალეს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისათვის აფხაზი კაცის ჭოჭუას სახელის დარქმევა... არ გავაკეთე.

**— სწორი იყო თუ არა ქართული შეიარაღებული ფორმირებების შესვლა აფხაზეთში, ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ და სამართლიანადაც აფხაზეთის დანაშაულზე. გვქონდა თუ არა ჩვენ შეცდომები?**

— სამხედრო ფორმირებების შესვლა აფხაზეთში მიუტევებელი შეცდომაა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არ გამხდარიყო ეს ფაქტი კონფლიქტის საბაბი. ისინი ხომ მიზეზს ეძებდნენ, მიზეზი კი ჩვენ მივეცით... საჭირო იყო მოცდა, მათ მოთხოვნებში გარკვევა, ერთობლივი კომისიების შექმნა, ერთი სიტყვით დრო უნდა გაგვეყვანა, ვინაიდან დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობდა, ჯერ თვით ჩვენ უნდა დავმდგარიყავით მყარად ფეხზე, როგორც ქვეყანა. ჩვენ კი ჩვენთვის ყველაზე არახელსაყრელ დროს განვიზრახეთ აფხაზეთის პრობლემის სამხედრო ძალით გადაწყვეტა. ამ დროს ჯარი საერთოდ არ გვყავდა... აფხაზმა სეპარატისტებმა და ჩრდილოეთ კავკასიის დაქირავებულმა ბანდიტებმა ბევრი ბოროტება, ენით აუწერელი სისასტიკე ჩაიდინეს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც ჩვენ ვიყავით მთლად ანგელოზები...

**— როგორ გესახებათ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება? გამოიღებს თუ არა შედეგს გაუთავებელი მოლაპარაკებები, თუ სხვა რადიკალური ზომები უნდა მივიღოთ?..**

— ჩვენი პოლიტიკა აფხაზების მიმართ, უმეტეს შემთხვევაში, იყო ნაჩქარევი, მათ კი ჩვენთან ურთიერთობა წინასწარ მოფიქრებული, გააზრებული ჰქონდათ. ასეა დღესაც — მათ იციან, რა უნდათ, იციან, როგორ გააკეთონ და რა ძალებს დაეყრდნონ, როგორც საკუთრივ აფხაზეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ომის პერიოდში, არძინბა მათთვის ხელშეუხებელი ავტორიტეტი იყო. (შეადარეთ საქართველოში მაშინ არსებულ სიტუაციას), ომს იგებს ერთმმართველი მთავარსარდალი (ნაპოლეონის თქმისა არ იყოს — ომის დროს ერთი შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მთავარსარდალი ჯობს რამოდენიმე ძალიან ჭკვიან მთავარსარდალსო). აფხაზებმა იცოდნენ რა თავიანთი მცირერიცხოვნობა, დაამყარეს მჭიდრო კავშირი ე. წ. ჩრდილოეთ კავკასიის კონფ[illegible]ტებთან, ტკბილი სიტყვით, უფროსი ძმის სინდრომზე დაფუძნებული ფილოსოფიით, აიძულეს რუსეთი, გაემჟღავნებინა თავიანთი იმპერიული ზრახვები აფხაზეთის მიმართ და უპირველესად ის, რომ აფხაზეთი მათი ოცნების საგანია, ესეც კარგად გამოიყენეს. მათ შეძლეს რუსეთისა და მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების მოსყიდვა, მასიურად გაავრცელეს მთელ მსოფლიოში თავიანთი „სიმართლე“. სიბრძნის გარდა ყოველივე ამას ფულიც ხომ ჭირდებოდა. იშვიათია აფხაზი, რომელსაც იმ გაგანია ომში ტურისტულ მოგზაურობაზე, ან დუბაიში წასვლაზე დაეხარჯოს ფული, ან უცხოური მარკის მანქანა შეეძინოს, სახლი ეყიდოს საზღვარგარეთ და სხვა... ისინი თავიანთი ფულადი და მატერიალური რესურსების უდიდეს ნაწილს ე. წ. „თავიანთ საერთო საქმეს“ ახმარდნენ. შეადარეთ ყოველივე ამას მაშინდელ საქართველოში არსებული სიტუაცია...

აფხაზეთის პრობლემა მოგვარდება მაშინ, თუ ყველა ქართველი გაითავისებს მას არამარტო სიტყვით, არამედ საქმით. მე ვთვლი, რომ მოლაპარაკების ყველა გზა უნდა ამოიწუროს. ამიტომ საჭიროა, ჩამოვაყალიბოთ გარკვეული თანმიმდევრობა. პირველ ეტაპზე უნდა გაირკვეს — თანახმანი ვართ თუ არა ორივე მხარე იმაზე, რომ აფხაზეთი ორივე ერის საცხოვრისია, რომ ერთის მიერ, მეორის გამოძევება საერთაშორისო დანაშაულია, რასაც „გენოციდი“ ეწოდება და ისჯება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. თუ ამაზე შევთანხმდებით, მეორე ეტაპი უნდა იყოს თანაცხოვრების რა გარანტიები გვექნება; აქ იგულისხმება როგორც უსაფრთხოება, ისე ქონების დაცვა და ა. შ. შემუშავებული უნდა იქნას ორთავესათვის მისაღები საგარანტიო დაცვის მექანიზმები, შემდეგ მესამე ეტაპი, მეოთხე და ა. შ. ამ ეტაპების გავლის შემდეგ თავად გამოიკვეთება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი. მეჩვენება, რომ დიალოგს ვიწყებთ ბოლო პოზიციით, პოლიტიკური სტატუსით, მაშინ, როდესაც ამ პრობლემამდე უნდა მივიდეთ ლოგიკურად და თანდათანობით. მესმის, რომ ომმა და რბევამ დიდი სიძულვილი დათესა, მაგრამ გონიერება გვკარნახობს, რომ ერთობლივად უნდა გადავლახოთ სიძულვილის ბარიერი და გადავდგათ ნაბიჯები დაახლოებისაკენ. უფრო აქტიურად უნდა ვიმუშაოთ მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, კიევში და სხვა ქალაქებში არსებულ აფხაზურ დიასპორასთან. ეს ის ხალხია, და საკმაოდ მრავალრიცხოვანიც, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, განერიდა არძინბას რეჟიმს. მე ვთვლი, რომ — „განრიდებულ“ აფხაზურ ოპოზიციაში ბევრია ისეთი, რომელთანაც დიალოგი აუცილებელია, მათთან კი არავინ მუშაობს.

...და ბოლოს, არ შეიძლება რუსეთთან ორმაგი თამაში. მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, რუსეთი ზესახელმწიფოა. უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ იგი არ დათმობს გავლენას იმ სამკუთხედზე, რომელშიაც მდებარეობს ლიძავას დასასვენებელი კომპლექსი, რიწის ტბა და მიუსერა. მათთვის ეს რეგიონი საკურორტო და ტურისტული ოაზისია. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ რუსი ტურისტებისა და დამსვენებლების გარეშე ვერ შევძლებთ ეკონომიკის სტაბილურობას ამ რეგიონში. არაფერი დაშავდება იმითაც, თუ რუსეთს ამთავითვე ეცოდინება იმის შესახებ, რომ აფხაზეთში მათი ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.

დაბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და რამდენადაც გულსატკენი არ უნდა იყოს, ესეც გასათვალისწინებელია...

პოზიცია

# საზოგადოების მხარდაჭერა პრეზიდენტის ყველაზე რეალური ძალაა

ერთი დიდი პოეტი ამბობდა: მისი თვალი საუკუნის მიღმა ხედავს იმას, რისი დანახვაც ადამიანებს არ ძალუძთ. ეს პოეტური ჰიპერბოლა არ არის. შემოქმედი მართლაც ხედავს ელფერების განუსაზღვრელ რაოდენობას, ესმის ბგერის რხევათა უამრავი ნიუანსი, გრძნობს ათასჯერ უფრო გამძაფრებულად და მტკივნეულად, ვიდრე არაშემოქმედი, ამიტომ ჩვეულებრივ ადამიანს ხშირად არ ესმის მისი, აღიზიანებს ეს გაუგებარი უნარი „დაუნახავის დანახვისა".

შემოქმედი მარტო ხელოვანი არ არის. ის ჩნდება იშვიათად და მხოლობით რიცხვში, ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ხელოვნებასა და პოლიტიკაში. საქართველოში უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკოსები პოეტები იყვნენ. დავით აღმაშენებელი, თეიმურაზი, ვახტანგი, არჩილი — მეფე პოეტები, დიპლომატები და პოეტები — ბესიკ გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი. თამარ მეფე თვითონ არ წერდა, მაგრამ მისმა ფანტაზიამ რუსთაველი შვა („მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა")... და ბოლოს ილია წმინდანად შერაცხული. ილიას მერე საქართველოს ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა და უკუღმართი პოლიტიკოსი შვა, რომლის სულში სისასტიკის სუსხმა ია-ვარდი დააზრო. ეს ხუთი წელია საქართველო ისეთ მძიმე დღეში ჩავარდა, როგორშიც ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტ წელსაც კი არ ყოფილა, რადგან მაშინ ბატონობდა საყოველთაო შიში.

და ეს შიში აიძულებდა ადამიანებს ზნეობრივი გზიდან გადახვევას. ახლა სიძულვილმა გათიშა საქართველო. ასეთ დროს ქვეყნის მართვა უძნელესია, ქარის წისქვილებთან ბრძოლაა, რადგან სიკეთემ მცხუნვარება დაკარგა, ხოლო მის ყოველ სუსტ გამოსხივებას წყალს ასხამენ და აქრობენ. და მიუხედავად იმისა, რომ ეს საკუთარი. თავისა და მოყვასის მოძულეები არც ისე ბევრნი არიან, უფრო ჩანან აგრესიული, ფანატიკური ბუნების გამო. ასეთ დროს ქვეყანა შეიძლება მართოს მხოლოდ შემოქმედმა პოლიტიკოსმა, რომელიც პოეტისა არ იყოს, ხედავს იმას, რასაც ვერ ხედავს ჩვეულებრივი ადამიანი, და, როცა ყოფა ისე დამძიმდება, რომ პოეტი ლამის თვითმკვლელობამდე მიდის, ეს კაცი თავისი მაგალითით, გონებით, ვაჟკაცობით, ხელოვნებისადმი საკუთარი დამოკიდებულებით, ადამიანური ხიბლით ხელს მოკიდებს უფსკრულის პირას მდგარს და სიცოცხლისაკენ მოახედებს. ასეთი პოლიტიკოსია ედუარდ შევარდნაძე.

სწორი არჩევანი გააკეთა გონიერმა ხალხმა. უგონო ემოციურობა ამწუთიერია და იმას ვერ ფიქრობს, რომ დროშების და ენების ფრიალით, მამლის ყივილით და ძაღლის ყეფით, სოფელი ვერ აშენდება, თანაც, აშენებულს და წვალებით შეკოწიწებულს სული თუ არ ჩაუდგი, მაინც ვერ იარსებებს.

ედუარდ შევარდნაძემ იცის, რომ ხელოვნება ერის სულია, უსულო ერი და უსულო ადამიანი კი, რაც უნდა გამაძღარი და დიდი ტერიტორიის მფლობელი იყოს, მაინც დასაღუპად არის განწირული.

ნელ-ნელა, თანდათანობით, გამოვდივართ კრიზისიდან ისე, მძიმე ავადმყოფს მზეზე რომ გამოიყვანენ და ოდნავ გაუვარდისფერდება სისხლნაკლული კანი. ჩემთვის ძალიან მთავარია, რომ თბილისი და რუსთაველი სულ უფრო ემსგავსება ჩემს ძველ ნამდვილ სამშობლოს, რომლის სუნიც გეშარეული ძაღლივით მეძახის.

ქართველები ემოციური ხალხია. ისინი, ალბათ, ვულკანის ყელში უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე მდორე ერთფეროვან მინდორში. მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაში გონებასაც მოუხმობენ ხოლმე, ელვარესა და გამჭრიახს. კარგი იქნებოდა, რომ ყოველთვის გვახსოვდეს ერთი დიდი კაცის ნათქვამი — „ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ".

**ლია სტურუა.**

საქართველოს პრეზიდენტი მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკოსია, ეს აღიარება მის პირად მომხიბვლელობასა და შორსმჭვრეტელობაზეა დაფუძნებული; უკვე გაწეული მნიშვნელოვანი საქმეებითაა გარანტირებული. ედუარდ შევარდნაძე ხალხთან კეთილი ურთიერთობის დამყარების დიდოსტატია. მას ურთულეს სიტუაციაში რეალური გადაწყვეტილების მიღების საოცარი უნარი აქვს. იგი ღრმად სწავლობს პრობლემას, აჯერებს მას ხალხის, საზოგადოების განწყობასთან. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ პრეზიდენტი მოთმინების წარმოუდგენელი უნარით აღჭურვა, მოსმენის უდიდესი ნიჭი მიამადლა მას ბუნებამ. იგი საკითხის გადაწყვეტისას მომენტის შერჩევის დიდი ალღოთია დაჯილდოებული; ცდილობს საზოგადოებაში „მოუმწიფებელი" კარდინალური პრობლემის გადაჭრა არ იჩქაროს. ხალხთან ურთიერთობას უადვილებს გამჭრიახობა და იუმორის ღრმა გრძნობა.

დღეს საქართველოს სახელმწიფოს რეალურად სჭირდება ედუარდ შევარდნაძის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი, რეფორმატორული საქმიანობა, მომავლის განჭვრეტის უნარი.

ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ საქართველოს საზოგადოების ყველა ფენა მაღლა დააყენებს ქვეყნის ინტერესებს და რეალურ ძალად დაუდგება მხარში პრეზიდენტსა და მთავრობას, საქართველო სწრაფად გამთლიანდება და განვითარდება — პოლიტიკურად განმტკიცდება. ეკონომიკურად მომძლავრდება და კულტურულად აღორძინდება.

**როინ მეტრეველი.**

პოლიტიკოსის ღვაწლის შეფასებისათვის ისტორიული პერსპექტივაა საჭირო: სწორედ ამ თვალსაზრისით ფასდება ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობა — დავით აღმაშენებელი იქნება თუ ერეკლე მეფე. ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობის შეფასებისათვის „ისტორიული პერსპექტივა" არ მჭირდება: მტკიცედ მჯერა — ეს კაცი საქართველოს უკეთესი მომავლის ერთადერთი გარანტია. მის პროფესიონალიზმში და ქართველკაცობაში არასდროს ეჭვი არ შემპარვია და ახლა, როცა მისი ეს თვისებები მსოფლიომ აღიარა, რა დამაეჭვებს? ბატონი ედუარდი პრაქტიკული ქმედების პოლიტიკოსია და ამიტომ, ცხადია, შეიძლება შეცდეს კიდეც, მაგრამ თავის დასახულ მიზანს — საქართველოს კეთილდღეობას ნათლად ხედავს და შეუპოვრად მიიწევს მისკენ. ერთი სიტყვით, პოლიტიკის დარგში დღევანდელ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ედუარდ შევარდნაძე გამოირჩევა ისე, როგორც გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში.

**მიხეილ ქვლივიძე.**



## ინტერვიუ ჟურნალისტთან

ნატო ონიანს, ვფიქრობ, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. თაობას, რომელსაც ის ეკუთვნის, საკმაოდ რთულ და მძიმე პირობებში მოუხდა ჟურნალისტური წრთობის გამოვლა.

მათ რიგში კი, ვინც შეძლო, პირნათლად გადმოელახა ძველსა და ახალს შორის არსებული ბარიერი, ნატო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. იგი თან მოჰყვა ცხოვრების ახლებურ სუნთქვას და უკვე საკმაოდ გამოკვეთილი და თვითმყოფადი ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ჟურნალისტიკაში.

სიმართლე, ობიექტურობა და პირდაპირობა ნატო ონიანის ჟურნალისტური კრედოა, ხოლო უბრალოება, თავმდაბლობა და უშუალობა ის გამორჩეული პიროვნული თვისებებია, რომელიც ავსებს და სრულყოფს მის ჭეშმარიტ პროფესიულ ხასიათს.

დაამთავრა თბილისის 57-ე სკოლა, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, სტუდენტობის წლებშივე გამოირჩეოდა მისი მხატვრული ნარკვევები და რეპორტაჟები. პირველად რადიოს პოლიტიკურ გადაცემათა რედაქციაში დაიწყო მუშაობა. ამას მოჰყვა „პიკის საათი“, „ინტერკურიერი“, „მაცნე“, — სამ საათიანი პროგრამა ღია ეთერში, „კონტაქტი“ და მოგვიანებით ორშაბათის ინტერვიუები, რომელმაც განსაკუთრებული პოპულარობა შესძინა ნატო ონიანს, და ბოლოს, საკვირაო ანალიტიკური პროგრამა — „ტაიმ-აუტი“.

ასე გაიცნო და შეიყვარა მსმენელმა და ტელემაყურებელმა ნიჭიერი ჟურნალისტი.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა ნატო ონიანს, რითაც საშუალება მოგვეცა, უფრო ახლოს გაგვეცნო მისი ჟურნალისტური მიკროსამყარო.

**— ნატო, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ჟურნალისტი, რა მიგაჩნიათ მის უპირველეს მოვალეობად და მრწამსად?**

— ამ კითხვაზე ყოველგვარი მაღალფარდოვნების გარეშე გიპასუხებთ. ჟურნალისტმა, უპირველესად, თავისი საქმე უნდა აკეთოს, ისე, როგორც ნებისმიერი პროფესიის ადამიანმა. მისი მოვალეობაა თავისი სამრეკლოდან, თავისი გადმოსახედიდან თქვას სიმართლე: — ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. რაც შეეხება ობიექტურობას, აქ საკითხს ცოტა სხვაგვარად უნდა შევხედოთ. ჟურნალისტი ყოველთვის ვერ იქნება ობიექტური, რადგანაც იგი ჩვეულებრივი მოკვდავია, ადამიანია და ბუნებრივია, ყველაფერზე საკუთარი სუბიექტური შეხედულებები აქვს. პირადად მე ხშირად ვხმარობ გამოთქმებს: „ჩემი აზრით“, „ალბათ“, „ვფიქრობ“ და ა. შ.

**— თქვენ, როგორც ჟურნალისტს გამორჩეულად რთული და საპასუხისმგებლო მისია გაკისრიათ (მხედველობაში მაქვს პრეზიდენტთან ინტერვიუები), საიდან და როგორ დაიწყო ეს გზა?**

— ეს ჩემთვის ძალზე მოულოდნელი იყო. მაშინ აფხაზეთის ცხელი დღეები იდგა. სახელმწიფოს მეთაურმა საჭიროდ ჩათვალა რადიო ინტერვიუებით ღია ეთერში გასვლა. ბატონ არჩილ გოგელიას დავალებით რადიოს გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ნანიტაშვილმა არჩევანი ჩემზე შეაჩერა (მე და ვახტანგი ერთად ვმუშაობდით „პიკის საათში“), მანამდე შევარდნაძეს სრულიად შემთხვევით შევხვდი — მახსოვს, პატიების დღე იყო, ჩემმა მეგობარმა, საშა იოსელიანმა მიმიყვანა და სულ რამდენიმე კითხვით მივმართე. ჩემი პირველი ოფიციალური ინტერვიუ კი 1992 წლის 17 აგვისტოს შედგა.

**— როგორ ემზადებით ორშაბათის ინტერვიუსათვის?**

— ორშაბათის ინტერვიუსათვის მთელი კვირა ვემზადები. ვკითხულობ პრესას, ვუსმენ რადიო და ტელეგადაცემებს. მაქვს ინფორმაციის მიღების საკუთარი წყაროებიც. ყველაფერ ამას ვაჯერებ და კვირას, გვიან ღამით, ვადგენ ორშაბათის ინტერვიუს გეგმას, რომელსაც, რასაკვირველია, ეთერში გასვლის წინ ვათანხმებ პრეზიდენტთან. ვათანხმებ მხოლოდ თემებს და არა კითხვებს, როგორც ხშირად ფიქრობენ. სხვათა შორის, ეს (შეუთანხმებელი კითხვები) შევარდნაძის პირველი მოთხოვნა იყო, ისევე, როგორც პირდაპირი ეთერი. იგი მიიჩნევს, რომ მისი გამოსვლა ასე უფრო საინტერესო იქნება.

**— ნატო ონიანის — ჟურნალისტის — თვალით დანახული პრეზიდენტი — რესპოდენტი.**

— ამაზე დიდ საუბარს ჯერ არ ვაპირებ. მოვა დრო, და ამის შესახებ, თვითონ დავწერ, ალბათ მაშინ, როცა შევარდნაძე, ასე ვთქვათ, „მოქმედი პოლიტიკოსი“ არ იქნება, ანუ — ჯერ იქამდე დიდი დროა...

ერთი სიტყვით კი მის პიროვნებას ასე დავახასიათებდი — არაორდინალური.

**— კულუარებში ამბობენ და არა მარტო ჭორის დონეზე, ბატონ ედუარდს ამაზე გახსნილადაც უსაუბრია, რომ კორესპონდენტი ნატო ონიანი ზოგჯერ დამაფიქრებს ხოლმეო.**

— არა მგონია, ეგ სიმართლე იყოს, და თუ ასეა, ესე იგი, შევარდნაძე ხუმრობს.

**— თქვენ ბევრს მოგზაურობთ საზღვარგარეთ. როგორია უცხოელი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების შეხედულება დღევანდელ საქართველოსა და მის პრეზიდენტზე?**

— „მოგზაურობა“ ჩემს მდგომარეობას ნაკლებად შეესატყვისება. ასეთი ვიზიტის დროს მე ვხედავ მხოლოდ პრეზიდენტის სასახლეებს, პარლამენტის შენობებს და მსგავს სამთავრობო დაწესებულებებს. ასეთი მოგზაურობა მხოლოდ დაძაბულ შრომას მასწავლის...

რაც შეეხება უცხოელთა აზრს, ვისურვებდი, საქართველოშიც ისე ხედავდნენ ჩვენს ქვეყანას და მის პრეზიდენტს, როგორც უცხოეთში. ამის ძირითადი მიზეზი

# ჩვენ ძლიერი და იმედიანი საქართველოსკენ მივდივართ

ისიცაა, რომ მათ ეს გზა დიდი ხნის წინ განვლეს და ყველაფერი იციან იმის შესახებ, რაც ჩვენში ახლა ხდება.

ერთ მაგალითს გეტყვით: გერმანიის პრეზიდენტის თბილისში ვიზიტის დროს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი ჩინის წარმომადგენელმა ბატონ ედუარდს მოაგონა. — არასოდეს დამავიწყდება საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს „ნატოს“ თანამშრომლები თქვენი პოლიტიკური შეხედულებისათვის, როგორ გიკრავდით ტაშს „ნატოს“ შტაბბინის გრძელ დერეფანშიო.

სხვათა შორის, ამას პრაგმატიკოსი დასავლეთის წარმომადგენელი ისე არ გეტყვის, თუ დღესაც არ ხედავს შენში მაღალი რანგის პოლიტიკოსს. დღეს შევარდნაძის უკან გაჭირვებული, დანაწევრებული და მშიერი საქართველო დგას, მისი მდგომარეობა გაცილებით მძიმე და რთულია, ვიდრე მაშინ, როცა იგი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და მაინც, ასე მგონია, იგი ბედნიერი ადამიანია, რადგან სწორედ ამ მძიმე ყოფაში საკუთარ ხალხთან ერთად მომავლის საქართველოს აშენებს. მე არ მიყვარს ლამაზი ფრაზებით საუბარი, ეს — რეალობაა.

**— ჟურნალისტისთვის აუცილებელი ნიშან-თვისების გარდა, თქვენ საკმაოდ განსწავლულ პოლიტიკოსად გამოიყურებით. რა უფრო რთულია, იყო პოლიტიკოსი თუ, იყო ჟურნალისტი?**

— მე პოლიტიკოსი არა ვარ. მე ვარ ჟურნალისტი, რომელიც პოლიტიკის სფეროში მუშაობს, პოლიტიკაზე წერს და ლაპარაკობს. ყოველ შემთხვევაში, იმ პოლიტიკოსების დონიდან გამომდინარე, ვისაც მე შევხვედრივარ — ასეა.

**— „ოპონენტების“ რეცენზიას მგონი თქვენც ვერ აცდით. რეაგირებთ თუ არა მსგავს შემთხვევაში და როგორ?**

— როცა პოპულარული ხარ, ეს ძალიან კარგია. უფრო მეტად სასიამოვნოა, როცა „ოპონენტები“ გყავს, მე ჩემი ცხოვრების წესი და საკუთარი პოზიცია მაქვს. უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ ვილაცას უყვარხარ, ვილაცას კი არ უყვარხარ. ეს არ არის ტრაგედია. მე მყავს ჩემი აუდიტორია და იმაზე ვფიქრობ, ჩემი გადაცემა რამდენად საინტერესო იქნება მაყურებლისათვის. [illegible]რია, ყველას ჰქონდეს საკუთარი შეხედულებების გამოთქმის უფლება და ამას, ვფიქრობ, უკვე მივაღწიეთ.

**— ნატო, ხომ არ გაიხსენებდით რაიმე კურიოზს თქვენს მუშაობაში?**

— კურიოზები მეტწილად ჩემს სახელთანაა დაკავშირებული. მახსოვს „ნატოს“ შტაბ-ბინაში ჩემი სამკერდე ნიშნის წაკითხვისას, სადაც დიდი ასოებით ეწერა ჩემი სახელი, ოფიცერმა მხოლოდ კეთილგანწყობილი მზერა მესროლა, ბელგიელმა კოლეგებმა კი ჩათვალეს, რომ ჩემმა მილიტარისტმა მშობლებმა ეს სახელი ჩრდილოატლანტიკური კავშირის პატივსაცემად დამარქვეს. დიდი წვალება დამჭირდა, ვიდრე ავუხსნიდი, რომ ნატო საქართველოში ქალის მეტ-ნაკლებად გავრცელებული სახელია მხოლოდ და სამხედრო ბლოკთან საერთო არაფერი აქვს...

სხვა კურიოზებზე სხვა დროს მოგიყვებით.

**— კიდევ კარგი, რომ ოონი-ანზეც არ შეგედავნენ!**

— რა ვიცი... ალბათ, იცოდნენ, რომ ნატოს მიმართ მეტი სიმპათიები მაქვს, ვიდრე — გაეროს.

**— ბოლო დროს დატრიალებულმა ტრაგედიებმა არა ერთი და ორი უდანაშაულო ჟურნალისტის სიცოცხლე შეიწირა, რამდენად დაცულია დღევანდელ პირობებში ქართული მასმედიის წარმომადგენელი და რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

— გადავხედოთ სხვა სახელმწიფოებს, თუნდაც ყველასთვის ნაცნობი ბოსნიის ან ჩეჩნეთის კონფლიქტი ავიღოთ, რამდენი უდანაშაულო ჟურნალისტის სიცოცხლე შეიწირა... საშა იოსელიანი, დათო ბოლქვაძე და სხვები ჩვენი მოუშუშებელი ტკივილია. აქსიომაა, ჟურნალისტს არ უნდა ესროლონ. მაგრამ ომი ომია და იქ, საუბედუროდ, ხშირად ომის კანონებიც კი არ მოქმედებს.

**— რას ფიქრობს ჟურნალისტი ნატო ონიანი — საით მივდივართ?**

— როცა ვკითხულობთ — საით მივდივართ? — ისიც უნდა გვახსოვდეს, საიდან მოვდივართ.

ჩვენმა ხალხმა ბევრი გადაიტანა, ამაყად, ღირსეულად, ბევრიც შეგვეშალა, მაგრამ მთავარი გადასატანი, რასაც პოლიტიკური გულუბრყვილობის საყმაწვილო სენი ჰქვია, უკვე გავიარეთ. ქართველი კაცი უფრო რაციონალისტი გახდა. პრობლემები დღესაც უამრავია და მომავალშიც იქნება, ეს ყველა ნორმალურად განვითარებადი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

არ შეიძლება, ქვეყანა სიზმრებით ცხოვრობდეს, ჩვენში ისევე შემოდის ცივილიზაციის ის ნიშნები, დროებით რომ დავკარგეთ.

საქართველო უნდა გახდეს ისეთი ქვეყანა, სადაც ყველა ადამიანის უფლება იქნება დაცული, თვით საქართველოს უფლება იქნება დაცული სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში.

მე მაინც მგონია, რომ ჩვენ ძლიერი და იმედიანი საქართველოსკენ მივდივართ.

ესაუბრა **ნუნუ კუპრეიშვილი.**

**P.S.** მასალა უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როცა ნატო ონიანი ტელევიზიის I არხის ინფორმაციის მთავარი რედაქციის რედაქტორად დაინიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირენ გედევანიშვილი

# მადლი

ქველმოქმედება, როგორც ცნობილია, ორნაირი გახლავთ: გონისმიერი და გულისმიერი. ორივე მადლმოსილია, ორივე ღვთით არის ნაკურთხი, მით უმეტეს, თუ ორივე ერთდროულად მონაწილეობს სიკეთის ქმნაში. ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედიც ხომ მოყვასის სიყვარულია. ქალბატონ ირენ გედევანიშვილს, როგორც თავად ბრძანებს — მამის გასაჭირში ჩავარდნილი სამშობლოსთვის დახმარების ხელის გაწოდება, უწინარესად, გულმა უკარნახა, ხოლო გონება ამ დახმარების, ასე ვთქვათ, უკეთ წარმართვისთვის გამოიყენა.

მაშინ როცა მავანმა და მავანმა ისარგებლა ქვეყნის ძნელბედობით და მთელი თავისი უნარი საკუთარი ჯიბის გასასქელებლად გაამეცადინა, — შვილებით, შვილიშვილებით დახუნძლული და, ბუნებრივია, საზრუნავით ყელთამდე სავსე ქალბატონი ირენ გედევანიშვილი, იქ, შორეულ საფრანგეთში, სულით ხორცამდე შეძრა საქართველოს უბედურებამ. ჭუბერის ტრაგედიით გულშემუსვრილმა (ტელევიზიით ნანახმა) მყისვე, თავის მეუღლესთან კირილთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, რითაც და როგორც შეეძლოთ, შეწევნოდნენ უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილებს.

ცხოვრებისეული პარადოქსი ანუ სიკეთისა და ბოროტების ურთიერთჭიდილი ის გახლავთ, რომ ჭუბერის გზაზე ზოგი თანამოძმე არ თაკილობდა დევნილთა ძარცვას და მათთვის უკანასკნელი ლუკმა-პურის წაგლეჯას — სხვანი — მათ შორის შორეულ საფრანგეთში ქართველი ემიგრანტის ქალიშვილის ირენის მსგავსნი კი — საბნებს, მედიკამენტებს და სურსათ-სანოვაგეს აგროვებდნენ და უგზავნიდნენ გაუბედურებულ ხალხს, მშობელ ქვეყანაში ხიზნობა რომ არგუნა ბედმა.

ეს დახმარება არ იყო იმპულსური, ანდა მხოლოდ ერთჯერადი, სპონტანური — ქალბატონი ირენი, მისი მეუღლე დღემდე არ წყვეტს ქველმოქმედებას და მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, სხვადასხვა უწყებანი რომ უქმნიან, ახერხებენ კვლავაც უსასყიდლოდ მოამარაგონ მედიკამენტებით არა მხოლოდ აფხაზეთიდან თუ სამაჩაბლოდან ადგილნაცვალნი, არამედ უკიდურესად გაჭირვებულნი — უსახსროდ, უწამლოდ დარჩენილი ინვალიდები თუ მარტოხელა მოხუცები. მხოლოდ იმათ, ვისაც ამგვარი დახმარება მიუღიათ, იციან ფასი ამ სიკეთის, იციან, თუ რაოდენ ძვირფასია იგი თუნდაც მორალური თვალსაზრისით, მატერიალურზე რომ არაფერი ვთქვათ.

ქალბატონი ირენისთვის, ბატონი კირილისთვის და მთელი მათი ოჯახისთვის მძიმე ტვირთად არ აღიქმება ეს ქველმოქმედება, თუმცა იგი მილიონებად ღირებულ წამლებს შეეხება და სულაც არ გახლავთ გადასაყრელი განძი. საგულისხმო უფრო ისაა, ამ ქველმოქმედების გასაწევად მრავალი ბარიერის გადალახვა რომ უწევს ცოლ-ქმარს აქ, საქართველოში. ეგოისტური მიზნებით შეპყრობილ და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობით დაკავებულ პიროვნებებს ხელს არ აძლევს სხვისი უანგარობა, რადგან ასეთი რამ უცხო ხილი გახლავთ მათთვის. მიუხედავად ამისა, სიკეთე მაინც იკვლევს გზას, მედიკამენტებიც ასეა თუ ისეა, წვალებით, მაგრამ მაინც აღწევს ადრესატამდე — ისევ პატიოსანი ადამიანების წყალობით, რომელნიც ღვთით მაინც არ ილევიან საქართველოში.

არ შედრკე, არ დაკარგო რწმენა და სიკეთის ქმნის უნარი, არ დაკარგო ენთუზიაზმი — დიდი ღვთიური მადლია, რითაც უხვად დაუჯილდოვებია უფალს ცოლ-ქმარი ირენი და კირილი, ამასთან შენი ფესვის და ძირის წარმომავლობა გახსოვდეს — უწინარეს ყოვლისა მამის ჩაგონებით, რომ შენ იქ, შორეულ ქვეყანაში დაბადებულს და გაზრდილს გული შეგტკიოდეს წინაპართა სამშობლოზე და ცდილობდე შეძლებისდაგვარად შეეხიდო ძნელბედობაში ჩავარდნილთ — ჩვენს პრაგმატულ საუკუნეში არც თუ ისე ხშირი ამბავი გახლავთ. ქვეყნიერებაზე საყოველთაოდ ფულის გაფეტიშებასთან ერთად რომ არსებობს ფულის გაცემის უნარიც — ლამის საოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებად მოეჩვენოთ დღევანდელ პრაქტიკოსებს, მით უმეტეს რომ, ამ ფულის გულისთვის არ ინდობენ სწორედ ერთმანეთს და თვისტომთა ხოცვა-ჟლეტაც ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს — ასეთ ვითარებაში არცაა საკვირველი, დონკიხოტებად მოინათლონ ისინი, რომლებსაც სხვათა გასაჭირი გახდომია უპირველეს საზრუნავად და საფიქრელად. ღვთისგან ბოძებული სიკეთის ქმნის ამ მადლის, ასე ვთქვათ, აღნიშვნა იყო ალბათ ის, რომ ქალბატონი ირენ გედევანიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს და ღირსების ორდენით დააჯილდოვეს. თუმც ყველაზე დიდი ღირსება სწორედ ისაა, რომ ამ მადლს ატარებ გულში და საქმითაც ადასტურებ მას.

ჩვენთვის სრულიად გასაგები იყო ქალბატონ ირენის სიტყვები, აქ მყოფს გული საფრანგეთში, ჩემს ოჯახში — შვილებისა და შვილიშვილებისაკენ მიმიწევს, ხოლო როცა იქა ვარ, აქაურობა მენატრება, აქეთკენ მოვისწრაფი. სრულიად ბუნებრივია ისიც, რომ ქალბატონ ირენს სურს თავის ნაგრამსაც შეაყვაროს მამა-პაპათა სამშობლო, რომ იმათაც მშობლიურ ადგილსამყოფელად მიიჩნიონ თბილისი და მთელი საქართველო. ეგებ სწორედ ამიტომაც იყო ცოლქმარმა ღვინის ქუჩაზე, ძველი თბილისის კოლორიტულ უბანში რომ შეიძინა ბინა, რომლის აივნიდან ძველი თბილისის დიდებული ხედი იშლება.

იქნებ ღმერთმა ქნას და მალე დადგეს ის დროც, როცა ირენ გედევანიშვილი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად ეწვევა სამაჩაბლოს, სოფელ ქორდას, საიდანაც არის წარმოშობით გედევანიშვილების ეს შტო.

ჩვენი რედაქცია კი გამოხატავს რა დიდი მადლიერების გრძნობას ქალბატონ ირენისა და ბატონ კირილის მიმართ, უსურვებს მათ დღეგრძელობას, ბედნიერებას, სიხარულს!

**ლელა კალანდარიშვილი**




# ახალი ამბები

## 20 წელია ვიეტნამში მშვიდობა დამყარდა

1954 წელს ვიეტნამი ორად გაიყო: ჩრდილოეთი — კომუნისტური ქვეყანა იყო, სამხრეთი კი — არაკომუნისტური. ამის შემდეგ დაიწყო ოცწლიანი ომი ამერიკელებთან. 1975 წლის 30 აპრილს ჩრდილოეთ ვიეტნამი შეუერთდა საიგონს. ეს იყო ომის დასასრული, რომელსაც ერთი მილიონი ვიეტნამელი და ორმოცდათხუთმეტი ათასი ამერიკელი შეეწირა.




## კინო 100 წლისაა

პარიზი, 1895 წლის 28 დეკემბერი. კაპუცინების ბულვარის დიდ კაფეში თავი მოიყარა რამოდენიმე მოწვეულმა და ოცდაათიოდე მაყურებელმა, რომლებმაც თითო ფრანკი გადაიხადეს, რათა პირველი კინონამუშევრის ჩვენებას დასწრებოდნენ. პირველი კინოაპარატით ძმებმა ლუმიერებმა მსოფლიოში პირველი ფილმი უჩვენეს. შემდგომში ამ ორმა ლიონელმა დახვეწა და გააუმჯობესა ეკრანზე ფილმის ჩვენება. პარიზელებმა ერთწუთიანი ათი პატარა ფილმი ნახეს, რომელთა შორის იყო „ზღვა“, „მჭედელი“, „ბავშვი“ და სხვ. შემოსავლის ეს წყარო ძალიან მოეწონა ჟორჟ მელის და კინოაპარატთან ერთად კინოდარბაზიც შეიძინა.

ასე გაჩნდა მეშვიდე ხელოვნება 100 წლის წინათ.

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ჩიკვაიძემ.

## 12 შვილის მამა

77 წლის ენტონი კუინიმ მიატოვა ოჯახი. მაგრამ ხუთი თვის შემდეგ ისევ დაუბრუნდა საყვარელ მეუღლეს — იოლანდას. კინოვარსკვლავის ხანმოკლე რომანი კი ასე დაიწყო: ერთ დღეს ცოლს განუცხადა, პირადი მდივანი უნდა დავითხოვოო. იოლანდას ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. მაგრამ მალე შეიტყო, რომ ყოფილ მდივანთან, 28 წლის კეტისთან შვილი ჰყოლია. ქმრის სასიყვარულო თავგადასავლებს მიჩვეული იოლანდა არ შედრკა და ქმრის შესანარჩუნებლად ფარული ბრძოლა დაიწყო. თან პატარა პატრიცია ენტონის პირველი უკანონო შვილი არ იყო. როდესაც იოლანდა მას ცოლად გაჰყვა 1968 წელს, მსახიობს უკვე ჰყავდა ხუთი შვილი პირველი ცოლისგან და სამი უკანონო ბავშვი. იოლანდას აზრით, კაცები სუსტი არსებანი არიან და ოჯახის მიტოვება უჭირთ. მართლაც, მეთორმეტე მამობის სიხარულის განცდის მიუხედავად, ენტონი სახლში დაბრუნდა და იოლანდას განუცხადა, მე შენ მჭირდებიო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთარ ჭელიძე

როცა ოთარ ჭელიძეს ვაჟა ფშაველას პრემია მიანიჭეს, სურვილი გამიჩნდა შევხმიანებოდი და ორიოდე თბილი სიტყვა მეთქვა მასზე. ისიც ვიცოდი, გამომცემლობა „ნაკადულს“, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ამ ბოლო ხანს კარგად მიუდის საქმე.

იქნებ ამაზეც ღირდა საქმიანი საუბარი?

დავურეკე „ნაკადულში“. ვუთხარი, რისი თქმაც მინდოდა. პირველ რიგში, რასაკვირველია, დამსახურებული პრემია მივულოცე.

და, აი, ტელეფონით დაწყებული საუბარი მის სამუშაო ოთახში გრძელდება:

—„ბალადა ძლევაი საკვირველი“ და „ომი და პოეზია“, რისთვისაც ვაჟას პრემიის პირველი ლაურეატი გახდი, თუ არ ვცდები, „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა: ორივე პოემა მძაფრი პატრიოტული მოტივებით გამოირჩევა და ახლებური, მხოლოდ შენი და შენეული სალექსო მეტრითაა დაწერილი. ოსტატობის თვალსაზრისით შენს წინა პოემებს უმშვენებს მხარს. მხედველობაში მაქვს „ორი მარაბდელი“, „ჩვენებურები“, განსაკუთრებით „ქიტესა“ და „ჩემი მაგნიტური არე“.

— ამ უკანასკნელმა ძალიან გამახარა და გზაც კარგად გაიკვლია. ვლადიმერ ლეონოვმა რუსულად თარგმნა და მთლიანად გამოაქვეყნა „ნოვი მირში“. ითარგმნა ინგლისურად, გერმანულად, ჩეხურად.

— ვიცი მე ეს და ამიტომაც მგონია, პრემირებული პოემები, მხარში უდგანან შენს საუკეთესო პოემებს. თანაც მათში მეტი სინათლეა, სათქმელიც უფრო იოლად მიდის მკითხველთან. ადრინდელი პოემები ახალგაზრდობაშია დაწერილი, ეს ორივე პოემა კი აგერ, სულ ახლახან. ასაკი თითქოს არც იგრძნობა.

— პოეზია ისეთი რამაა, ზოგს ღრმა სიბერემდე გაჰყვება ხოლმე, ზოგსაც ადრე უმთავრდება შემოქმედებითი წვა. მაგრამ ყოველ ასაკში შექმნილ ნაწარმოებს მაინც ამჩნევია დროის კვალი.

— მე ისევ ამ ახალ ნაწარმოებებს ვუბრუნდები და მინდა ვთქვა, რომ მათში უფრო მეტი სიმძაფრით ჩანს თანამედროვე ცხოვრება...

— ცხოვრება, ქუჩაში რომ ყოველ ნაბიჯზე თოფიანი კაცი გხვდება და ყაჩაღები დაწრიალებენ, არა? ბევრი სისაძაგლე და უბედურება დატრიალდა ჩვენს თვალწინ, მაგრამ ბევრი გმირობაც აშკარად დავინახეთ.

— გმირობაც დავინახეთო, თქვი და, ამაზე გამახსენდა: აი, გია აბესაძე... ყველასგან გამორჩეულმა ქრისტიანმა კაცმა, პროტესტის ნიშნად ცოცხლად დაიწვა თავი. საკუთარი თვალებით რომ არ დაგვენახა, არც დავიჯერებდით. დღესაც ბრიალებს რუსთაველის პროსპექტზე, წინანდელი პარლამენტის შენობის წინ, მის სხეულზე მოდებული ალი. შენ ეს ამბავი შენს პოემაში გამოიყენე და უნდა ითქვას, მძიმე და შეკრულმა ლექსმა კიდევ უფრო გვაგრძნობინა მისი რაინდული სული. საერთოდ, ასეთი თემები თავიდანვე ეპიური ჟანრისაკენ გიბიძგებდა და მხოლოდ ბალადებში ეტეოდა.

— ისეთი გმირობა, ამ საოცარმა კაცმა რომ ჩაიდინა, მარტო პოემისა და ბალადის ჩარჩოში თუ ჩაეტევა. სხვა არანაირი სალექსო ფორმა არ მოერგება მას. ბალადა თავისთავად გაშლევინებს ფრთებს და ამბავს გამახსოვრებს.

— შენს ორტომეულში, რომელიც კარგა ხანია გამოვიდა, განსაკუთრებული ადგილი სწორედ ბალადებს უკავია. მახსოვს, ცალკე წიგნადაც გამოეცი „კავკასიური ბალადები“. უცხოურ ენებზეც ბევრი შენი ლექსი და ბალადა ითარგმნა. ასე, რომ უცხოელი მკითხველი გიცნობს. აგერ ახლა „ვინ არის ვინ“ — დიდი ბრიტანეთის ყოველწლიური ენციკლოპედიური კრებული, რომელიც მსოფლიოში გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებს ბეჭდავს, ერთ ნომერში ერთად აქვეყნებს ოთხი ქართველი მამულიშვილის ბიოგრაფიას. მოდი, ვაუწყოთ „დროშის“ მკითხველებს, რომ ერთ-ერთი ამ სახელოვან მამულიშვილთაგან, ოთარ ჭელიძეა.

— რა ვიცი, აბა? ის კი მართალია, როგორც შენ თქვი, ბრიტანულ კრებულში დაბეჭდილ იმ ოთხ ქართველ მოღვაწეთა შორის, ჩემი გვარიცაა. ვერ დავმალავ და, მათ გვერდით დგომა ნამდვილად საამაყოდ მიმაჩნია.

— ამაზე, ალბათ, სხვა დროსაც მოგვიწევს საუბარი. ახლა კი ერთი რამე მინდა შეგეკითხო, მით უმეტეს, ეს შეკითხვა „ნაკადულში“ შენს მოსვლასთანაა დაკავშირებული. მე მაინტერესებს, ამ გაუგონარ სიდუხჭირეში, უქაღალდობასა და უჰონორარობაში, „ნაკადულმა“ რომ ახალი „სალიტერატურო გაზეთი“ გამოსცა და პოლიგრაფიულად მაღალი მხატვრული გემოვნებით გაფორმებული წიგნები მიაწოდა მკითხველს, როგორ მოხერხდა?

— ისევე, როგორც თითქმის ყველა საწარმო-დაწესებულება ომის დროს, „ნაკადულიც“ სულიან-ხორციანად გაიძარცვა. წაიღეს ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოში ერთადერთი „საბავშვო წიგნის სახლის“ წართმევასაც გვიპირებდნენ. ვინ? კაცმა რომ არ იცის, ვინ! სამჯერ დაინიშნა საარბიტრაჟო სასამართლო. სამჯერვე მოვიგეთ. მოდავეები მაინც არ ჩაცხრნენ. საბოლოოდ სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილებით სახლი „ნაკადულს“ დაუბრუნდა. ეს ის დროა, როცა თანამშრომლები ხელფასს იღებენ რამდენიმე ძველი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცემული წიგნის გაყიდვის შემდეგ. ილებენ კუპონებს, რომლითაც ორიოდე კვერცხის ყიდვა შეიძლება.

... ჭაში ჩავარდნილი კაცის მდგომარეობაში მყოფი გამომცემლობის დასახმარებლად სახელმწიფოს მეთაურის სარეზერვო ფონდიდან იყოფა სოლიდური თანხა, რომელიც დიდად ეხმარება კომპიუტერული სისტემის შექმნას. ამან საწარმოო ხარჯები თითქმის გაანახევრა და გამომცემლობასაც სულის მოთქმის საშუალება მისცა.

და, აი, სწორედ ამ კომპიუტერული ცენტრის შექმნამ და გამოცდილი რედაქტორების სიმრავლემ, პირდაპირ უკარნახათ, რომ თავისუფლად შეეძლოთ ორკვირეული გაზეთის გამოცემა, რომელიც გამომცემლობას თავის ძირითად საქმიანობაში ხელს კი არ შეუშლიდა. პირიქით, დაეხმარებოდა. მის გარშემო თავს მოიყრიდნენ ნიჭიერი ავტორები. ამით კიდევ უფრო გაადვილდებოდა შემოქმედებითი მუშაობა.

ასეც მოხდა.

ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით, გამოვიდა ისეთი წიგნები, ახალგაზრდობას ჰაერივით რომ ჭირდება. მკითხველმა მიიღო მართლაც ძვირფასი საჩუქარი — „ქართული მწერლობის" მეათემეთერთმეტე ტომები.

ამას მოჰყვა „მსოფლიო ლიტერატურის სერიით" გამოცემული მაინ რიდის „უთავო მხედარი", ჟიულ ვერნის „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ", თომას მანის, ოსკარ უაილდის, შიო მღვიმელის წიგნები.

წიგნებზე ჩამოვარდება თუ არა სიტყვა, ყოველთვის ჩვენი მესტამბეები დამიდგებიან ხოლმე თვალწინ. ჩუმად, უხმაუროდ მუშაობენ ისინი. მათი სახელი და გვარი წიგნის ტიტულებზე არ ბრწყინავს, მაგრამ ბრწყინავს მათი ნახელავი. ერთი-ორი გვერდი გადაფურცლე და მიხვდები, როგორი ოსტატის ხელშია გავლილი წიგნი.

სწორედ ესა თქვა ოთარ ჭელიძემ — პოეტმა და „ნაკადულის" მესვეურმა... წიგნის ფაბრიკა და მისი დირექტორი ჯუმბერ ხაჭაპურიძე მოიყვანა ამის საუკეთესო მაგალითად:

— დასამალი არაა და, პირდაპირ საკვირველია ამ კაცის პროფესიულობა, კეთილსინდისიერება და საქმისადმი ერთგულება. ასეთი სპეციალისტების ხელში გადაულებელი წვიმიანობის დროსაც არ ამღვრეულა „ნაკადული".

ისიც არაა დასამალი და ხმამაღლა უნდა ითქვას, როგორი შრომისმოყვარე შემოქმედებითი კოლექტივი ჰყავს „ნაკადულს" — მუყაითი, ნიჭიერი, მცოდნე, ერთგული ხალხი. ჩემს ნათქვამს გაიგებს ის, ვინც ამ ხალხს იცნობს და, ვისაც მათ საქმიანობაში ჩაუხედავს.

მე მათთან ვმუშაობდი იმ წლებში, „ნაკადულს" რომ „საბლიტგამი" ერქვა. მაშინ ახალგაზრდაც ვიყავი და ცოტა უფრო გაბედულიც. მეხსიერებიდან არ ამოდის ის დღეები და ის ადამიანები, გამომცემლობას რომ ალამაზებდნენ. ფეხებში კი არ შეჰყურებდნენ ერთმანეთს, ვინ როდის მოცურდებოდა და წაიქცეოდა. ერთიმეორე უყვარდათ. ღირსეულს პატივს სცემდნენ.

თაობას ცვლის თაობა, მაგრამ ტრადიცია არ იკარგება.

— არის ამაში რაღაცნაირი თავდადება და ეს ისეთი რამაა, თანდაყოლილი ნიჭივით რომ დაჰყვება კაცს. აი, თენგიზ ჩხაიძე — ჩვენი მთავარი რედაქტორი, ფრიად განათლებული ლიტერატორი და კრიტიკოსი. თუნდაც მერი ფანჯავიძე, გამომცემლობის „მოტორს" რომ ვეძახით და საწარმოო დარგის ჩინებული სპეციალისტია. ვინ იტყვის იმას, რომ ეს ადამიანები საგამომცემლო საქმისთვის არ არიან დაბადებული? ჩვენი გამომცემლობის სიძლიერე იმაშია, რომ ძირითადად თავისი საქმის საფუძვლიანად მცოდნე, მუყაითი და გულისხმიერი ადამიანები მოღვაწეობენ აქ. გვარების ჩამოთვლა, საერთოდ, საეჭვო საქმეა და თავისთავად მოსარიდებელიც — არ შეიძლება ვინმე არ გამოგრჩეს, ამიტომ თავის შეკავება სჯობს.

# ლაურეატები

მე ვეთანხმები პოეტისა და გამომცემლის ამ მართალ სიტყვებს... მაგრამ საგამომცემლო საქმე საგამომცემლო საქმეს რომ დაემგვანა, ქართული წიგნი რომ გადარჩა, გადარჩა ქართული ჟურნალები — „მნათობიც", „დროშაც", „საქართველოს ქალიც", „ცისკარიც", „საუნჯეც" და ბევრი სხვა, ვფიქრობ, ამაში ვიღაცის მეტად გონიერი, სამართლიანი და ძლიერი ხელი ურევია. ამ ხელმა მოუარა გამომცემლობებსაც და ჟურნალ-გაზეთებსაც. ამ ხელის შემწეობით ფეხზე დგას ქართული მხატვრული სიტყვა.

●

ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ქართულ ლიტერატურაში ერთი კარგი ჩვევაც დაამკვიდრეს „ცისფერყანწელებმა" — პოეტი პოეტის შესახებ წერდა. ეს არაა დასაკარგი ჩვევა და, ალბათ, ამითაცაა გამოწვეული ეს ჩემი საუბარი გამოჩენილ პოეტსა და მის საქმიანობაზე, მით უმეტეს მაშინ, როცა პოეტი თავისი პირველი პროზაული ნაწარმოებით უნდა წარსდგეს მკითხველის წინაშე.

საზოგადოებამ იცის, რომ ოთარ ჭელიძემ ლიტერატურის სხვა ჟანრებშიაც შეიტანა თავისი თვალსაჩინო წვლილი. ამის მაგალითად მარტო „ევგენი ონეგინისა" და „ვასილ ტიორკინის" მისეული თარგმანი კმარა.

და, აი, რომანი მედეასა და ბუბა ოდორიას საბედისწერო სიყვარულზე... ოდორია იმ ხომალდის მეთაურია, კოლხი მედეას გამტაცებლებს რომ გაედევნა და ღვთაებრივი ქალის ძებნაში თითონაც თითქმის ღვთაებად იქცა. მედეას სახე ღირსეულად და სრულიად ახლებურად გამოიყენება ნაწარმოებში.

უჭკვიანესი, ბრძენი და ქვეყნისათვის თავდადებული ქალია მედეა. რაც მთავარია, მეფე აიეტის ასული არაა შვილების მკვლელი.

რომანს ბუბა ოდორიასა და მედეას სასწაულებით სავსე თავგადასავალზე, რომელსაც მთელი ოცი წელიწადი წერდა მისი ავტორი, სცემს გამომცემლობა „ფარნავაზი", იბეჭდება და მალე გამოვა წიგნის ბაზარზე.

მაშ, გზა დავულოცოთ პოეტის პირველ რომანს მკითხველისაკენ...

**ვასილ გვეტაძე.**



მოთხრობა

ნოდარ დუმბაძე

# ფული

— თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო! გთხოვთ, გაიღოთ მოწყალება და შეუგროვოთ ფული ლოთს, ზნედაცემულ ნაძირალასა და სალახანას, კაცს, რომელმაც ერთ ჭიქა არაყში გაცვალა კაცობა და ახლა თქვენს წინაშე დგას ხელგაწვდილი. ეს კაცი მე ვარ, მე მენატრება ჩემი დედა, დედა, რომელსაც თავსლაფი დავასხი. მე მენატრება იგი, მენატრება, როგორც სიკვდილი და მე მჭირდება ფული, ბილეთის ფული, რომ წავიდე და ვნახო ჩემი საყვარელი დედა. თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო, გაიღეთ მოწყალება... გემუდარებით...

ხმა ოდნავ მთრთოლვარე, პათეტიკური, მაგრამ ყალბი იყო.

ჩექმის, არყის, მდოგვის, მჟავე ღვინის, მყრალი თამბაქოს, ნესტის, ოფლის და აქოთებული ქაშაყის სუნით გაჟღენთილი სარდაფი გუგუნებდა. მიუხედავად ყალბი პათეტიკურობისა, ეს შემზარავი მონოლოგი — აღსარება ამ ჯოჯოხეთურ სალხინობელში მეხივით გავარდა და რამდენიმე წამით, ვიმეორებ, მხოლოდ რამდენიმე წამით, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სარდაფი გაქვავებულ ზღაპრულ ქალაქს დაემსგავსა, ქალაქს, რომელსაც ღვთის რისხვამ სწორედ იმ დროს მოუსწრო, როდესაც არავინ არ ელოდა და ყველა თავისი საქმით იყო გართული.

... და, როდესაც მთელი ეს მასა კვლავ ამოძრავდა, ხელგაწვდილი ლოთი უკვე პირველ მაგიდასთან იდგა და ხელის კანკალით იღებდა მაგიდის კუთხეში ერთმანეთზე დაწყობილ სამმანეთიანსა და შავ ხურდას. სუფრის არც ერთ წევრს სიტყვა არ დაუძრავს, არც კი გაუხედავს ლოთისაკენ, არც მაშინ, როდესაც ლოთმა ათრთოლებული ხმით მადლობა გადაიხადა, მხოლოდ ერთმა, იმ ოთხთაგან უფრო ახალგაზრდამ, თქვა თავაულებლად:

— გაიარე!

ლოთი მეორე მაგიდასთან მივიდა და ხელი გაიშვირა:

— თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო!..

— არ გინდა ტლიკინი! — შეაწყვეტინა ერთ-ერთმა და არყით სავსე ჭიქა მიაწოდა: — დალიე!

ლოთმა არყიანი ჭიქა ჩამოართვა და პირთან მიიტანა, ხელთან ერთად ქვედა ტუჩიც უკანკალებდა.

— თქვი რამე! — უთხრა მეორემ. სუფრას სამნი უსხდნენ.

— რამე?! — თქვა ლოთმა და სახე რაღაც ღიმილის მაგვარმა მოუბრიცა.

— ანგლობ კიდევაც?! — გაუკვირდა მესამეს. ლოთმა არაფერი უპასუხა, არაყი გადახუხა და ცხვირ-პირი მოხრილ იდაყვში ჩამალა. თავი რომ ისევ აიღო, სახე ოდნავ დამშვიდებული ჰქონდა, ხოლო თვალებში არყით გამოწვეული სისველე ედგა.

— გაამოს! — დალოცა პირველმა. ლოთმა ჭიქა დადგა, მაგრამ მაგიდას არ მოსცილებია.

— ახლა ფულიც არ მოგვთხოვო! — უთხრა მეორემ და წარბი შეჰკრა.

— ბილეთის ფული... დედა მენატრება...

— ვიცი მე შენი დედა, შენი მონატრება და შენი ბილეთი...

— სამი მანეთი!

— ხურდას მიირთმევ თუ ქაღალდის ფულად გნებავს? — გააჯავრა პირველმა.

— მანეთი! — უცებ დაუკლო ლოთმა.

— მიეცი, მაგის ოხერი დედაც ვატირე! ხომ ხედავ, არ მიდის? — უთხრა მესამემ პირველს. მაშინ პირველმა ჯიბიდან აბაზი ამოიღო, მარჯვენა ხელის ცერზე დაიდო, ჰაერში ააზრიალა, მერე მარცხენა ხელისგული შეუშვირა ჩამოვარდნილ ფულს, სწრაფად დააფარა მარჯვენა და ლოთს კითხვით სავსე თვალებით მიაჩერდა.

— არიოლი! — დაუფიქრებლად თქვა ლოთმა და ნაღდი მოგებულის ხელი გაუწოდა. პირველმა მარჯვენა აიღო, აბაზიანი „არიოლზე" იჯდა.

— იღბალი არ გინდა? — მიუბრუნდა იგი ამხანაგებს და ფული ლოთს გადასცა. ლოთი მესამე მაგიდას მიადგა.

— ბიჭებო, ჩვენი მომავალი მოვიდა! — გაუხარდა ერთს. ამ მაგიდას ხუთნი უსხდნენ.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — მიესალმნენ არეულად.

— დალიე! — მიაწოდა კუთხეში მჯდომმა თავისი ჭიქა.

— უკვე დავლიე! — თქვა ლოთმა, მაგრამ არყიანი ჭიქა მაინც ჩამოართვა.

— ბებიაშენისამ, პირველადა სვამ აი ორ ჭიქას ზედიზედ! — უთხრა ერთმა, რომელიც ძალიან ჰგავდა მეორეს, ის მეორე — მესამეს და ყველანი ერთად კი მეოთხესა და მეხუთეს. ძმებივით ისხდნენ და არაყს სვამდნენ.

— კარგად იყავით! — თქვა ლოთმა და ისევ სულმოუთქმელად გადაჰკრა, ოღონდ ამჯამად არ დამანჭულა; მხოლოდ ჭუჭყიანი სახელო მიიტანა ცხვირთან და ღრმად შეისუნთქა ჰაერი.

— მონოლოგი არ გინდა, პირდაპირ თქვი, რა ღირს დედაშენის სახლამდე ბილეთი, — გააფრთხილა ერთ-ერთმა, მერე გულის ჯიბეში ორი თითი ჩაიყო და ხუთმანეთიანების შუაზე გაკეცილი დასტა ამოაცურა.

— ერთი ცალი მომეცი! — ნერწყვი გადაყლაპა ლოთმა.

— ვირისთავო, ჩვენთან რომ მოგინდა გამდიდრება, იმ კომბინატორებთან ვერ მიხვალ, მახორკას რომ სამთუმნიანებში ახვევენ?! — გაუბრაზდა ხუთმანეთიანების პატრონი და მიუთითა ბიქტით გადაღობილ ერთ-ერთ კაბინეტზე, რომლიდანაც თუთუნის ბოლი ქულებად ამოდიოდა და მთვრალი ქალების თავშეუკავებელი კისკისი ისმოდა.

— მიეცი, ნუ აწვალებ, ხომ იცი, ჩვენი ბოლოც ეგ არის! — თქვა რომელიღაცამ.

— აჰა, ორი ცალი და მეჟდუნაროდნით წადი, ქოსტკში კოზლა არ გეტკინოს! — უთხრა ფულის პატრონმა და უკბილო პირი დააფჩინა, დანარჩენ ოთხსაც გაეცინა.

— კაცი ხარ! — უთხრა ლოთმა და ფული ჯიბეში ჩაიკუჭა, — ჩემ ქუჩაზეც მოვა პრაზდნიკი და გადაგიხდი.

— დროშის წამოღება არ დაგავიწყდეს! — გააფრთხილა იმ ფულის პატრონმა. ამაზე ექვსივეს გაეცინა.

მეოთხე მაგიდასთან ლოთი არ მისულა, მეოთხე მაგიდას ორნი უსხდნენ. ერთი მათგანი იცნო ლოთმა, ვერელი ჯიბგირი იყო, ზარზანა. იცოდა ლოთმა, რომ ჯიბგირებს ლოთი და მათხოვარი ერთნაირად არ უყვართ, ის კი ორთავე ერთად იყო და ამიტომ მეოთხე მაგიდას გვერდი აუარა და პირდაპირ ფარდაჩამოფარებულ კაბინეტში შევიდა. მალე უხმოდ გონებადაბინდული გამოვიდა. იგი ახლა ვაკელი ბიჭების სუფრასთან ირწეოდა. ვაკელები ბლომად იყვნენ, წითელი ღვინით ქეიფობდნენ.

— თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო, — დაიწყო ლოთმა, თან ცალი ხელი რატომღაც თვალებზე აიფარა.

— გთხოვთ, გაიღოთ მოწყალება და შეუგროვოთ ფული ლოთს, სალახანას... — გააგრძელა ლოთის მონოლოგი ერთმა. ლოთმა თვალებზე აფარებული ხელი ფრთხილად ჩამოაცურა და ამღვრეული თვალები იმას მიაშტერა, ვინც მისი მონოლოგი ზეპირად იცოდა.

— რას მიყურებ? — ჰკითხა იმან.

— დედა მენატრება მე... სიკვდილივით მენატრება...

— მერე ვინ გიშლის, აჰა, ან თავი მოიკალი, ან წადი! — გაუწოდა დანა.

— დედა მინდა, — გაიმეორა უაზროდ ლოთმა.

— ძუძუ არ გინდა?

— დედა...

— მტყუნის, რომ დედა საერთოდ არა გყავს! — წამოუხტა თხელი ბიჭი, თან თავი ძლივს შეიკავა, რომ ლოთისთვის ღვინო სახეში არ შეესხა, ვიღაცამ დასვა. — ეგრეა, რა, სწორედ მაშინ მოვა ეგ ჩათლახი, გახურებულ ქეიფში რომ ვარ, და სულს ამიტირებს ხოლმე. გეყო რა, შე დამპალო, გეყო რა, კაცი არა ხარ?! — სახე აარიდა თხელმა.

— მოდი, სიმონ, წაიღე, ოღონდ წადი და ნუღარ მოხვალ! — დაუგდო მაგიდაზე თუმნიანები საფეთქლიდან ნიკაპამდე ნაჭრილობევმა ვაჟმა.

— შენ ჩემი სახელი საიდან იცი? — ჰკითხა ლოთმა.

— ვიცი, სიმონ, ვიცი, რაც მე შენთვის დედასთან წასასვლელი მაყუთი დამიადებია, იმ მაყუთით კაცი დედამიწას სამჯერ შემოუვლიდა მაგელანივით.

— დედა მენატრება მე, — ატირდა ლოთი და ორთავე ხელი აიფარა სახეზე. იმ ვაჟმა ის ფული აიღო, ლოთს ჯიბეში ჩაუკუჭა და მსუბუქად უბიძგა.

— ჰო, მორჩი, გეყოფა, ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენცა გვაქვს გული. — მერე სუფრის წევრებს მიუბრუნდა: — ბიჭებო, ამის ოხერი თავიც რა ვთქვა, მოდი ჩვენი დედები ვალდღეგრძელოთ, თორემ ტირილი მომინდა, — თქვა, თან ჭიქა შეავსო.

ლოთი ახლა სხვა მაგიდასთან იდგა, ხმას ვეღარ იღებდა, უბრალოდ იდგა ხელგაწვდილი, თვალებს ნაბავდა და ქანაობდა.

— რა უნდა? — ჰკითხა ერთმა მეორეს, ეგ ერთადერთი კაცი იყო ალბათ სარდაფში, რომელმაც არ იცოდა, ლოთს რა უნდოდა.

— ვიცი რო? რა გინდა? — მიუბრუნდა ლოთს კითხული, თუმცა მშვენივრად იცოდა, რაც უნდოდა.

— მეეე... — დაიწყო ლოთმა და

რომ ველარ გააგრძელა, ის გაშვერილი ხელი ჩაიქნია.

— „მეე“ თხას ჰქვია, — გაეხუმრა ოფლში გახვითქული მსუქანი მოქეიფე.

— ფრონტზე რატომ არა ხარ? — ჰკითხა მაგიდის ბოლოში მჯდომმა აფერისტმა, რომელიც თავად რომ წასულიყო ფრონტზე, ტანკად გამოდგებოდა.

— ფრონტზე ნამყოფია! — უპასუხა მეზობელმა.

— მერე დაჭრილი რატომ არ არის?

— არის!

— გვაჩვენოს! — დაინტერესდა აფერისტი.

— მე ვიცი, ეგ სადაც არის დაჭრილი. ჰკითხე ერთი, ქალი ხომ არ ენატრება? — თქვა აფერისტის მარცხენა მხარეს სკამით მეორე მეზობელმა, რომელიც ქოსა იყო და ძალიან ჰგავდა ცვედანს.

— შე ჩემის გადანგრეულო, ეგ მხოფლიოში ყველაზე ძნელი პროფესია — მათხოვრობა რომ აგირჩევია, წადი რა, ან კაცი მოკალი, ან ბანკი გატეხე, ან იჯიბგირე...— ასწავლა სულ პირველმა, რომელსაც ჰკითხეს, რა უნდაო?!

— ნახე, ანდო, რა თომარი გაუშვა ბარიგამ: წადი იჯიბგირეო. მაგ ნაბიჭვარს ჯიბგირობა ადვილი ჰგონია. ეხლა მივალ და ენას ამოვაჭრი! — თქვა ჯიბგირების მაგიდაზე ზარზანამ და წამოდგა.

— დაჯე, შენც ნახე რა „პრავაკაჩატის“ ადგილი, — დასვა ანდომ.

— დედას ვუყვარვართ
შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
ამიტომ წუთისოფელი
სულ ასე გვაცოდვილებსა, —
მღეროდნენ ვაკელები.

ლოთმა იმ მაგიდაზე მოხეკილი ხურდა დაუთვლელად ჩაიყარა ჯიბეში, გულითაც რომ ნდომოდა, ვერ დაითვლიდა, ისე იყო გატიალებული. იგი იდგა და ელოდა, როდის გაჩერდებოდა კარუსელივით დატრიალებული სარდაფი, რომ კარისათვის მიეგნო და როგორმე გამძვრალიყო სუფთა ჰაერზე. სარდაფის ჰაერი უკვე აღარ ჰყოფნიდა, თავად კი რაღაც უფორმო სხეულივით დონდლო გამხდარიყო და მისდა უნებურად სარდაფის ჭერსა და იატაკს შორის ფართო სარტყელივით გაწოლილ აშმორებულ ნისლში დაცურავდა შეუჩერებლად...

აი გასწორდა სარდაფი, კარუსელმაც უკლო სვლას, აგერ კარმაც ჩამოიარა... ლოთი კარისაკენ დაიძრა... ვახ, გაასწრო!.. ლოთი ისევ შედგა და კარის ხელმეორედ ჩამოვლას დაელოდა, ყველაფერმა ჩამოიარა: იმ პირველმა მაგიდამ, პირქუში მუშები რომ უსხდნენ, ოღონდ ახლა ის მაგიდა ცარიელი იყო, იმ მეორე მაგიდამაც ჩამოიარა, მესამემაც, მეოთხემაც, მეხუთემაც, ყველამ ჩამოიარა, კარი კი არ ჩანდა, ნეტა რა მოუვიდა?... მადლობა ღმერთს, გამოჩნდა, მაგრამ ეს რა არის? ოფიციანტ სეითას კარი თავის ჩარჩოიანად მოუხსნია, მხარზე გაუდგამს და ისე მოდის, თითქოს ის კარი თვითონ იყოს. ეს რა უქნია სეითას? ახლა რა ქნას ლოთმა, გარეთ როგორ გავიდეს? არადა ახლა თუ არ მოასწრო ამ კარში გაძრომა, მორჩა, ან ამ სარდაფში ამოიხრჩვება უჰაეროდ, ან გული გაუსკდება. არა, უნდა გაძვრეს, როგორმე უნდა მოასწროს... სეითას კი გაუდვია კარი მხარზე და მოდის... ჰა, მოვიდა, სულ ახლოს მოვიდა, ცოტაც და... ლოთი გაქანდა და დაძრული კარის სახელურს ჩამოეკიდა განწირული...

სარდაფში ჯერ ჭურჭლის მსხვრევა და ლანგრის ზრიალი გაისმა, მერე გაშლილი სილის საშინელი ლაწანი, და სარდაფი რამდენიმე წამით კვლავ იმ გაქვავებულ ზღაპრულ ქალაქს დაემსგავსა. და როდესაც მთელი ეს მასა კვლავ ამოძრავდა, ოფიციანტმა სეითამ ლოთს ქეჩოში წაავლო ხელი, კარებთან მიათრია და კინწისკვრით გააგდო ქუჩაში. ქუჩაში კიდევ ერთხელ წაიქცა ლოთი, მაგრამ აღარ ჩიოდა, რაკი სუფთა ჰაერი გადაყლაპა, პირიქით გახურებული ლოყა ცივ ქვაფენილს შეახო და გაიტრუნა, უცებ რაღაც ძალიან დიდი ხნის წინ განცდილმა, გაურკვეველმა გრძნობამ შეაწუხა და წამით გული ატკინა, მაგრამ ეს გრძნობა იმდენად ბუნდოვანი იყო, სახელიც კი ვერ მოუნახა, და როდესაც ვიღაც გამვლელმა ხელი მოკიდა და ფეხზე წამოაყენა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ამ გრძნობას ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ გაგონილი სიტყვა „თავმოყვარეობა“ ერქვა, და წამშველებელს მისდა უნებურად ხელი აუქნია და დედა შეაგინა კიდევაც, ოღონდ ძალიან უგულოდ. უჯულოდ და უბოროტოდ, შეაგინა მხოლოდ იმიტომ, რომ გამვლელებს გაეგონათ და პირუტყვი არ ჰგონებოდათ. იმ კაცს არაფერი უთქვამს, სინანულით გაიღიმა და წავიდა.

ლოთმა ხელისგულით მოიხოცა ცხვირიდან გამონაჟონი სისხლი და ლასლასით გაჰყვა მელიქიშვილის ვიწრო ქუჩას. გამვლელები გვერდს უვლიდნენ, ან საერთოდ ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდნენ. ის კი მიდიოდა თავისთვის ზიგზაგებით, არც ხმაურობდა, არც იგინებოდა, არც ვინმეს ერჩოდა, მიდიოდა თავისთვის. უდელთან მარცხნივ შეუხვია და პეტრიაშვილის აღმართს შეუდგა...

●

ხის ტახტზე იწვა გულაღმა, გაუხდელად, ეძინა უსიზმროდ, მკვდარივით, მაშინ გაეღვიძა, როდესაც მეზობელ ოთახში კედლის საათმა ზარი დარეკა. მხოლოდ ერთხელ დარეკა საათმა, ეს რაღაცის ნახევარს ნიშნავდა, რადგან ღამის პირველი საათი არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ახლა იგი კიდევ ნახევარ საათს უნდა დალოდებოდა, რათა გაეგო, ღამის რომელი საათი იყო. ელოდა თვალდახუჭული, მაგრამ მალე გაახილა, რადგან თვალდახუჭულს განუწყვეტლივ ელანდებოდა ხისკიბეებიანი ორსართულიანი და საერთო აივნიანი სახლი. პატარა ონკანთან, ეზოში ძაღლი, თეთრი, უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი, და ზედამხედრებული თეთრპერანგა და შავი ხავერდის შარვლიანი პატარა ბიჭი, მერე იმ სახლის ბირკვილებიან აივანზე გადმომდგარი ძალიან ლამაზი, შავთმიანი ახალგაზრდა ქალი, ცისფერი სადა კაბით. ეს ქალი ხან ჭაღარავდებოდა და დამწუხრებული სახე ნაოჭებით ევსებოდა, ხან კვლავ ახალგაზრდავდებოდა, და ასე განუწყვეტლივ, უსაშველოდ და გაუთავებლად. ყველაფერი ეს ძალიან ჰგავდა მის ბავშვობას და აივანზე გადმომდგარი ლამაზი ქალი კი დედას. ჰგავდა და მეტი არაფერი, მაგრამ შეშინებულმა მაინც სწრაფად გაახილა თვალი, რათა ყოველივე გამქრალიყო. და მართლაც, თვალის გახელისთანავე ყოველივე გაქრა, ცოტა ხნის შემდეგ ლოთმა ფრთხილად, თითქოს სიბნელეს ეპარებაო, კვლავ მოხუჭა თვალები და როდესაც ქუთუთოები ერთმანეთს შეეხო, სიბნელიდან კვლავ ამოცურდნენ ნაცნობი ფიგურები, წყვდიადი უკუღმა დადგმული სპექტაკლის სცენას დაემსგავსა, სადაც ფარდის დაშვებისას ჩნდებოდნენ, ხოლო ახდისას ქრებოდნენ სხეულები. ეს უკუღმა თამაში იმდენად შემზარავი და აუტანელი გახდა, ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმა გადაწყვიტა, გათენებამდე თვალები აღარ დაეხუჭა.

— ბომ, ბომ, ბომ, ბომ, ბომ!.. — დარეკა მეზობლის კედლის საათმა. ლოთმა შვებით ამოისუნთქა: საათის ზარმა თითქოს წარსული თან წაიღო, დილა მოდიოდა თბილისში და მოჩვენებები გაქრნენ. ლოთი ადგა და ონკანთან მივიდა, რათა ერთი ყლუპი წყალი შეესვა და დაგვალულ მიწასავით გამშრალი სასა და ტუჩები გაესველებინა, მაგრამ ონკანში წყალი არ მოდიოდა. ლოთი საწოლს დაუბრუნდა, მოჩვენებები გაქრნენ, მაგრამ მათ ადგილზე ფიქრები მოვიდნენ. მოჩვენება რაა, მოჩვენებას სხეული არა აქვს, წონა არა აქვს, სიმძიმე არ გააჩნია. ფიქრი კი მძიმეა, ტყვიასავით მძიმე. ახლა ეს ტყვიასავით მძიმე ტვირთი მოვიდა, დააწვა, წელში მოდრიკა და მუხლებზე დაამხო ლოთი.

... ახლა რომ რამე არ დალიოს, მოკვდება ლოთი, სისხლი შეუდედდება და მოკვდება... უნდა წავიდეს სადმე და დალიოს... დალიოს, დალიოს. მაგრამ სად? სადგურის რესტორანში — იქ დილამდეა ღია, ფული აქვს, წუხელ რომ მოიმათხოვრა რაღაც კაპიკები, ეყოფა... უნდა დალიოს, არაყი, სულ ერთი ჭიქა, ერთი ყლუპი, ერთი წვეთი, ოღონდ უნდა დალიოს, თორემ მოკვდება, მოკვდება, მოკვდება... აი გაეყინა ხელი, ფეხი, სხეული, გაუჩერდა მაჯა, შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა, ლოთი წამოდგა, სწრაფად მივარდა კარს, სახელური გიჟივით მოზიდა თავისკენ და გაშრა...

ზღურბლს იქით ლურჯკაბიანი, სადად თმადავარცხნილი ჭაღარა ქალი იდგა.

●

ლოთს არ გაუგონია, ზურგს უკან როგორ დარეკა მეზობლის კედლის საათმა ექვსჯერ და როგორ აწანწკარდა ონკანში წყალი. ლოთმა თვალები დახუჭა და დიდი ხნის შემდეგ კვლავ რომ გაახილა, ჭაღარა ქალი ისევ ზღურბლს იქით იდგა შემცბარი, მაგრამ რაღაც შემაზრზენად სახელვთიური.

— ვინა ხართ თქვენ, ქალბატონო? — ჩურჩულით ჰკითხა ლოთმა.

— ერთი საათია აქ ვდგავარ და დაკაკუნებას ვერ ვბედავ... უპასუხა ქალბატონმა.

— ვინა ხართ თქვენ, ქალბატონო? — გაუმეორა კითხვა ლოთმა.

— თქვენი კარი მეასე კარია, ვერც ერთზე ვერ გავბედე დაკაკუნება, ალბათ ვერც აქ გავბედავდი, თქვენ თვითონ რომ არ გაგეღოთ...

— რა გნებავთ ჩემგან, ქალბატონო?

— მათხოვარი არ გეგონო, შვილო, — ქალს ხმა აუთრთოლდა. — დედა ვარ!

— ვისი დედა?! — შეეშინდა ლოთს.

— ჯარისკაცის დედა ვარ, — ქალი გაჩერდა, რადგან ველარ ლაპარაკობდა... მერე, როგორც იქნა, განაგრძო: — ცნობა მივიღე, შვილი მიწევს ჰოსპიტალში მომაკვდავი და უნდა ჩამოვიყვანო... რადაც არ უნდა დამიჯდეს, სირცხვილად, ნამუსად, სიკვდილად, ზურგით, ფორთხვით, მაგრამ უნდა ჩამოვიყვანო...

„ჩემგან რა გნებავთ, ქალბატონო?!“ — ლოთმა ეს თვალებით ჰკითხა.

— მათხოვარი არ გეგონო, შვილო, დედა ვარ, ფული მინდა... გზის ფული...

„თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო!..“ — ჩაესმა ლოთს ყურში საკუთარი ხმა.

„მერე, ჩემთან რამ მოგიყვანათ, ქალბატონო?“ — ლოთმა ესეც თვალებით ჰკითხა.

— არ გამაწბილო, შვილო, არ დამღუპო, სხვა კარს მე ველარ მივადგები, ეს კარი უკანასკნელი იყო, — ქალმა თავი დახარა, ლოთმა დაინახა, ქალის შავი, გაცვეთილი ფეხსაცმლის წვერს როგორ დაეცა ცრემლის რამდენიმე წვეთი, მან აცახცახებული ხელებით სწრაფად ამოიღო ჯიბიდან დაკუჭული, დაფლეთილი, ნაწვალები ფული და ქალს გაუწოდა. ქალს ხელი არ გამოუშვერია, მაშინ ლოთმა ძალიან ფრთხილად ქალს ფული უბეში ჩაუკუჭა, მერე ჯიბეები ამოიტრიალა და ისე დადგა ქალის წინაშე. ქალი კი იდგა და ტირილს განაგრძობდა, ლოთი მიხვდა, რომ ქალს მადლობის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მაშინ იგი ნელ-ნელა დაეშვა ორთავე მუხლზე, ფეხზე ემთხვია ქალბატონს და თავად უთხრა მადლობა.

— გმადლობთ, დედა!

და როდესაც კვლავ ასწია თავი, რათა ქალისთვის სახეში შეეხედა, ქალი აღარ იყო, ხოლო ზღურბლთან, იმ ადგილას, სადაც ქალი იდგა, დაფლეთილი, დაკუჭული და ნაწვალები ფული ეყარა.

— ღმერთო, ნუთუ ესეც მოჩვენება იყო...

ოთახში მოშვებული ონკანიდან წყალი მოწანწკარებდა, ლოთს აღარ სწყუროდა, მის გამშრალ სასას და ყელს საიდანღაც გაჩენოდა სისველე, მაგრამ იგი წყალს არ ჰგავდა, თბილი იყო და მლაშე.

ქუჩაში თენდებოდა.

●

მგზავრებით გაჭედილ, დახუთულ და ბნელ ვაგონში კონტროლიორი მოაბიჯებდა გვერდულად, იგი ბილეთებს ამოწმებდა. უკან გამცილებელი მოყვებოდა დამნაშავესავით და სანთლით მბჟუტავ ფარანს უნათებდა გასახვრეტად ჩამორთმეულ ბილეთებზე. რევიზორი ისეთი გულმოდგინებით ათვალიერებდა მგზავრებს, მათ ნივთებს და ბარგი-ბარხანას, თითქოს დიდად საშიშ სახელმწიფო დამნაშავეს ეძებდა.

— თქვენი ბილეთი! — მონოტონური ხმით ნახევრად უბრძანებდა, ნახევრად ეკითხებოდა იგი მგზავრებს და თითქოს მთელი მატარებელი ემდურისო, ხმას არავინ არ სცემდა, ისე უხმოდ უწვდიდნენ ბილეთებს.

— თქვენი ბილეთი! — მიმართა მან მეხუთე კუპეში ფანჯარასთან მჯდომ გამხდარ და წვერგაუპარსავ მგზავრს, პასუხმა დაიგვიანა.

— თქვენი ბილეთი?! — გაუმეორა კითხვა-ბრძანება კონტროლიორმა.

— არ მაქვს ბილეთი! — თქვა მგზავრმა.

— რაო! — გაუკვირდა კონტროლიორს.

— არ მაქვს ბილეთი! — გაიმეორა მგზავრმა.

— მერე და სად მიბრძანდებით, ბატონო, ასე უბილეთოდ? — ჰკითხა ირონიული ღიმილით კონტროლიორმა.

— დედასთან! — თქვა მგზავრმა.

— ვისთან?!! — ... და ახლა ისე განცვიფრდა კონტროლიორი, რომ მასზე უფრო განცვიფრებულ გამცილებელს ფარანი ჩამოართვა და მგზავრს სახეში მიანათა.

— დედასთან! — გაიმეორა მგზავრმა.

— რომელ დედასთანო? — უნდოდა ეკითხა ლაზღანდარობის ხასიათზე მოსულ კონტროლიორს, მაგრამ მგზავრის მიტკალივით თეთრ სახეს და ჭაღარაგარეულ წვერზე თვალთაგან ღვარად ჩამოდენილ ცრემლს რომ შეხედა, ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა. მერე ცივად შეტრიალდა და ტამბურისაკენ გაემართა.

მატარებელი კივილით შევარდა გვირაბში.

1976



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩანა ბრეგვაძე

# მარკუს ავრელიუსი

მარკუს ავრელიუსის ტახტზე ასვლით (II საუკუნე ჩ.წ. აღრიცხვით) მთავრდება ე. წ. „რომაული მშვიდობიანობის“ პერიოდი და იწყება ძნელბედობათა ახალი ციკლი რომის იმპერიის ცხოვრებაში. წყალდიდობანი, მიწისძვრები და შიმშილობანი, ბარბაროსთა შემოსევები და შინააშლილობანი, — აი, რითი აღინიშნა მარკუს ავრელიუსის პრინციპატობის დასაწყისი. მისი მამობილი ანტონინუს პიუსი უფრო სვებედნიერი იყო: ამ ღვთისმოსავ იმპერატორზე ამბობდნენ, რომ „მას მთელი თავისი მმართველობის მანძილზე არ დაუღვრია არც ერთი წვეთი სისხლი — არც რომაელისა და არც ბარბაროსისა“. მარკუს ავრელიუსმა—„ამ ფილოსოფოსმა მსოფლიო ისტორიის ტახტზე“ თავისი პრინციპატობის ცხრამეტი წლიდან თხუთმეტი იმპერიის გარეშე, თუ შინაურ მტრებთან გამუდმებულ ბრძოლებში გაატარა. ფილოსოფოსმა ჯავშანი ჩაიცვა და ჯარისკაცად იქცა. წინააღმდეგობა, ერთის მხრივ, ფილოსოფიურ-ჰუმანისტურ მრწამსა, და მეორეს მხრივ, ჰეგემონის მოვალეობას შორის განსაკუთრებული ტრაგიზმით მოსავს ანტონინუსის აღზრდილის სახეს. მარკუს ავრელიუსმა გადაშალა უკანასკნელი ფურცელი რომის დიდების მატიანეში და მანვე დახურა იგი. ტყუილად როდი უწოდა ე. რენანმა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევას „მარკუს ავრელიუსი და ანტიკური სამყაროს დასასრული“.

მარკუს ავრელიუსის ყოველგვარ რეფორმისტულ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას კაცთა მიმართ სიყვარული და პატივისცემა ედო საფუძვლად. „ის ყოველთვის უყურებდა ადამიანს, როგორც მორალურ არსებას და არა როგორც მანქანას ან საშუალებას“. (რენანი). სტოიციზმის სოციალური მორალის მიხედვით, ადამიანი არა მარტო მთელი სამყაროა, მიკროკოსმოსია, არა მარტო თავისთავადი, თავისებური და განუმეორებელი ინდივიდუუმია, არამედ, არისტოტელეს სიტყვებით რომ ვთქვათ „სოციალური ცხოველიცაა“, რომელიც თავისსავე მსგავს არსებათა წრეში და მათთან მუდმივი ურთიერთობისა და თანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებს საკუთარი არსებობის უმაღლესსა და უინტიმურეს მიზნებს. აქედან — მისი მოვალეობანი მოყვასთა მიმართ. **ჩვენ,** — ამბობს მარკუს ავრელიუსი, — **თანამშრომლობისა და თანამოღვაწეობისთვის ვართ შექმნილი, როგორც ხელები, ფეხები, ქუთუთონი, ზედა და ქვედა ყბები. ამიტომ ურთიერთწინააღმდეგობა ბუნების წინააღმდეგ აღძვრასა ნიშნავს, მაგრამ ვინც გმობს და გაურბის მოყვასს, წინააღმდგომიც იგია მისი“.** ხოლო სენეკამ ერთი საუკუნით ადრე თქვა: „კაცი წმიდათაწმიდაა კაცისთვის“. (homo sara res homini 95. შდრ. ძველი კანიბალური ფორმულა: homo homini lupus). დიახ, მარკუს ავრელიუსის მოღვაწეობას კაცთა მიმართ პატივისცემა ედო საფუძვლად. მაგრამ ის არასდროს იტყუებდა თავს ფუჭი იმედებითა და ილუზიებით. იმპერატორი კარგად იცნობდა კაცური ბუნების სისუსტეს და არასრულქმნილებას, ადამიანთა მიერ მორალური და ინტელექტუალური ჭეშმარიტებების შეთვისების მთელ უკიდურეს სიზანტეს და ისტორიულ ყოფიერებაში მოქმედ წინააღმდეგობის მთელ უზარმაზარ ძალას. არ შეიძლება ძალადობით განაახლო სამყარო და დაამყარო სრულქმნილი წესრიგი, რადგან არც ერთ მბრძანებელს არა აქვს კაცთა აზრებსა და გრძნობებზე მბრძანებლობის უფლება“ (როგორც ამას სჩადის მაგ. იმპერატორი გაიუს კალიგულა). ამიტომ მარკუს ავრელიუსისათვის უცხო იყო ყოველგვარი უტოპიზმი თუ აბსოლუტიზმი, ამიტომ ანიჭებდა იგი ესოდენ დიდ მნიშვნელობას თუნდაც მინიმალურ პროგრესს:

როცა მამობილის ანტონიუს პიუსის გარდაცვალების შემდეგ, რომის სენატის კურთხევით, მარკუს ავრელიუსი რომის იმპერატორი გახდა, ამ გარემოებას რაიმე არსებითი ცვლილება ან გარდატეხა არ შეუტანია მის სულიერ ცხოვრებაში. ის ყოველთვის დაუბინდავი თვალით ჭვრეტდა ამქვეყნიური დიდების ჭეშმარიტ არსს: **„გულისხმა ჰყავ, რაოდენ მსწრაფლწარმავალი და მსწრაფლდავიწყებადია, ყოველი, მარადისობის რა უსასრულო უფსკრული ძევს როგორც შენს წინ, ისე შენს უკან, რაოდენ ფუჭია სახელის ძიება და რაოდენ უმტკიცონი და ცნობასუსტნი არიან შენი მეხოტბენი. რა ვიწროა წრე, გარეშემოსწერს და ზღვარს უსაზღვრებს შენს სახელსა და დიდებას. რადგან ჯერ მთელი მიწა რა არის, ეგ ერთი ციცქნა შავი წერტილი, და შენი საცხოვრისი რა უნდა იყოს?... ნურასოდეს დაივიწყებ, რომ რაც იყო, იგივე არის, და რაც არის, იგივე იქნება მარად. მიიქეც მთელი დრამებისა თუ ცალკეული სცენების ჭვრეტად, რომელთაც პირადი ცდითა და მემატიანეთა გადმოცემით იცნობ; წარმოიდგინე, მაგალითად, ჰადრიანეს, ანტონიუსის, ფილიპეს, ალექსანდრესა თუ კრეზუსის სასახლის კარნი: სპექტაკლი ყველგან ერთი და იგივეა, იცვლებიან მხოლოდ მსახიობები“.**

ამიტომ იყო, რომ I საუკუნის იმპერატორებისგან განსხვავებით (მარკუს ავრელიუსს სძულდა ეს სისხლიანი, პატივმოყვარე ავტოკრატორები) მარკუს ავრელიუსი უზენაეს ძალაუფლებას უყურებდა არა როგორც მესიანისტურ დანიშნულებას, ან თვითმპყრობლურ ფუნქციას თუ თვითგანდიდების საშუალებას, არამედ როგორც მძიმე მოვალეობას და ტვირთს: **„შენ შენი ვალი გაქვს მოსახდელი, როგორც ჯარისკაცს გალავნის გარემოცვისა და იერიშისას“...**

სოციალური თუ ზნეობრივი პროგრესის გზაზე სახელმწიფოს აუცილებელი პირობა იყო მშვიდობიანობა, ხოლო რომს იმ დროისათვის სწორედ მშვიდობა აკლდა. პართოის ომი არც კი იყო დამთავრებული, რომ რომს ახალი საფრთხე დაემუქრა ჩრდილოეთიდან: დაიწყო ბარბაროსთა დიდი ტრანსმიგრაცია.

იულიუს კეისარი გალიაში ებრძოდა გერმანელებს. დრონი იცვალნენ. ახლა გერმანელები თვითონ მოდიოდნენ რომში საომრად. გერმანელები — დამოკლეს მახვილი იმპერიის თავზე!

მარკუს ავრელიუსი ომს უყურებდა, როგორც სიკეთისა და სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპთა რღვევას, როგორც ბოროტი საწყისის დისჰარმონიულ გამოვლენას სამყაროს მთლიან ჰა-

რმონიაში. მაგრამ ამასთან, ის ორ კერპს სცემდა თაყვანს: მოვალეობას და რომს. მისი რომი კი უფსკრულის პირას იდგა, და, მაშასადამე, მას უნდა ეხსნა იგი.

მარკუს ავრელიუსს, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა საომარ ოპერაციებს დუნაიზე, მხოლოდ საღამოობით შეეძლო განმარტოებულიყო თავის კარავში... ჩრდილოური ზამთრის გულისგამაწვრილებლად გრძელსა და ნაღვლიან ღამეებში თავის საზამთრო ბანაკში ჩაკეტილი ეს მარტოსული სენეკას მოძღვრის — სექსტიუსის მსგავსად თითოეული განვლილი დღის ანგარიშს აბარებდა საკუთარ სინდისს, ფიქრობდა ხალხთა ურთიერთბრძოლისა და ხოცვა-ჟლეტის უაზრობასა და ამაოებაზე, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე, კაცის ადგილზე სამყაროში, მის ბედსა და დანიშნულებაზე და კოშმარული ხილვებისგან თანდათან განთავისუფლებული, ოდნავი მბჟუტავი სანთლის შუქზე წერდა თავისი სულიერი ცხოვრების ინტიმურ დღიურს — **„წარმართული სამყაროს ამ სახარებას“**. ასე იქმნებოდა „ფიქრები“ — ეს ჭეშმარიტი უნიკუმი არა მარტო რომაული მწერლობის ისტორიაში...

ირგვლივ მძვინვარებდა ომის გრიგალი: მის თვალწინ თამაშდებოდა იმ გრანდიოზული ისტორიული დრამის პირველი აქტი, რომელსაც რენანი „რასათა დიდ ცვლას“ უწოდებს. სისხლისღვრისა და სისასტიკის ამ სრულ ქაოსში ის ცდილობდა შეენარჩუნებინა სიმშვიდე და აუმღვრევლობა, რათა მის სულში საბოლოოდ არ ჩამქრალიყო სამყაროული ჰარმონიის, კაცთმოყვარეობის, სიკეთისა და სიმართლის დიადი პრინციპთა რწმენა:

**„იყავი, როგორც კლდოვანი კონცხი, რომელსაც ღრიალით აწყდებიან ტალღები, ის კი მშვიდად დგას და მის გარშემო თანდათან ცხრება ბობოქარი წყლის მძვინვარება“.**

**„შენ გკლავენ, ასო-ასო გგლეჯენ და გაგინებენ. მაგრამ განა ეს ხელს უშლის სულს შეინარჩუნოს სიწმინდე, სიბრძნე, ზომიერება და სამართლიანობა? ეს იმას ჰგავს, კამკამა წყაროს თავს წაადგეს ვინმე გულარძნილი და გინებით მოინდომოს მისი სიწმინდის წაბილწვა: წყარო მაინც არ მოიშლის წყაროობას — ანკარა და ამაოდ ხასმელი. თუმცა გინებით კი არა, მწვირითაც რომ ამოავსოს იგი, წყარო უმალვე წარიტაცებს, წარეცხს უწმინდურს და ხელახლა დაიწმინდება“.**

**„... ყველაზე მყუდრო და უშფოთველი სადგური, სადაც კაცს შეუძლია განმარტოვდეს — სულია მისი... მაშ, მალი-მალ მიაშურე მაგ მყუდრო სადგურს და ამრიგად, განაახლე შენივე თავი“...**

მაგრამ მსგავსი აზრები მათი ავტორისთვის არასოდეს ქცეულან პასიურობის, უმოქმედობისა და ინერტულობის წყაროდ. არაფერი ისე უცხო არ არის მარკუს ავრელიუსისთვის, როგორც ნირვანა თუ კვიეტიზმი.

**„პატივმოყვარე თავის სიკეთეს სხვათა მოქმედებაში ხედავს, განცხრომის ტრფიალი — თავის შეგრძნებაში, ბრძენი — საკუთარ მოღვაწეობაში“.** ხოლო მოქმედება მისთვის ბრძოლას ნიშნავდა და ისიც იბრძოდა, როგორც შეშვენოდა, „მამრს, რომაელს, მოქალაქეს, მოკვდავს“. იბრძოდა რომის გადასარჩენად, მისი დიდებისა და უკვდავებისთვის.

**„ყველაფერი აკეთე, ყველაფერზე იფიქრე და იმსჯელე ისე, თითქოს ყოველ წამს მოელოდე, რომ ეგ წამიც წარხდება და დასრულდება შენი სიცოცხლეც“.**

მარკუს ავრელიუსი, ისევე როგორც ყველა სხვა ბერძენი თუ რომაელი სტოიკოსი, უმაღლეს ზნეობრივ პრინციპად, ბედნიერებისაკენ სწრაფვის უმაღლეს მიზნად გონების ანუ რაც იგივეა, **ბუნების თანახმად ცხოვრებას** სახავს. ცხოვრობდე ბუნების თანახმად, ნიშნავს დაუნდობლად თრგუნავდე შენს ხორციელ ვნებებსა და მდაბალ ინსტინქტებს, დაუცხრომლად იღვწოდე კაცთა სასიკეთოდ, გონების ხმას უთანხმებდე ყველა შენს ქცევას და ამრიგად, ხელს უწყობდე შენი უმაღლესი — გონივრული ბუნების თვითდადგინებას და თვითმყოფობას.

მარკუს ავრელიუსის მთელი სიცოცხლე, მისი პირადი ცხოვრება თავად იყო „ბუნების თანახმად ცხოვრების“ დიადი სტოიცისტური პრინციპისადმი ერთგულების ნიმუში.

სრულყოფილებას, რომელსაც თავისი ბუნებრივი მონაცემების, ბუნებრივი შესაძლებლობების ყოველმხრივი განვითარების გზით აღწევს კაცი, სტოელთა ენაზე **სიქველე** ჰქვია. პლატონი სიქველეს უმაღლესი სიკეთის მიღწევის, მასთან თანაზიარების საშუალებად თვლიდა. სტოელთა სიქველე თვითკმარია. სიქველის ჯილდო, სიქველის მიზანი თვით სიქველეა: **„თუ შენ ჰქმენ სიკეთე, ხოლო შენმა მოყვასმა მოისთვალა ნაყოფი მისი, რაღას დაეძებ რეგვენთა მსგავსად, რაღაც მესამეს, რასაც კეთილმოქმედის სახელსა თუ სიკეთის ჯილდოს უხმობენ კაცნი“.**

კაცმა თვითონ, თავისივე თავისუფალი ნებით უნდა ირჩიოს, რა გზას დაადგეს: სიკეთისას თუ ბოროტებისას. თუ ყველაფერი ღვთიური განგების გარდავლენაა, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, და არავის ძალუძს მისი შეცვლა, თუ კაცი — უნივერსალური მთელის ნაწილი, ყველა სხვა ნაწილის მსგავსად, ამავე აუცილებლობას ექვემდებარება, რჩება კია მას თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა? სტოელთა მიხედვით — რჩება: ესაა „ნებაყოფლობითი მორჩილება ბედისწერის მიმართ“, — პასუხობს სენეკა. (უფრო გვიან ნეტარი ავგუსტინე იტყვის: „უფლის მონობა — აი, უმაღლესი თავისუფლება“).

სტოიციზმი კი, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლისა და მოქმედების ფილოსოფიაა. აქ მას ორგანულად ერწყმის ჩვენთვის ეგზომ ნაცნობი და მშობლიური მოტივი: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...“

**„ხშირად უსამართლობას სჩადის არა მარტო მოქმედი, არამედ უქმად მყოფიც“. „სიცოცხლე მოკლეა, ამიტომ სიმართლისა და კეთილგონიერების სამსახურს უნდა მოვახმაროთ აწმყო“, „დაე ყოველი შენი სწრაფვა თუ მოქმედება საზოგადო სიკეთის დამკვიდრებას ისახავდეს მიზნად, რადგან ესაა ერთადერთი რამ, რაც შენს ბუნებას ესატყვისება“, „... შეუძლებელია ბედნიერი არ იყოს მოქალაქე, რომელიც მთელი სიცოცხლე თანამოქალაქეთა სასიკეთოდ იღვწის და რომელიც სიხარულით იღებს ყველაფერს, რასაც მშობლიური ქალაქი არგუნებს წილად“.**

და როცა ჩვენ ერთმანეთს ვუდარებთ მარკუს ავრელიუსის „შინაგან და გარეგან ბედს“ პარადოქსად აღარ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ეს მრავალტანჯული კაცი ბედნიერი იყო; ბედნიერი იყო მაშინ, როცა ფიქრობდა, რომ მისი ჰუმანური კანონები ოდნავ მაინც უმსუბუქებდნენ მძიმე ხვედრს ჩაგრულთ და მიუსაფართ, როცა ტრიუმფით ბრუნდებოდა რომში და თავისი თანამოქალაქეების სიხარულით გაბრწყინებულ თვალებში კითხულობდა, რომ მისი სამშობლო კვლავ თავისუფალია, და მაშინაც, როცა ახალ ჭეშმარიტებას პოულობდა თავისი თავისა და მთელი კაცობრიობისათვის.



საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

> „შური არს წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა“
>
> **საბა**

# შური — ნაბიჯი კაენამდე

ევას პირმშომ, კაენმა, მოკლა თავისი ძმა, აბელი და ასე განხორციელდა ძმათამკვლელობის პირველი ცოდვა. ეს საშინელება კაენს შურმა ჩაადენინა. „მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს, ხოლო კაენს და მის ძღვენს არ მოჰხედა“. აღივსო კაენი შურით, გაიყვანა ველად და „დაეცა კაენი აბელს და მოკლა“. მას შემდეგ შური სამარცხვინო გრძნობად ითვლება. მაგრამ... რომელი ჩვენთაგანი არ შეუპყრია შურს? „უთხრა უფალმა კაენს: რად გამწარდი, რად ჩაღუნე თავი?“ ცხადია, ჩვენ კაენები არა ვართ; თითქოს ძალგვიძს კიდეც ამ გრძნობის დაფარვა, მაგრამ სახეზე რომ გვაწერია? შურის გრძნობას არცთუ იშვიათად გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ. ოდითგან ეს გრძნობა არაერთ მბრძანებელს გამოუყენებია მტრის ხატის შესაქმნელად. უძველესი ლეგენდები სავსეა მსგავსი მაგალითებით. თუმცა, არც ყოველდღიურ ცხოვრებაშია ნაკლები. სწორედ ეს მძლავრი ემოცია გამოიყენა სტალინმა კოლექტივიზაციის დროს. საკმარისი იყო მცირეოდენი ბიძგი, რომ ერთმანეთის შურით გონებადაბნეულთ სასიკვდილოდ გაეწირათ მეზობლები და ახლობლები. ასე გადაიქცა იმ წლებში შური ყოვლისდამანგრეველ ძალად.

ასეთი რამ არც ჩვენი დღეებისთვის აღმოჩნდა უცხო. გავიხსენოთ, როგორ განიხილებოდა კანონი არენდის, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, როგორ უწევდნენ პროპაგანდას ჩვენი დეპუტატები მიწაზე თანასწორობის იდეას და ამით ერთმანეთისადმი შურის გრძნობას აღვივებდნენ. და არავინ დაფიქრებულა, შეიძლებოდა თუ არა თანაბრად გაენაწილებინათ მიწა ესოდენ განსხვავებული ხასიათის, შრომისუნარიანობის, ნიჭისა და მსოფლშეგრძნების ადამიანებისთვის.

თუმცა, დავუბრუნდეთ შურის მექანიზმს. თუ იგი გამოწვლილვით არ განვიხილეთ, ამ მავნე ემოციას ვერ დავძლევთ. ემოცია ხომ ჩვენი გონების ავტომატური ქმედების, იმ ოპერაციების შედეგია, რომლებიც განსაზღვრული პროგრამის მიხედვით ქვეცნობიერად სრულდება. თუ ჩვენ მივხვდებით, რა გონებრივი ოპერაციები განაპირობებს შურის წარმოშობას, შევამჩნევთ, რომ ამ დროს ჩვენი გონება დაკავებულია ერთი რამით — ჩვენ გამუდმებით ვადარებთ საკუთარ თავს სხვებს. შედარება კი, როგორც წესი, რაიმე არსებითი ნიშნის მიხედვით ხდება: რამდენი ნიშნადი თვისებაცაა, იმდენი შედარების ობიექტია. ამასთან, ადამიანი საკუთარ თავს ავტომატურად სხვებს ადარებს, რის შედეგადაც თვით ემოციის ჩასახვის პროცესი კონტროლს ველარ ექვემდებარება, თუმცა შედარება თავისთავად არ ბადებს ემოციას, ამისთვის ერთი აუცილებელი პირობაა საჭირო, კერძოდ, შესადარებელ ობიექტთან თანასწორობის აღიარება. ჩვენ ხომ შეუდარებელს არ ვედრებით, ვთქვათ არაბეთის შეიხს, რომელსაც აურაცხელი ფული აქვს, არამედ მოყვასს, რომელიც ჩვენზე მდიდარია. ასე რომ, შურის კულტივირებისთვის აუცილებელია ადამიანთა თანასწორობის იდეის კულტივირება. ყოველ შემთხვევაში, იმათი თანასწორობა, ვინც არ შეიძლება იყოს თანასწორი. ამის გამო იწყება უკმაყოფილება, ირთვება ფსიქიკური თავდაცვის მექანიზმი, შურის ნიადაგზე წარმოშობილი ტანჯვა ისეთი ძლიერი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თავდაცვის მექანიზმი აგრესიაში გადაიზარდოს.

შურს კონტრასტული ემოციები გააჩნია. ეს არის სიამაყე. იქნებ სიამაყე რთავს შურის მექანიზმს? ამიტომაც, თუ გვსურს, თავი დავაღწიოთ ამ დამღუპველ ემოციას, ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენსავე საკუთარ თავში მიმდინარე შედარების პროცესს. ეს ადვილი არ არის. ცხადია, შედარების გარეშე არ შეგვიძლია, ჩვენც გვედრებიან სხვები; გვაპროგრამებენ, ქმედებებსაც თავს გვახვევენ არსებული სტერეოტიპების დახმარებით, ამგვარი სტერეოტიპები კი ასობითაა. ჩვენც ან გვშურს, ან ვამაყობთ და თუ ეს მართლა ასეა, გადავიქცევით საშუალებად, ადვილად სამართავ ინსტრუმენტად.

ერთმა რომაელმა პოეტმა თქვა: „ვიდრე სრულ ჭკუაზე ვარ, არვის შევადარებ ჩემს სატრფოს!“ იგი მართალი იყო. ზოგჯერ შედარება არათუ უადგილოა, არამედ შემბღალავიც. არ შეადარო, — არ იამაყო, არ იშურნო! ძალიან ბევრისთვის ეს წარმოუდგენელია. როგორ არ შევადაროთ, როცა ეს ბავშვობიდანვე გვიძევს ფსიქიკაში, ჩვენ ხომ გარესამყაროს შედარების საშუალებით ვსწავლობთ. სამყაროს ყველა ნიშანი, რომელთაც შევიცნობთ, ითვალისწინებს შედარების გონისმიერ აქტს. შედარება ადამიანის ჩვეული საქმიანობა ხდება და დროთა განმავლობაქი ეს ჩვევა ავტომატურად ირთვება. და როგორც საკუთარი სახელის გაგონებაზე ადამიანი თავს აბრუნებს, ასე შედარებაც ავტომატურად ირთვება ხან შურად, ხან სიამაყედ.

ამ პროცესისადმი დაპირისპირება ნიშნავს, ამაღლდე წყენაზე, დათრგუნო შური. ადამიანებს, რომელთაც საკუთარი ემოციის შეფასება შეუძლიათ, ძალუძთ სრულყოფილება, სულიერი ამაღლება. ხოლო მათ, ვინც შურისაგან იტანჯება, პირველ ყოვლისა, უარი უნდა თქვან თანასწორობის იდეაზე.

დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვები და თავადვე უპასუხეთ: „რას ვადარებ?“, „საიდან მოდის ჩემი შური?“, „მართებულია თუ არა შედარება?“, „ჩემი მსგავსია მოყვასი?“, „რატომ არის ის ჩემზე უკეთესად?“, „მაქვს თუ არა რაიმე საამაყო?“, თუ თქვენ შეატყობთ, რომ სიამაყის ნიადაგზე ფარშევანგის „მარაო“ გეზრდებათ, დაფიქრდით, უარესისაგან არა ხართ დაზღვეული. ქრისტიანულ მოძღვრებაში უდიდეს სიბრძნედ გამოსჭვივის თავმდაბლობა. უფალი გვმოძღვრავს: „ნუ განიკითხავთ და არ იქნებით განკითხულნი“. დაფიქრდით, რას ნიშნავს ეს მედიდური აზროვნების თვალსაზრისით: განსაკითხავად საჭიროა შედარება. ძველი სიბრძნე კი მოგვიწოდებს, უარი ვთქვათ ამაზე, ყოველ შემთხვევაში, არ ჩავრთოთ საკუთარი „მე“. ადამიანური ურთიერთობანი ვარაუდობს საკუთარი „მეს“ გამოცალკევებას შედარების შედეგებისაგან. არ განიკითხო, მაშასადამე არ შეადარო.

თუ მე ძალმიძს შევაკავო ჩემი ემოცია და დავფიქრდე, რა არის მისი წარმოშობის საფუძველი, მაშინ შევძლებ, დავიმორჩილო იგი და ჩემი ცხოვრებაც გაცილებით ასატანი გახდება.

**„ნაუკა ი რელიგია“**





ჩანახატი

ამ ნახატების ავტორს — ზურაბ წემსაძეს — ბრწყინვალე ფერმწერს, მოქანდაკეს და პოეტს — ჩუმი, ოვაციებს მოკლებული ჯაფა ახასიათებს. თუმცა ჩვენს თხოვნას ის გულისხმიერად მოეკიდა და ასე ვთქვათ, „დაგვწებდა" — არქეოლოგიური ნაპოვნის მსგავსად, გამოვამზეუროთ მისი ნახატები. და ჩვენც, შეძლების დაგვარად, გამოგვაქვს ქართული საზოგადოებრიობის ფართო წრის სამსჯავროზე მისი ნამუშევრები.

მხატვრის თხოვნით, თავი შევიკავეთ საზღვარგარეთ მისი მრავალი და დიდი წარმატების ნუსხის ჩამოთვლისაგან, რადგან მიგვაჩნია, რომ ჟურნალში დაბეჭდილი ნამუშევრები თვით განმარტავენ თავიანთ არსს და თვითონ იტყვიან თავის სათქმელს.

მეფე



ეროვნული ბიბლიოთეკა





გურამ

თვალსაწიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაოკოონი



იგავი

ნემსაძე



კომპოზიცია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარელიეფი

თუჯის ფიგურა



ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

შოთა რუსთაველი.

თამაზ ნატროშვილი.

# ბორის პასტერნაკი— ლ. პ. ბერიას



მარჯვნიდან მარცხნივ ტიციან ტაბიძე და ბორის პასტერნაკი

გაზეთები იუწყებოდნენ, რომ საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი, მიძღვნილი ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთველის მიერ უკვდავი პოემის დაწერის 750 წლისთავისადმი, საზეიმოდ გაიხსნა რუსთველის სახელობის თეატრში 1937 წლის 24 დეკემბერს.

თბილისში სტუმრად ჩამოსულთა შორის იყვნენ ცნობილი რუსი მწერლები: ფადეევი და ტიხონოვი, ლეონოვი და ფედინი, დემიან ბედნი და ილია ერენბურგი, სურკოვი და მიხალკოვი, ანტოკოლსკი და ზაბოლოცკი, უკრაინელები პავლო ტიჩინა და მიკოლა ბაჟანი, ბელორუსი იანკა კუპალა, სომეხი ავეტიქ ისააკიანი, აზერბაიჯანელი სამედ ვურღუნი, ყაზახი ჯამბული და კიდევ სხვანი, შედარებით ნაკლებად ცნობილნი.

უცხოელთაგან ესწრებოდნენ ანტიფაშისტი მწერლები: ბელევი (ბულგარეთი), პლია — ბელტრანი (ესპანეთი), ლაქსნესი (ისლანდია).

ალექსეი ტოლსტოიმ ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ ჩამოვიდა. სხვათა შორის, წითელი არმიის სახელგანთქმული მხედართმთავარი, მარშალი ბუდიონიც კი იყო მოწვეული თბილისში, მაგრამ „ბოლშევიკური სალმის" გამოგზავნით დაკმაყოფილდა.

ერენბურგი თავის მემუარებში გადმოგვცემს, რომ საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში იჯდა ბერია და როდესაც ზოგიერთი გამომსვლელი მას ხოტბას ასხამდა, ყველანი ფეხზე დგებოდნენ და ტაშს უკრავდნენ, ბერიაც აჰყვებოდა ტაშს და თავმომწონედ იღიმებოდაო.

ერთი სიტყვით, თბილისში გამართულ ზეიმს ესწრებოდა ყველა, ვინც უნდა დასწრებოდა და ისიც, ვინც არ უნდა დასწრებოდა, მაგრამ იქაურობას თვალში საცემად აკლდა ორი კაცი, სახელდობრ ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის მშვენება — ტიციან ტაბიძე და ქართული ლექსის უბადლო მთარგმნელი — ბორის პასტერნაკი.

ტიციანის არყოფნა, ვაი რომ, გასაგებია. ვერაფრით ველარ დაესწრებოდა, რადგანაც უკვე აღარ იყო ამქვეყნად, მაგრამ პასტერნაკს რაღა დაემართა? ნუთუ არ მოიწვიეს თბილისში? როგორ არ მოიწვევდნენ! თბილისი რა მოსატანია, პარიზსა და ლონდონში ნატრობდნენ „რუსული პოეზიის სინდისად" წოდებული კაცის სტუმრობას.

რა თქმა უნდა, მოიწვევდნენ და მოუთმენლადაც ელოდებოდნენ, მაგრამ პასტერნაკი არ ჩამოვიდა.

„როგორ უნდა წავსულიყავი საქართველოში იმ დროს, როდესაც იქ უკვე აღარ იყო ტიციანი?! იცით, როგორ მიყვარდა!" — მოგვიანებით უთქვამს თავისი ახლო ნაცნობისათვის.

## სათქმელი სჭარბობდა გამოთქმულს

როგორც ცნობილია, ბორის პასტერნაკი ოცდაათიანი წლების დამდეგს ზედიზედ ორჯერ ეწვია საქართველოს, რომელიც მისთვის გადაიქცა „მეორე სამშობლოდ".

ჩვენი ქვეყანა გაიცნო იმ ხანებში, როდესაც, ანდრეი ბელის გონებამახვილი შენიშვნით, მატერიალიზმის ზეიმმა ამქვეყნად გააუქმა მატერია. აღარც საჭმელ-სასმელი მოიპოვებოდა, აღარც ჩასაცმელი; ირგვლივ არაფერი იყო ხელშესახები, ხოლო მგზნებარე და ოპტიმისტური იდეები ნათელ მომავალს უქადდა პლანეტის ერთ მეექვსედს და შემდგომში — მთელ პლანეტასაც.

პასტერნაკი თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი" წერს: თუკი ჩვენ მაშინ სული არ გაგვძვრა შიმშილით, ეს მხოლოდ და მხოლოდ თბილისელი მეგობრების დამსახურება გახლავთო.

სწორედ იმ წლებში ჩაეყარა საფუძველი პასტერნაკის პირადსა და შემოქმედებით მეგობრობას ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან...

პასტერნაკის დაინტერესება ქართული პოეზიით დააგვირგვინა 1935 წელს მოსკოვში გამოცემულმა კრებულმა „ქართველი ლირიკოსები", სადაც ტიციანის ხუთი საუკეთესო ლექსის თარგმანიც იყო შეტანილი (სხვათა შორის, პასტერნაკმა ეს წიგნი, მოკლე წერილის თანხლებით, გაუგზავნა სტალინს).

დიდებულმა რუსმა პოეტმა, თავისი სიცოცხლის მიწურულში, ასეთი შეფასება მისცა უდროოდ დაღუპული ქართველი თანამოკალმის შემოქმედებას:

„ტიციან ტაბიძის პოეზიაში განმსაზღვრელია ლირიკული პოტენციის დაუშრეტელობის შთაბეჭდილება, რომელიც თან ახლავს ყოველ მის ლექსს; გრძნობ, რომ იგი ამოწურული არ არის, რომ ის, რაც პოეტმა კიდევ უნდა თქვას, რაც მას დარჩა სათქმელი, აშკარად სჭარბობს უკვე გამოთქმულსა და განდობილს. ეს ხელუხლებელი სულიერი მარაგი ქმნის ტიციანის ლექსების ფონსა და მეორე პლანს და ანიჭებს მათ იმ თავისებურ განწყობას, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი მათგანი და რაც შეადგენს მათს უმთავრეს ტკბილ-მწარე სიმშვენიერეს. მის ლექსებში იმდენივეა სულიერება, რამდენიც იგი თვით მის არსებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ტიციანი კი რთული, ღრმა, მუდამ სიკეთისაკენ მიმართული სულისა და თავგანწირული სულისკვეთების ადამიანი იყო".

მოყვასის სიყვარული პასტერნაკისათვის მხოლოდ სადღეგრძელოში სათქმელს როდი წარმოადგენდა. სიტყვას, უპირველეს ყოვლისა, ამტკიცებდა საქმით და, ქრისტიანული მრწამსის თანახმად, არასოდეს ლამობდა, რომ მთელი ქვეყნისათვის ეუწყებინა თავისი სიკეთე, თავდადება მოყვასისათვის.

წლების მანძილზე ანუგეშებდა ეულად შთენილ ნინო ტაბიძეს, ამხნევებდა, აიმედებდა და, ამასთან ერთად, მატერიალურ დახმარებასაც უწევდა.

კომპეტენტურ ორგანოთა გარდა არავინ იცოდა ტიციან ტაბიძის ასავალ-დასავალი. თითქმის ოცი წელიწადი გაგრძელდა გაურკვევლობა. არც ცოცხალი იყო და არც მკვდარი. უმწეო იმედი ხან სანთელივით აციმციმდებოდა, ხანაც ქრებოდა.

## სანატრელი ჯილდო

პასტერნაკს არ ეზარებოდა წერილების წერა.

1938 წელს ამცნობდა ნინო ტაბიძეს: ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მიყვარს ტიციანი, მაგრამ არ ვიცოდი, თუ რამხელა ადგილი ეჭირა, გაუცნობიერებლად და ჩემდაუნებურად, ჩემს ცხოვრებაშიო. ამას ვთვლიდი გრძნობად და არ ვიცოდი, რომ ეს იყო ზღაპრული ფაქტიო.

1939 წელი: „მომიტევეთ, რომ გწერთ. ალბათ, საჭირო არ იყო თქვენი აფორიაქება. ახლახან, სულ ახლახან, ჩემამდე მოაღწია ხმამ, ტიციანი ცოცხალი აღარ არისო. მიხვდებით, რაც დამემართებოდა. მაგრამ აგერ, რამდენიმე საათის წინ მითხრეს, რომ ეს მონაჭორი ყოფილა და თურმე მოიპოვება საწინააღმდეგო მოწმობანი. შინ დაბრუნებისას სიხარულით ვბარბაცებდი და ახლა წერილს რომ გწერთ, იმედი უკვე გადამექცა რწმენად. მაგრამ მინდა, რომ დამისაბუთოთ, მითხრათ, რომ ის ნამდვილად ცოცხალია. მიდეპეშეთ ანდა მომწერეთ".

1944 წელს, ნინო ტაბიძის წერილში ამოუკითხავს მინიშნება იმისა, რომ ტიციანი ცოცხალია. გულახდილად აღიარებს, არ ძალმიძს დავიჯერო ამგვარი ბედნიერებაო. და თუკი ამ ვარაუდს რაიმე ალბათობა აქვს, კიდევ უფრო უზომო მომეჩვენება წყალობა ღვთისა, ყოველდღე და ყოველ ნაბიჯზე ისედაც რომ მანცვიფრებსო.

1945 წლის შემოდგომაზე პასტერნაკი თბილისში მოიწვიეს ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეზე.

საიუბილეო ზეიმში თავისი მონაწილეობის უპირველეს პირობად პასტერნაკმა წამოაყენა ნინო ტაბიძის დასწრება. ტიციანის დაპატიმრების დროიდან ეს იქნებოდა მისი პირველი გამოჩენა ფართო საზოგადოების თვალწინ. რესპუბლიკის მესვეურებმა, როგორც ჩანს, ანგარიში გაუწიეს სახელოვანი რუსი პოეტის არცთუ მისასალმებელ ახირებას და დათანხმდნენ. 19 ოქტომბერს, რუსთაველის სახელობის თეატრში ბარათაშვილის ლექსებს რომ კითხულობდა, პასტერნაკი ხაზგასმით მიმართავდა ტიციანის მეუღლეს, თითქოსდა მარტოოდენ იგი ეგულებოდა მსმენელად.

მეტი რა უნდა ექნა, სხვაგვარად როგორ უნდა გამოეხატა თავისი სიყვარული და პატივისცემა უგზოუკვლოდ გამქრალი მეგობრისადმი. ტიციანისა არ იყოს, ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი სინდისით არც კი მოეთხოვებოდა. სხვა რა უნდა ექნა, რა უნდა ეღონა?!

1946 წელს სწერდა სიმონ ჩიქოვანს: წუხელის, ძილში თითქოს სადღაც მთებში ვიმყოფებოდი და მთელი ღამე ტიციანი მესიზმრებოდაო.

1949 წლის 15 ოქტომბერს სწერდა ნინო ტაბიძეს: „ჩემო ძვირფასო მეგობარო ნინა! იცოდეთ, როგორი უბედურება დამატყდა თავს და შემიბრალეთ. ცხოვრებამ სიტყვასიტყვით გაიმეორა უკანასკნელი სცენა ფაუსტისა — „მარგარიტა დილეგში". ჩემი საბრალო ოლგა ჩვენი ძვირფასი ტიციანის გზას გაჰყვა".

წლების მანძილზე ანუგეშებდა ნინო ტაბიძეს, მაგრამ 1953 წლის 7 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში სასოწარკვეთილი უმხელს: დიდი ხანია აღარა მჯერა, რომ ტიციანი ცოცხალი არისო. პასტერნაკის სიტყვით, ისეთ დიდსა და ძალზე უჩვეულო ადამიანს, რომელიც თავის ირგვლივ გულუხვად აფრქვევდა სინათლეს, ვერ დამალავდნენ იმგვარად, რომ ნებისმიერი საკნიდან მისი არსებობის ნიშნებს არ გამოეჟონა.

და მერე, იმავე წერილში, ისევ გადაედება თავისი ადრესატის აღორძინებული რწმენა: თუკი ტიციანი ცოცხალი დაგვიბრუნდა, ეს წარმოუდგენელი ბედნიერება იქნებაო.

პასტერნაკი მიიჩნევს ამ დაბრუნებას ისეთ ჯილდოდ ბედისაგან, რომლის მსგავსი არასოდეს ღირსებია საზღაურად თავისი უზარმაზარი შემოქმედებითი შრომისა, შექსპირის თარგმნა იქნებოდა თუ გოეთესი, ანდა თითქმის დასრულებული რომანი „ექიმი ჟივაგო". არავითარ აღიარებას, სახელსა თუ ფულს, ამქვეყნად არაფერს ძალუძს ამინაზღაუროს დახარჯული სულიერი და ფიზიკური ძალ-ღონე, საშინლად მინდა, რაღაც ტოლფასი ჯილდო მივიღო, რადაც სწორედ ტიციანის დაბრუნებას ჩავთვლიდიო.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს მთავრდება თავის მოტყუება, უსუსური ილუზიები და ნუგეშისცემა დაქვრივებული ქალის მისამართით. ბოლო მოეღო გაურკვევლობას და სასტიკი სინამდვილის ეჭვმიუტანელმა ცნობამ გააცამტვერა იმედის პაწაწკინტელა მარცვალი. გულიც ამას ეუბნებოდა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც ადასტურებდა მწარე ვარაუდს.

1955 წელი: „მე ყოველთვის გუმანით ვხვდებოდი ამ საშინელ სიმართლეს. და სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა ჩემი შეხედულებანი, ჩემი დამოკიდებულება დროჟამთან და მის მთავარ წარმომადგენლებთან... საბრალო, საბრალო ტიციანი, წილად რომ ერგო გაევლო გზა წამებისა".

კეთილშობილი ადამიანი გაწეული სიკეთისათვის სამაგიეროს გადახდას როდი ელოდება, მაგრამ რაოდენ სასიხარულოა, როდესაც არ ავიწყდებათ ამაგი.

## ვედრება

პოეტის უფროსი ვაჟი — ევგენი პასტერნაკი თავის წიგნში „ბორის პასტერნაკი. მასალები ბიოგრაფიისათვის" აღნიშნავს, რომ 1940 წლის ივლისში პასტერნაკთან გაჩერდა ქმრის საშველად მოსკოვში ჩამოსული ნინო ტაბიძე. ამ საქმეში პასტერნაკიც მონაწილეობდა, მაგრამ ტიციანის შესახებ ვერაფერი შეიტყვესო.

ევგენი პასტერნაკი მიუთითებს, რომ თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში დაცულია ბორის პასტერნაკის წერილი ლავრენტი ბერიას სახელზე (ეს დოკუმენტი ამჟამად ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის თბილისის ლიტერატურის მუზეუმში. მისი მიკვლევისა და გაცნობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ მუზეუმის მეცნიერ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამშრომლებს: მარინე ყიფიანს, სვეტლანა ჩერნიავსკაიას და გურამ ვანიძეს).

წინასწარვე უნდა შევნიშნო, რომ პასტერნაკის მიერ დაწერილ წერილს ხელს აწერს ნინო ტაბიძე. მკითხველს ვაცნობ ამ წერილის ქართულ თარგმანს:

„ლავრენტი პავლოვიჩ!

აი, ვედრება ჩემი ცხოვრებისა — გაეცით ბრძანება, რომ გადასინჯონ ჩემი ქმრის ტიციან ტაბიძის საქმე.

დღეები გადიან, შეუმჩნევლად მეპარება სიბერე, და თუმცა უკვე თითქმის სამი წელიწადი ამოგლეჯილია მისი არსებობიდან — უსარგებლოდ, რომელიღაც საბედისწერო შეცდომის გამო — მაგრამ ჯერ კიდევ არის დრო, რომ რაღაც გამოსწორდეს, ხვალ კი შეიძლება გვიანი იყოს.

ვალი ჩემი, როგორც ცოლისა, მისი შესაძლებელი მომავლის წინაშე, მკითხველისა და მისი მრავალრიცხოვანი რუსი მეგობრების წინაშე, ის არის, რომ მთელი ჩემი ძალ-ღონე გავიღო ამ საშინელი გამოცანის ამოსახსნელად, აღვადგინო სიმართლე და მივაღწიო მის განთავისუფლებას. მაგრამ თქვენ უჩემოდაც იცით, როგორი კედელი დაუდგება წინ ჩემს ძალისხმევას, თუკი თავად თქვენ არ ინებებთ, რომ დიდსულოვნად გამიწიოთ შემწეობა.

მოიღეთ მოწყალება, დამიშვით თქვენთან მიღებაზე და გაეცით განკარგულება, რათა ეს შევიტყო.

ნება მომეცით, მთელი თვინიერებით მოგახსენოთ, რომ მე სრულიადაც არ მივიჩნევ თავს დამნაშავის ცოლად. ფიქრი ტიციან ტაბიძის (ვის გვარსაც სიამაყით ვატარებ) რაიმე ნამდვილი შებღალვის თაობაზე ვერ თავსდება ჩემს სულში.

მაგრამ თუკი ეს ჩემი უმეცრების ბრალია, და რომელიღაც სხვა ცნებათა მიხედვით, მას რაღაც დანაშაული ჩაუდენია, მაშინ შეიწყალეთ იგი, მიუტევეთ მას, რითაც აიძულებთ მშვენიერებისა და ჭეშმარიტების, უიარაღო გულთბილობისა და ბავშვური უმანკოების ყველა მოყვარულს — დალოცონ თქვენი სახელი ამგვარი საჩუქრისათვის".

წერილი, მიუხედავად ჟანრობრივი თავისებურებისა (ვედრება!) გამსჭვალულია საკუთარი ღირსების შეგნებითა და სიმართლის ურყევი რწმენით.

ამიტომაც არის, რომ ბოლო აბზაცი, სადაც დაშვებულია ვარაუდი ტიციან ტაბიძის შესაძლებელი დანაშაულის შესახებ და მოხმობილია კნინობითი გამოთქმები (შეიწყალეთ, მიუტევეთ), ბორის პასტერნაკს დაწერით კი დაუწერია (ორგანოებში უყვარდათ, როდესაც დანაშაულს აღიარებდნენ), მაგრამ, ეტყობა, ფიქრისა და განსჯის შედეგად გადაუხაზავს. ცხადია, მანქანაზე გადაბეჭდილ პირში არ შეიტანდა.

პასტერნაკის ხელწერა და მისივე სტილი ეჭვმიუტანლად ადასტურებს ავტორის ვინაობას, მაგრამ პოეტი ამჯერად ნინო ტაბიძის სათქმელს აუწყებს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს.

## დაკარგული ჰქონდა ფასი

ორჯერ გამოექომაგა პასტერნაკი თავის კოლეგებს უშუალოდ სტალინთან. 1934 წელს, მისი წყალობით ოსიპ მანდელშტამს სასჯელი შეუმსუბუქეს, გადასახლება აკმარეს; ხოლო 1935 წელს, კვლავ პასტერნაკის ჩარევის შედეგად, პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს ანა ახმატოვას მეორე მეუღლე — ნიკოლოზ პუნინი და ერთადერთი შვილი — ლევ გუმილიოვი.

როდესაც ესარჩლებოდა მოყვასთ, პასტერნაკი საფრთხეში აგდებდა თავის რეპუტაციას და, რასაკვირველია, სიცოცხლესაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცეცხლს ეთამაშებოდა. შემდგომში აკი აღნიშნავდა კიდეც: „იმ საზარელ და სისხლიან წლებში ყოველი ჩვენგანი შეიძლება დაეპატიმრებინათ. ბანქოს დასტასავით გვფურცლავდნენ".

გონიერი, უხმაურო ცხოვრების წესისა და საზღვარგარეთ პოპულარობის გამოისობით, ეგებ, სხვებზე მეტად იყო დაზღვეული ხიფათისაგან, მაგრამ მოსდგამდა გარკვეული გულადობაც, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ბრძოლის ველზე გამოჩენილ გულადობას.

მაშ რატომღა ამოეფარა ტიციან ტაბიძის მეუღლის სახელს? პირადად რატომ არ გამოექომაგა მეგობარ პოეტს?

მისი ამგვარი პასიურობა, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ 1940 წელს, წინარე წლებისაგან განსხვავებით, ხელისუფლება უკვე ალმაცერად უყურებდა პასტერნაკს, რაშიც თვითონვე მიუძღოდა ბრალი, თუკი ამას ბრალი ეთქმის.

1936 წლის დამდეგს, მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიაზე (ფორმალიზმის შესახებ) თავი ვერ შეიკავა და გამოესარჩლა „პილნიაკებს" და „ლეონოვებს", რომელთაც, პასტერნაკის გამოთქმით, „სრული არარაობანი" დაუნდობლად თათხავდნენ (გვარების მრავლობითი რიცხვიც ამას გამოხატავდა). პასტერნაკი მოგვითხრობს: პასუხისმგებელი და ოფიციალური პირნი გაოცდნენ, თუ რატომ მივძვრებოდი ამხანაგთა გამოსაქომაგებლად, როდესაც მე არათუ შემხებია ვინმე, გულშიც არ გაუვლიათ შეხება. მაგრამ გაოცებას ვინ ჩივის, სასტიკად დატუქსეს ზედმეტი სითამამის გამო.

1936 წლის შემოდგომიდან პასტერნაკის მისამართით პრესაში გამოთქმული კრიტიკა გახშირდა და გამძაფრდა. პოლიტიკური ბრალდებანიც წამოუყენეს. მწერალთა კავშირის მდივანმა სტავსკიმ მისი ლექსების ციკლს („საზაფხულო ჩანაწერებიდან"), რომელიც ეძღვნებოდა „თბილისელ მეგობრებს", საჯაროდ უწოდა „ცილისწამება საბჭოთა ხალხზე".

ზემოხსენებული ლექსები, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება მონათლო აპოლიტიკურ ლექსებად (იმდროინდელი საზომით), მაგრამ მათი გამოცხადება „ცილისწამებად საბჭოთა ხალხზე" მართლაც რომ ცილისწამებას უდრიდა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, განა საბჭოთა ხალხების მრავალგზის დეკლარირებულ მეგობრობას არ ემსახურებოდა დიდებული რუსი პოეტის სიყვარული, რომელიც მან უწილადა საქართველოსა და ქართველ მეგობრებს?

ასეა თუ ისე, ხელისუფლება აღარ სწყალობდა ბორის პასტერნაკს და პოეტიც ლიტერატურის ავანსცენიდან კარგა ხნით მიიყუჟა კულისებში. 1937—1939 წლებში ერთი ლექსიც არ დაუწერია. მთლიანად ჩაეფლო მთარგმნელობით მოღვაწეობაში.

შერისხული პოეტი თავს ძალას თუ დაატანდა და თავისი სახელით გაუგზავნიდა წერილს იმავე ლავრენტი ბერიას, ალბათ, ამაოდ დაშვრებოდა, თუნდაც ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო ტიციანი.

თავის დროზე სტალინის მიერ „ზეცის ბინადრად" წოდებული ბორის პასტერნაკის სიტყვას და თხოვნას, ხელისუფლების თვალში, უკვე დაკარგული ჰქონდა ძველებური ფასი.



დავით კვიტაიშვილი

ამ მოგონების ავტორი, ოთხმოცს მიტანებული ხანდაზმული [illegible] ქუთაისელი პედაგოგი შოთა შავგულიძე მამაჩემის, აწ გარდაცვლილი ბავშვთა ექიმის, დავით კვიტაიშვილის კატორღელი მეგობარი გახლავთ. რამდენიმე თვის წინ „ლიტერატურულ საქართველოში" მან გამოაქვეყნა ძალზე საინტერესო მოგონება ჩვენს სახელოვან მწერალზე ლევან გოთუაზე.

ფაშისტურ ტყვეობაში გატარებული წლების შემდეგ ეს ჭმუხი, შეუდრეკელი ვაჟკაცი არანაკლებ სასტიკ საბჭოთა ჯოჯოხეთში მოხვდა, რამდენჯერმე სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. ბოლოს იმიერპოლარეთში გადაასახლეს, კომის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქ ვორკუტაში, სადაც ის და მამაჩემი ერთმანეთს დაუახლოვდნენ. სწორედ ეს ეპიზოდებია აღწერილი მოგონებაში.

ერთ დროს მრავალრიცხოვანი ვორკუტელი ქართველებიდან დღეს თითო-ოროლაღაა დარჩენილი ცოცხალი. ბატონი შოთა ერთი იმათაგანია. ათეული წლების განმავლობაში იგი ისტორიას ასწავლიდა გუმათის სკოლა-ინტერნატში. ამ საგნის საუკეთესო სპეციალისტი და გერმანული ენის კარგი მცოდნეა. საუცხოო მეხსიერების პატრონს, კალამიც მშვენივრად უჭრის, სხვანაირი მადლი მოსდევს, რაშიც მკითხველს ეს მოგონებაც დაარწმუნებს. მართალია, იგი, ძირითადად ჩემთვის ძვირფას ადამიანს ეხება, რამდენადმე პირადულია, მაგრამ, ვფიქრობ, საზოგადოებრივი ჟღერადობაც გააჩნია და ფართო მკითხველს ამიტომაც შევთავაზე.

ემზარ კვიტაიშვილი.

## შოთა შავგულიძე

პატიმრობაში და პატიმრობის შემდეგაც, როგორ მე, ისე ჩემი დღიურები, კარგა ხანს, ტაბუდადებულნი ვიყავით. ამჟამად ვფურცლავ მათ, ვათვალიერებ ძველ ჩანაწერებს, ვიგონებ მეგობრებს. ქართველ ვორკუტელთა სულიერი მეგობარი დავით კვიტაიშვილი, ვორკუტაში დიდ დავითად წოდებული, ექიმი-პედიატრი, პატიმრობისას თერაპევტად მუშაობდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჯერ კიდევ ხსენება არ იყო ატომური იარაღისა, რომ გერმანელებმა შექმნეს რაკეტების სერია ფაუ-პირველი და ფაუ-მეორე, რომლებიც მეტწილად ინგლისის წინააღმდეგ იყო გამიზნული. 1943 წლის მიწურულს გერმანულ გაზეთ „ფოლკიშერ ბეობახტერში" გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ჰიტლერმა მოინახულა რაკეტების პოლიგონი და გულდაჯერებულმა განაცხადა: „მე უკვე მზადა მაქვს მრისხანე რაკეტა „ფაუ მესამე" და თუ იძულებული შევიქენი, დიდ ბრიტანეთს ოკეანეში ჩავძირავ".

ეს მუქარა მხოლოდ ბაქიაობად დარჩა, მოკავშირეებმა გაიმარჯვეს. საბჭოთა დაზვერვამ შესძლო რაკეტებზე მომუშავე რამდენიმე მეცნიერის „მონადირება" — ხელში ჩაგდება. ისინი მოსკოვის მახლობლად, გასაიდუმლოებულ ბანაკში მოათავსეს.

1949 წელს პატიმარ მეცნიერთა ერთ ნაწილს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ყველაფერ იმას, რაც იმ ბანაკში ხდებოდა მკაცრ საიდუმლოდ შეინახავდნენ. ამის შემდეგ გადმოგზავნეს ვორკუტის კატორღელთა დახურულ ბანაკში. ჩვენთან მოხვდა ჩრდილოეთგერმანელი მეცნიერი, ჰამბურგელი კარლ ლანგე. მოიყვანეს საგანგებო მინაწერით, რათა გამოეყენებინათ მხოლოდ მაღაროში, მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე. კარლი ორმოცდაათ წელს გადაცილებული ჩანდა, ადამიანებთან ურთიერთობას გაურბოდა, სიტყვაძუნწი იყო. მუშაობის დამთავრების შემდეგ მაღაროდან ამოსვლა უჭირდა, ყველაზე ბოლოს ის გატარდებოდა ხოლმე აბანოში. ორჯერ წაიყვანეს სანიტარულ ნაწილში, მაგრამ მიწისზედა სამუშაო არ აღირსეს.

მესამე ჰორიზონტზე ვმუშაობდი. ამოვდივარ ზევით და ვხედავ — კარლი ცოცხალ-მკვდარი მოჰყავთ მისი ბრიგადის წევრებს, მივეშველე, ამოვიყვანეთ. იმ ღამეს, როგორც შევძელით, მოვუარეთ, ცოტათი მოვასულიერეთ. მეორე დღეს ექიმმა გასინჯა და მიკროინფარქტი დაუდგინა. საავადმყოფოში დააწვინეს. ორი თვის შემდეგ კარლი ბანაკში მოაბრუნეს. მოსვლისთანავე მოვიდა ჩემთან და მითხრა: ჩემი მკურნალი, დავით კვიტაიშვილი, ქართველი იყო და ქართველები ალბათ ყველანი ისეთი კარგები იქნებითო. მიამბო, თუ როგორი ძმური დახმარება გაუწია ბატონმა დავითმა კარლს — წამალი მიშოვა ისეთი, პატიმართა საავადმყოფოში არ აღმოჩნდა, დიდი იმედითა და კარგი დასკვნით გამომისტუმრა, ალბათ არ მოვკვდებიო. დიდხანს მიყვებოდა დავითის შესახებ — ას გერმანელ

ვორკუტაში



# კარლ [illegible] ვორკუტის დღიური



ექიმში გამოირჩევა თავისი პროფესიული ცოდნითა და გულისხმიერებითო; შენ დიდი სიყვარულით მოგიკითხაო, — მითხრა, — მე კიდევ არ გამომიშვებდა დავით ექიმი, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, — განაგრძო თხრობა კარლმა, — ჩემს გამოწერამდე ორი დღით ადრე საავადმყოფოში ბანაკის ჩეკისტებთან ერთად რეჩლაგის უფროსი, გენერალი დერევიანკო მოვიდა. შეგვათვალიერა პატიმრები და იკითხა: — ეს ავადმყოფები გამოჯანმრთელების მერე თუ შესძლებენ მაღაროში მუშაობას? ბანაკის უფროსმა კაპიტანმა დაასწრო დავით ექიმს და მოახსენა, რომ იქ მყოფი პატიმრები მაღაროში სამუშაოდ არ გამოდგებოდნენ. გენერალმა ერთხელ კიდევ ჩამოგვიარა, შეგვათვალიერა და ხმადაბლა ბრძანა, კბილებში გამოსცრა — ავადმყოფებისათვის კვების ნორმა მინიმუმამდე დაეყვანათ — ჭარხლის ან კომბოსტოს ნახარში და 150 გრამი შავი პური მიეცათ. მე პირველად დავინახე გენერალი დერევიანკო, ვიფიქრე, დიდი კაცის მოსვლას ველირსეთ, მოწყალების გარეშე არ დაგვტოვებს-მეთქი, მაგრამ მწარედ შევცდი, შიმშილით სიკვდილისათვის გაგვიმეტა და თავისი ამალით პალატიდან გავიდა. დავით ექიმი საგონებელში ჩავარდა, მთელი ღამე არ ეძინა. ბანაკის უფროსს მისწერა: „ავადმყოფთა უმრავლესობა პატიმრობის პერიოდში მაღაროში მუშაობდა, განკურნების შემდეგაც ისევ იქ დაბრუნდებიან“ და თხოვდა, შეენარჩუნებინა მათთვის საავადმყოფოში დადგენილი კვების ნორმა..

— შემდეგ რა მოხდა ვერ გეტყვით, — განაგრძო კარლმა, — მეორე დღეს დავით ექიმმა გამომწერა. ალბათ ჩათვალა, რომ ჩემთვის ასე აჯობებდა. მოვყავდი ბადრაგებს და თან მომყვებოდა დავით ექიმის სითბო და სიყვარული. დროდადრო დერევიანკოს უძრავი თვალები და ცივი გამოხედვა შემზარავდა ხოლმე. ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, სანამ გაგრძელდება ეს ჭიდილი? ვინ გაიმარჯვებს? ქართველი ექიმი, რომელიც იბრძვის სიცოცხლის გადასარჩენად, თუ რუსი გენარალი, რომელიც იბრძვის სიკვდილის მოახლოებისათვის... ღმერთო, ღმერთო, გვიხსენი!.. — წამოიძახა კარლმა და ფიქრს მიეცა. მეც მომიცვა დარდმა და ფიქრმა.

კარლმა სამედიცინო კომისიის დასკვნა მოიტანა: გამოიყენონ ბანაკის ტერიტორიაზე სამუშაოდ. დაიწყო მუშაობა ჩვენს ბანაკში მედლიურედ. ევალებოდა ბანაკის დაგვა, გათბობა, წყლის მოტანა, მაღაროელთა სველი ტანსაცმლის გაშრობა. მისთვის ეს სამუშაო დამამცირებელი იყო, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფისათვის — ასატანი.

1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, დასავლეთ გერმანიის მთავრობამ შესძლო დაედგინა ვორკუტის ბანაკებში მყოფი გერმანელების ვინაობა და წითელი ჯვრის მეშვეობით ამანათები გამოგზავნა.

1954 წლის ზაფხულში კარლ ლანგეს მოულოდნელად გამოუცხადეს — განთავისუფლებული ხარ, გამოიტანე შენი ბარგი და გამოდი ბარაკიდანო. შეშინდა კარლი. იფიქრა, დასახვრეტად თუ მივყავართო. მართლაც საშიში და არეული დრო იყო. ვორკუტის მაღაროებში პატიმართა უკმაყოფილება ძლიერდებოდა. ჩვენმა ბიჭებმა კარლი დავაიმედეთ, დავაწყნარეთ. გამომშვიდობებისას მთხოვა, ბატონი დავითისთვის დიდი მადლობა და კეთილი სურვილები გადამეცა. გაიყვანეს კარლი ათამდე გერმანელ პატიმართან ერთად. კარგახანს არაფერი ვიცოდით მათ შესახებ.

სამი თვე იქნებოდა გასული და დავითთან მოვიდა გერმანელი პატიმარი — მოუტანა შოკოლადი, კამფეტები, ყავა, რძის ფხვნილი, კონსერვები... აჩვენა მაღაროელის ხელთათმანი და უთხრა: — კარლ ლანგემ წასვლამდე ჩემთან შემოიარა ბარაკში, მიამბო ყველაფერი, შემითანხმდა და დამპირდა, თუ მართლა სამშობლოში დავბრუნდი, წითელი ჯვრის საშუალებით მოვახერხებ ამანათების გამოგზავნას... ხელთათმანები მაჩვენა, ამასთან წავიღებ და ერთ-ერთ ამანათში ეს ხელთათმანები იქნება ჩადებული. ხელთათმანებს ორი დანიშნულება ექნება: პირველი — მე უკვე სახლში ვარ, მოხუც დედასთან, მეორე — ეს ამანათი ექიმ დავით კვიტაიშვილისთვის იქნება განკუთვნილიო. ყველაფერი შევასრულე ერთის გარდა, ამანათში სურსათთან ერთად სხვადასხვა სახის წამლები იყო და ის წამლები ამანათის შემმოწმებლებმა არასგზით არ მომცეს, პატიმარს არ ეკუთვნისო.

დავითს მიღებული ნობათი ინჟინერ კოლია კალაძის სახლში წაეღო. კოლიას მეუღლეს, ქალბატონ თამარს დამატებით გაემზადებინა ლობიო, ღომი, გაეწყო ქართული სუფრა, მიეწვიათ სასჯელის მოხდის შემდეგ ვორკუტაში იძულებით დასახლებული ქართველები — ლევან გოთუა, ვალიკო ხუჭუა, ზურაბ მიქელაძე, დავით მცირე (გაჩავა), იოსკა ქავთარაძე, ალექსანდრე მაღლაკელიძე, ილიკო ბოჭორიშვილი, რომან ბლიაძე (ძია რომანი), ბენო რუხაძე, გოგი ჭიაბრიშვილი, რეზო ტყავაძე, და ქართული პური ეჭამათ.
მე და ჩემთან მყოფ პატიმრებს — შალვა ბალარჯიშვილს, შამილ გუჯეჯიანს, ლევან თევდორაძეს, კოლია მეტრეველს, ჩემი მეგობრის ალექსანდრე მაღლაკელიძის ხელით — ბანაკში შემოგვიგზავნეს „ჩვენი წილი“.

დიახ, დავითისთვის მხოლოდ ის ლუკმა იყო გემრიელი, რომელსაც თავის მოძმეებს უყოფდა, სადაც დავითი იყო, იქ იყო „პატარა საქართველო“, იქ იყო სიკეთე და სიამტკბილობა.

მეთერთმეტე მაღარო მხოლოდ კატორღამისჯილი პატიმრებისათვის იყო განკუთვნილი. იქ კატორღელებთან ერთად ამუშავებდნენ ისეთ პატიმრებს, რომელთაც, პოლიტიკური მოტივით, სიკვდილით დასჯა ხანგრძლივი პატიმრობით ჰქონდათ შეცვლილი და ხელისუფლებისათვის განსაკუთრებულად საშიში იყვნენ.

მაღაროში ნახშირის სისქე 65 სანტიმეტრს არ აღემატებოდა, შახტი იყო ძალზე ღრმა და სველი. წურწურით, წვიმასავით ჩამოდიოდა წყალი. კატორღელების სპეცშარვალს მუხლისთავებზე დაკერებული ჰქონდა საბურავის ნაჭერი. მხოლოდ მუხლებზე დაჩოქილს შეგეძლო ბარი გჭეროდა და ნახშირი დაგეყარა ტრანსპორტიორზე. გავრცელებული ავადმყოფობა იყო მუხლის სახსრის ანთება. მუხლისთავები თითქმის ყველას გვტკიოდა და შესიებული გვქონდა.

სიკვდილი ყოველი მხრიდან გვიტევდა: შიმშილი, სიცივე, უსაფრთხოების გარეშე ჯოჯოხეთური შრომა. შეჩვეულები ვიყავით სიკვდილს. ჩვენს ბედში მყოფთ იგი ხან მაღაროში მუშაობის დროს, ორას-სამას მეტრ სიღრმეში მოუსწრებდა და ამოვასვენებდით ზევით, ხან მწოლიარეს, ძილში გაგუდავდა, ზოგჯერ კიდევ უგემური სალაფავის — ბალანდის — ჭამის დროს წააქცევდა და სამუდამოდ დაახუჭვინებდა თვალებს...

ბარაკში ფიცრის ორსართულიანი გახრიგინებული საწოლები გვქონდა. მე მეორე სართულზე მიმიჩინეს ბინა. ჩემს გვერდით დასავლეთუკრაინელი კატორღელი, ლვოვის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერი ვლადიმერ კრავჩენკო იწვა.

მიამბო ერთხელ ვლადიმერმა: — 45° ყინვაში ფეხის თითები მომეყინა. დამაწვინეს საავადმყოფოში. ექიმ დავით კვიტაიშვილის პალატაში მომათავსეს. გამსინჯეს, გადაწყვიტეს, სამი თითი მომკვეთონ. ყველაფერი მზად იყო, უნდა გადავეყვანეთ ქირურგიულ განყოფილებაში, რომ ამ დროს მოვიდა დავით ექიმი და მეკითხება — თანახმა თუ ვარ, თითები მომკვეთონ? — რადგან უამისოდ სიკვდილია მოსალოდნელი თანახმა ვარ-მეთქი, ვუპასუხე. — კარგი, ვნახოთო, — მითხრა და პალატიდან გავიდა.

დავით ექიმს ეჭვი შეპარვოდა სხვათა დასმულ დიაგნოზში და კონსილიუმი მოიწვია. გულისხმიერად შეამოწმეს მოყინული თითები, გამსინჯეს, დაადგინეს — სტაციონარული წესით გაეგრძელებინათ მკურნალობა და დამტოვეს ბატონი დავითის პალატაში. სამი თვე გულდაგულ მიმკურნალეს, თითები თანდათან ამიმოძრავდა. უნდოდათ პირდაპირ მაღაროში გავემწესებინეთ, მაგრამ ბატონი დავითის მოთხოვნით ექვსი თვე მსუბუქი სამუშაო დამიწესეს. ვერასოდეს დავივიწყებ ამ კაცს, რამ მისცა ამდენი მადლი, მოფერების, ავადმყოფებზე ზრუნვისა და მოვლის ასეთი საოცარი უნარი. დავით ექიმის პალატაში შემოვლა იმედის მომცემი, ღვთიური წყალობა იყო, გამოვცოცხლდებოდით ხოლმე ავადმყოფები, ძალა და მხნეობა გვემატებოდა.

ღმერთი კეთილი და დიდია, ბატონ დავითთან ვალში არ დამტოვებს, ყველა იმ ქრისტიანული ზრუნვისათვის მშვიდობით გამოიყვანს ამ უბედურებიდან. ვილოცებ ამისათვის... — თხრობა დაამთავრა ვლადიმერმა.

1955 წლის მარტში უფლება მივიღე, კვირაში ორჯერ, ოთხსაათიანი საშვით გავსულიყავი ზონის გარეთ. საშუალება მომეცა შევხვედროდი დავით კვიტაიშვილს, ლევან გოთუას, ზურაბ მიქელაძეს, ვალიკო ხუჭუას და სხვა ქართველებს, რომლებიც თავისუფალ დასახლებაში იმყოფებოდნენ. 1956 წლის თებერვალში ჩვენი ბანაკი, სადაც იმხანად სულ 350 პატიმარი იყო დარჩენილი, დაშალეს და ყველანი თავისუფალ დასახლებაში გაგვიშვეს. მე გადავწყვიტე საცხოვრებლად ისევ ბანაკის ბარაკში დავრჩენილიყავი, მაგრამ მეორე დღეს მომაკითხა ბატონმა დავითმა და თავისთან, ოთახში გადამიყვანა. იმ დღიდან ჩვენ ერთად ვცხოვრობდით.

ხანგრძლივი პატიმრობა აზარმაცებს ადამიანს. თრგუნავს კაცს მუდამდღე თოფის, კარცერის, კეტის, ცემის, შიმშილის დამუქრებით მუშაობა და თუ ამ საშიშროებათა გარეშე დროს მოიხელთებ, იმავ წუთს წამოწვები, დუნდები და წარსულის მოგონებებს ეძლევი.

მეც დავიწყე ახლებურად ცხოვრება. შეიცვალა დღის რეჟიმი: დღეში ორჯერ არ გავივლი ვახტას, მაღაროდან ბანაკში შესვლისას არ გამჩხრეკენ, საღამოობით არ შემამოწმებენ და ღამე ბარაკში არ ჩამსვამენ, დილით არ გავიგონებ ზედამხედველის შემზარავ ყვირილს — „ადექით“!.. არ მოვისმენ მის ამაზრზენ მუქარას — „ჩვენ სასჯელი სამარის კარამდე გვაქვს“!..

დავითი ქალაქის მთავარ პედიატრად მუშაობდა. ამავე დროს ბავშვთა პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების კონსულტანტი იყო. მოცლა არ ჰქონდა, სამუშაოდან დაქანცული მოდიოდა და თან მძიმე ავადმყოფზე დარდი მოჰყვებოდა. მე — მაღაროდან, დავითი — სამსახურიდან, თითქმის ერთსა და იმავე დროს ვბრუნდებოდით. საღამოობით ხან ფეხით, ხან კიდევ ირმებშებმული მარხილით მიჰყავდათ. მე მხართეძოზე წამოსაწოლად როდი მეცალა: როგორც მისი „ადიუტანტი“, თან დავყავდი. დავითს სიამოვნებდა, რომ ათი წელიწადი და ექვსი თვე მავთულხლართებს იქით გამოუხედავ კაცს გარე სამყაროში სიარულს აჩვევდა. მასაც ხომ „ფეხის ადგმის“ არცთუ დიდი გამოცდილება ჰქონდა.

ერთხელ, სამუშაოდან მომავალმა, ჩვენი საცხოვრებელი სახლის წინ მეთერთმეტე მაღაროს ბანაკის უფროსის მანქანა შევამჩნიე. იმ ბანაკში მე წელიწადნახევარი დავყავი. უფროსი ძალიან თავნება და ბოროტი კაცი იყო. ხელქვეითები მასზე უარესი ჰყავ-

და. მისი ბრძანებით ორჯერ ჩამაგდეს კარცერში. ეს ამბავი არ მესიამოვნა, მაგრამ ამ სახლში ოცამდე ოჯახი ცხოვრობდა და ხომ შეიძლებოდა ის ურჩხული სხვას „სტუმრებოდა". შევაღე კარები და ვხედავ — სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული „უფროსი" ფეხზე დამდგარი ესაუბრება დავითს. ორივეს მივესალმე. შემდეგ მივედი პატარა მაგიდასთან და წიგნი გადავშალე. ჩეკისტი მალე წავიდა.

— შოთა, — მითხრა დავითმა, — ამ კაცს ორი კვირაა, რაც ბავშვი ჰყავს მძიმე ავად, მკურნალობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. გადაუწყვეტიათ მოსკოვში გადააფრინონ სასწრაფოდ. ვისადილოთ, მანქანით მომაკითხავს და წავიდეთ. სადილობის დროს ყველაფერი ვუამბე დავითს და ვთხოვე, არ წავეყვანე მასთან. — ქალაქის კომუნალური მეურნეობის განყოფილების უფროსად გამაცნო თავი, ხომ არაფერი გეშლებაო, მკითხა. — არა, ნამდვილად ის არისმეთქი, — ვუპასუხე.

მოაკითხეს მანქანით, წაიყვანეს. ექთანი გამოეძახნა, ანალიზები აელო და ენახა, შუაღამემდე არ მოშორებია ბავშვს. შინ დაბრუნდა ძალზე დაღლილი.

— სხვადასხვა ექიმის ხელში ჩავარდნილა ბავშვი. მათი გამოწერილი წამლები შევამოწმე, მე ჯერჯერობით ვერ დავეთანხმები მათ დიაგნოზს. ანალიზები ხელთ მაქვს, ვნახოთ, რა იქნება... — მითხრა.

მეორე დღეს სამსახურიდან ორჯერ მიაკითხა იმ ავადმყოფს. საღამოს ისევ წავიდა. თავგადადებული მკურნალობდა, სულ იმ ბავშვზე ფიქრობდა. მესამე თუ მეოთხე დღეს დავითმა შეშინებული და ნერვებდაწყვეტილი მშობლები დაამედა, — ბავშვის მოსკოვში წაყვანა არ დაგჭირდებათ, მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებაო. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვი ფეხზე წამოდგა.

დავით ექიმი გასამრჯელოს რომ არავისგან ღებულობდა, ეს ყველასათვის ცნობილი და აღიარებული იყო. სამაგიეროდ, სხვანაირად გამოხატავდნენ ხოლმე მადლიერებას. მახსოვს ერთხელ ვორკუტის საქალაქო გაზეთში დავითის ფოტო-სურათი და მშობლების მადლობის წერილი დაიბეჭდა. მანამდე კრემლში შუამდგომლობა გააგზავნა მოსახლეობამ, რათა მისთვის ნასამართლობა მოეხსნათ. თავისას მიაღწიეს კიდეც.

ეს ამბავი აქ არ მთავრდება. ბატონი დავითი ძალზე ცნობისმოყვარე კაცი იყო. მანამდე საამისოდ არ ეცალა და, როცა მკურნალობა სასიკეთოდ ჩატარდა, გასაუბრებია მშობელს, მამას. მას უთქვამს, რომ პატიმრებს ბანაკთა რეორგანიზაციის (უნდა ეთქვა; პოლიტიკურ პატიმართა გაფიცვებისა და ზოგად აჯანყების) შედეგად ბევრი ბანაკი დახურეს, პატიმრები თავისუფალ დასახლებაში გაუშვეს. რის გამოც მრავალი ოფიცერი სამოქალაქო სამსახურში გადაიყვანეს, მას კი ქალაქის საბჭოში დაუწყია მუშაობა.

დავითი დარწმუნდა, რომ მე სწორად გამოვიცანი ის ჩეკისტი. მითხრა: შოთა, შენი „მეგობარი" უნდა შეგახვედროო. მალე კიდეც შეასრულა ნათქვამი. ჩვენს ოთახში სამნი ვუსხედით ღვინით, არყითა და მათი შესაფერისი ხორაგით უდიასახლისოდ გაშლილ სუფრას. დავითი ღვინოს მიირთმევდა. მეც ღვინო მერჩია, მაგრამ რადგან ჩემი „მეგობარი" არაყს ეტანებოდა, იძულებული შევიქენი მისთვის ანგარიში გამეწია, მე ვერაფრით მომიგონა, შემეკითხა, რა ნომერი იყავიო. რად გაინტერესებთ-მეთქი, ვკითხე. — თქვენ რა დაგიმალოთო, — გვითხრა, — მართალია, მეთერთმეტე მაღაროში მომუშავე პოლიტიკური პატიმრები კატორღელები და მათთან გათანაბრებულები იყვნენ, მაგრამ მათ შორისაც იყო განსხვავება. ისინი კატეგორიებად იყვნენ დაყოფილი და თითოეულ კატეგორიას თავისი ნომერი ჰქონდა. ეს საიდუმლოება მხოლოდ ჩვენ ვიცოდით.

როდესაც ჩემი ნომერი ვუთხარი, მიყურა, მიყურა და, — ბედი გქონია, რომ ცოცხალი გადარჩენილხარო, — ჩაილაპარაკა. ამის მერე ამ თემაზე შევწყვიტეთ საუბარი.

— მაინტერესებს, — მოკრძალებით შეეკითხა დავითი, — როგორ გვიყურებდით ჩვენ, როდესაც თქვენთან ვიყავით საკონცენტრაციო ბანაკში გამომწყვდეულები და როგორ გვიყურებთ ახლა, როდესაც თავისუფალი მოქალაქენი ვართ?

ამაზე ასე შეეპასუხა „უფროსი".

— პატივცემულო დავით, აჯობებს ჯერ ჩემი მეუღლის აზრი გამცნოთ. გუშინწინ ფეხზე წამომდგარ შვილს ეალერსებოდა და მითხრა: — ეს ბავშვი დავით ექიმმა გვაჩუქა. როგორი საამური საუბარი ჰქონდა. ასეთ კეთილშობილ ადამიანს, ბავშვების ასე უსაზღვროდ მოყვარულსა და მკურნალს, როგორ შეიძლებოდა ისეთი რამ ჩაედინა, რამდენიც უტანჯიათ და უწვალებიათ. სულ სხვისი შემყურე რომ ხარ, ერთხელ მაინც დაფიქრდი დამოუკიდებლად, თავად განსაჯე შენი წარსული, შვილების პატრონი ვართ, უბედურებაში არ ჩავვარდეთო. — უნდა დამიჯეროთ, პატივცემულო დავით, — განაგრძო ლაპარაკი. — თქვენმა პიროვნებამ მთლიანად შემომაბრუნა. მე ბანაკში ადამიანებს არ ვხედავდი, ვხედავდი მხოლოდ ნომრებს, კატეგორიებს, კატორღელებსა და ზევით უფროსებს, მათი ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელი ვიყავი და ჩემს ხელქვეითებსაც ვავალდებულებდი, შეესრულებინათ ჩემი ბრძანება. ახლა რა გითხრათ... (თვალებში ცრემლი მოერია, წამოდგა და დავითს გადაეხვია). თქვენ სიკვდილს გამოგლიჯეთ ჩემი შვილი.

ვერ ვიტყვი, ალკოჰოლმა დასძლია და აუჩუყა გული თუ ნამდვილი აღსარება იყო. იმ წამს გერმანელი მეცნიერი კარლ ლანგე გამახსენდა. ყურში კვლავ ჩამესმა მისი კითხვა — ვინ გაიმარჯვებს? მომინდა ხმა მიმეწვდინა მისთვის — ბატონო კარლ, ქართველი ექიმი იმარჯვებს ორთაბრძოლაში, მალე საბოლოო გამარჯვებაც იქნება...



ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი გოგოლაშვილი

# ფიქრები დედაენის შესახებ

ამასწინათ განათლების დარგის ერთ-ერთი მუშაკი თავმოწონებით ამცნობდა ტელემაყურებლებს, თბილისში 70-მდე არაქართულენოვანი დაწყებითი სასწავლებელიაო.. ჩემი მეგობარი ასეთი ფაქტის მოწმე გახდა: ხანშიშესული მანდილოსანი მეგობარ ქალბატონს სიამაყით უყვებოდა, რომ მისი პატარა შვილიშვილი უკვე ფრანგულად აზროვნებს; გუშინ მითხრა, ჩემი მამიკო კარგად თამაშობს როიალზეო...

ჰქონდა კი საფუძველი თავმოწონებისა განათლების იმ მუშაკს, ანდა სიამაყისა „ფრანგულად მოაზროვნე" შვილიშვილის ბებიას?! უნდა გვახარებდეს ასეთი ფაქტები თუ არა? ვფიქრობთ, ეს რიტორიკული კითხვაა... პასუხის გაცემას მაინც ვეცდებით...

* * *

მე არ ვიცნობ სასწავლო პროგრამებს თბილისში არსებული სულეიმან დემირელის სახელობის კოლეჯისას, მაგრამ თითქმის ყოველდღე ვისმენდით ტელევიზიით რეკლამას, რომ არაჰუმანიტარული საგნების სწავლება ამ კოლეჯში ინგლისურ ენაზე იქნებაო. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, კოლეჯის მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ქართველები არიან. რა გამოვიდა: ქართველმა, რომელმაც უკეთესად იცის ქართული, ვიდრე ინგლისური, მათემატიკა, ფიზიკა და სხვა საგნები, ინგლისურად უნდა ისწავლოს... ქართველმა, რომელმაც უკეთესად იცის ქართული, ვიდრე ინგლისური, მათემატიკა, ფიზიკა და სხვა საგნები, ქართველ ბავშვებს ინგლისურად უნდა ასწავლოს... რა არის მიზანი ამგვარი სწავლებისა, ფიზიკა-მათემატიკის შესწავლა? თუ ამ საგანთა სწავლება გვსურს, ეს ქართულად უკეთ მოხერხდება; თუ ინგლისური ენის სწავლება გვსურს, ინგლისური ვასწავლოთ...

ყოველივე ზემოთქმული ერთ სავალალო ფაქტზეა დაფუძნებული: იგნორირება ხდება ქართული ენისა — საქართველოს სახელმწიფო ენისა!.. ეს გზა საით მიდის?.. რას გვიქადის?..

ტაძრისკენ რომ არ მიდის, ფაქტია...

* * *

ამ ბოლო ხანებში ძალიან გახმაურდა ე. წ. თურქული უნივერსიტეტის საკითხი. ამ იდეის ძალზე მცირერიცხოვან, მაგრამ თავგამოდებულ დამცველთა ერთი არგუმენტი ისიცაა, რომ აღნიშნული სასწავლებელი, ინგლისურენოვანი იქნებაო. ერთი წუთით გვერდზე გადავდოთ „თურქულ უნივერსიტეტთან" დაკავშირებული პოლიტიკური, რელიგიური, დემოგრაფიული თუ ეკოლოგიური საკითხები და ამ კუთხით დავინახოთ პრობლემა: აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, რა ენაზე წარიმართება სწავლება „თურქულ უნივერსიტეტში" თუ ის ქართულენოვანი არ იქნება. არაქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებელი არის კი სიკეთის მომტანი საქართველოსთვის? ვისთვის ან რისთვის კეთდება ის? იქნებ ცოტა უფრო ღრმად ჩავუფიქრდეთ, რას გულისხმობს ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი სერგო ჯორბენაძე, როცა ბრძანებს: „მე იმდენად არ მაშინებს იჯარით მიწის გაცემა, რამდენადაც თვით ამ უნივერსიტეტის გახსნის ფაქტი... როცა ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტი დააარსა, მაშინვე „აღმოაცენეს" რუსული უნივერსიტეტი, სომხური ფილოლოგიის ფაკულტეტი... ნუ შევიქმნით პრობლემებს". ვითომ ბატონი სერგო ვერ ჩაწვდა სიღრმეს იმ სიკეთისას, რასაც „თურქული უნივერსიტეტი" ჰპირდება საქართველოს? ვერ დაინახა ის პერსპექტივა, რაც ამ იდეის ავტორ-მხარდამჭერებმა დაინახეს? მეეჭვება...

ისტორიაც გავიხსენოთ:

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ილია ჭავჭავაძის დროს, როცა გაჩნდა იდეა ქართული უნივერსიტეტისა „ცარიზმი, ცხადია, თბილისში უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგი იყო" (ს. ჯორბენაძე).

რატომ?..

ანდა, რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ისე თავგამოდებით დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამებრძოლების მცდელობას ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე? გავიხსენოთ, რას ამბობს შალვა ნუცუბიძე: „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველობითი კილოთი გვირჩევდნენ, ხელი აგვეღო ამ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდება. ქართულ ენას არა აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია; ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელია, უიმედო საქმეაო, გვეუბნებოდა ეს გულშემატკივარი ხალხი... ისინი მფარველობის კილოთი ამბობდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ: დაგვიჯერეთ, დროს ნუ დაკარგავთ, თავს ნუ მოიტყუებთო...“ ცაადია, არ იყო ეს მოყვრის თავგამოდება ქართველი ხალხის მომავალზე ზრუნვით ნაკარნახევი...

საუბედუროდ, არ იყო ეს მხოლოდ „ოლდენბურგებისა“ და „ვასილაევების“ პოზიცია. მაშინაც არაერთი ქართველი აღუდგა წინ ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას. ჯერ ი. ჯავახიშვილს მოვუსმინოთ და შემდეგ შევეცადოთ ვუპასუხოთ კითხვას — რატომ? „რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს კამათი (ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე — გ. გ.) სასაცილო გულუბრყვილობად მიაჩნდა, ანდა მის გაგონებაზე ღიმილი მოსდიოდა. რამდენი გვყავდა ბრძენი დამრიგებელნი, ჭკუის მასწავლებელნი და წინასწარმეტყველნიც კი, რომელნიც, მათი ღრმა რწმენით, სრულიად უნიადაგო და უიმედო განსაზღვრისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ხომ იყვნენ, მათ შორის მეცნიერებიც კი, რომელთაც მთელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველობისთვისავე დამღუპველად ჰქონდათ პრესაშიც კი აღიარებული... კულტურული დაქვეითების მეტი არაფერია საქართველოს მეცნიერული აზროვნებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელიო“... ვითომ ცდებოდნენ ეს „განათლებული ქართველები“, თუ შეგნებულად სხვის წისქვილზე ასხამდნენ წყალს? სამწუხაროდ, როგორ ჰგავს მათი პოზიცია „თურქული უნივერსიტეტის“ იდეის მქადაგებელთა და მხარდამჭერთა პოზიციას. მეორდება ისტორია...

ასეთი ფაქტიც გავიხსენოთ: ეროვნული უნივერსიტეტის მოწინააღმდეგენი მონდომებული იყვნენ, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტი გახსნილიყო: კავკასიის უნივერსიტეტს სახელმწიფო დააფინანსებს (საუბარია რუსეთის იმპერიაზე), ქართული უნივერსიტეტი თქვენ უნდა შეინახოთო — „მეგობრულად“ ურჩევდნენ... ფაქტია: კავკასიის უნივერსიტეტი რუსულენოვანი იქნებოდა...

ყოველ კითხვაზე — „რატომ?“ — ერთი პასუხია: **ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მხოლოდ ქართული უმაღლესი სასწავლებელი იყო საჭირო...** აქედან გამომდინარე, **ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნას ეწინააღმდეგებოდა ის, ვისაც ეს არ აძლევდა ხელს...** ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის იბრძოდა ის, ვისთვისაც ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნება სისხლხორცეული საქმე იყო...

იცოდნენ ეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ; ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა და ქართული ენა უმაღლესი განათლების ენად დაამკვიდრეს საქართველოში. დღეს კი? ამ დიდი მონაპოვრის ხელიდან გაშვება არა მხოლოდ ჩვენი დიდი წინაპრების ღვაწლის უარყოფაა, ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს...

ნუ ჩავთვლით ამ აზრს საკითხის მუქ ფერებში დახატვად. დავფიქრდეთ, რატომ იზრდება ასეთი კატასტროფული სიჩქარით არაქართულენოვანი სასწავლებლები (საბავშვო ბაღიდან მოყოლებული უნივერსიტეტამდე); ვინ არის მისი კონტიგენტი და ხვალზეგ ქართულენოვან სასწავლებლებს გაუწევენ თუ არა კონკურენციას ისინი?..

„პერესტროიკის“ პერიოდში რუსულ სკოლებში ქართველ ბავშვთა სწავლის პრობლემა რომ წამოიჭრა, ამის დასაბუთებას მეცნიერულად ცდილობდნენ... რა მოხდა შემდეგ? რუსული ენა ინგლისურმა (თუ სხვა ევროპულმა) ენამ შეცვალა და ეს ბუნებრივ და, უფრო მეტიც, სასურველ შედეგად მივიღეთ. ვითომ არის განსხვავება იმაში, ქართულ ენას საქართველოში რუსული დაჩაგრავს, დააბეჩავებს თუ ინგლისური? უფრო დიდი საფრთხის წინაშე ხომ არ ვდგავართ? ამიტომ გაცხადება იმისა, რომ „ეს არ არის თურქული უნივერსიტეტი, ეს იქნება ინგლისურენოვანი უნივერსიტეტიო“, თავისმართლებაა თუ თავისმოტყუება? ვიმეორებთ, ქართულს ინგლისური დაჩაგრავს თუ თურქული, პრინციპულად რა განსხვავებაა? ვითომ არ იცის ეს იმან, ვინც ამაყობს არაქართულენოვანი სასწავლებლების არსებობით; ვისაც უხარია, ჩემი შვილი არაქართულად აზროვნებსო? თუ არ იცის, უბედურებაა; თუ იცის — უფრო დიდი უბედურება...

* * *

უნდა გვახსოვდეს, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!“ — არ არის მხოლოდ ლამაზი პოეტური ფრაზა. ეს ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტების ძალა არა ერთმა და ორმა ენამ და შესაბამისად, ერმა იწვნია თავის თავზე. ქართული არ არის გამონაკლისი და, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თუ ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდა, ეს ლამაზი პოეტური ფრაზა ჭეშმარიტებად იქცევა...

ვიმეორებ, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ იგივე ღმერთი დაგვსჯის დედაენისადმი ასეთი უგულისყურო დამოკიდებულებისათვის.

არა მხოლოდ სასწავლებლებში, თითქმის ყველა დონეზე და ყველგან შეიმჩნევა უგულისყურო და უპატივცემულო დამოკიდებულება დედაენისადმი. კეკლუც ტელედიქტორს ურჩევნია ბედნიერი „უიკენტი“ გვისურვოს, ვიდრე ქართულად დაგვემშვიდობოს; 160 სერიიან უცხოურ ფილმს ვთარგმნით ქართულად და ყურს არ გვჭრის უცნაური და უხერხული ქართული; კაცი პრეზიდენტობაზე ფიქრობს და ჩიქორთულით გვესაუბრება; მავანმა და მავანმა ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემი ფული იშოვა და წალეკა ქვეყანა მახინჯმა ქართულმა და ბილწსიტყვაობამ (აღარას ვამბობთ რეკლამებზე, აბრებზე...)...

ამგვარი სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება...

ვინაა გამკითხავი?

ანდა, არსებობს კი რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც საქართველოს მოქალაქეს სახელმწიფო ენის მიმართ დაავალდებულებს? სახელმწიფო ენისადმი უგულისყურო, უპატივცემლო, მტრული დამოკიდებულებისათვის პასუხს მოსთხოვს?

კარგა ხნის წინათ ერთ-ერთი სოლიდური დაწესებულების ხელმძღვანელს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა შევახსენე და მიპასუხა, ის პროგრამა ძველი მთავრობისა იყოო... ეს არ არის მხოლოდ იმ ხელმძღვანელის აზრი. მაგრამ, სავალალოდ, ფაქტია, გვავიწყდება, რომ სახელმწიფო ენაზე ზრუნვა ყველა მთავრობას ევალება... პროგრამა-დადგენილებების მივიწყება იმას აძლევს ხელს, ვისაც დედაენის წინაშე მოვალეობისაგან თავის დახსნა სურს...

არადა, ყოველდღიურად იმდენი შეიძლება დაუშავდეს დედაენას, რომ ათწლეულები დასჭირდეს მის გამოსწორებას (თუ საერთოდ გამოსწორდა!)...

დროა გონს მოვეგოთ, ჯერ არ არის გვიან!..

**გიორგი გოგოლაშვილი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კოლომბრე

ნოველა

## დინო ბულატი

როდესაც სტეფანო როეს თორმეტი წელი შეუსრულდა, მამას, იალქნიანი გემის კაპიტანს, საჩუქრის ნაცვლად ზღვაში წაყვანა სთხოვა.

— აი, გავიზრდები, — უთხრა სტეფანომ, — და მეც შენსავით ზღვებს დავსერავ, ოღონდ ჩემი გემი შენსაზე დიდი და ლამაზი იქნება.

— ღმერთმა გისმინოს, შვილო, — უპასუხა მამამ.

ზღვაში გასვლა სწორედ სტეფანოს დაბადების დღეს იყო დანიშნული და მამამ იგი თან წაიყვანა.

მზით გაბრწყინებული დღე იდგა. ზღვა მშვიდად ლივლივებდა. სახეგაბადრული სტეფანო პირველად სეირნობდა გემბანზე და აღფრთოვანებით შეჰყურებდა როგორ აღი-ჩაღიოდა იალქნები, მეზღვაურებს ყველაფრის ახსნას სთხოვდა და ისინიც ღიმილით პასუხობდნენ. მერე კიჩოზე შედგა და ზღვას გახედა. სამასიოდე მეტრის მოშორებით გემის ნაკვალევს თითქოს რაღაც საგანი მოსდევდა. და, თუმცა გემი სწრაფად ევლებოდა ტალღებს, უცნაურ საგანთან მანძილი არ იცვლებოდა, იყო მასში რაღაც იდუმალამოუხსნელი, რაც იზიდავდა სტეფანოს.

შვილი რომ თვალთახედვიდან დაეკარგა, კაპიტანმა მოიკითხა:

— სტეფანო, მანდ რას უდგეხარ? — ჰკითხა შვილს, მონუსხულივით რომ ჩასცქეროდა ზღვას.

— მამა, მოდი, შეხედე!

კაპიტანი ბავშვს მიუახლოვდა, გაიხედა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია.

— როგორ ვერ ხედავ, ზღვიდან რაღაც შავი საგანი შემოგვყურებს, — უთხრა სტეფანომ მამას.

— ორმოცი წლისა ვარ და ჯერ მხედველობას არ ვუჩივი, მაგრამ მომკალი და ვერაფერს ვხედავ.

ბავშვმა დაიყვირა, ის რაღაც ჩვენ მოგვდევსო. მაშინ მამამ ჭოგრიტი მოიტანა და ყურადღებით მოათვალიერა ზღვის ზედაპირი, უცებ კაპიტანი გაფითრდა.

— რა იყო, მამა, რა დაგემართა?

— ეჰ, ჩემო სტეფანო, ნეტავ ზღვაში არ გამომეყვანე, — ამოიოხრა მამამ, ამიერიდან მოსვენება აღარ გვექნება. ეს საგანი არ არის, კოლომბრეა — იდუმალი და საშინელი ზვიგენი. იგი შიშის ზარს სცემს ყველა მეზღვაურს, თვით ადამიანზეც კი ეშმაკია. არავინ იცის, რატომ და რისთვის, მაგრამ კოლომბრემ თუ ვინმე აირჩია, მთელი ცხოვრება არ მოეშვება, ვიდრე არ ჩაყლაპავს. უცნაური ის არის, რომ მსხვერპლის გარდა არავის ძალუძს მისი დანახვა.

— ეს რა, ზღაპარია?

— არა... მე თავად კოლომბრე არასოდეს მინახავს, მაგრამ იმდენი მსმენია მის შესახებ, უმალ ვიცანი: სახე ბიზონს მიუგავს, მტაცებელს ყბა ამაზრზენი კბილებით აქვს სავსე. ვაი, ჩვენს თავს! ეტყობა, ამჯერად შენ ამოგირჩია და ვიდრე ზღვაში ხარ, არ მოგასვენებს. შემომფიცე, რომ რაც უნდა მოხდეს, ხმელეთს არასოდეს გასცდები. ზღვას გამოემშვიდობე, შვილო, შენს წილ ბედნიერებას ხმელეთზეც იპოვი.

კაპიტანმა მაშინვე გასცა ბრძანება და გემი ნავსადგურში შებრუნდა. სტეფანო ხმელეთზე გადმოსვა იმ საბაბით, ავად არისო. შვილს დაემშვიდობა და თავად ზღვაში გაბრუნდა. გაოგნებული ბავშვი დიდხანს იდგა ნაპირზე, ვიდრე გემის ანძა თვალს არ მიეფარა. მიწაყრილს იქით ზღვა უკაცრიელს ჰგავდა. თუმცა მზერადაძაბულმა სტეფანომ მაინც გაარჩია პატარა შავი წერტილი, დროდადრო წყლის ზედაპირზე რომ ამოტივტივდებოდა ხოლმე, ეს იყო კოლომბრე, რომელიც გარდაუვალი შეხვედრის მოლოდინში დაჟინებით ტრიალებდა ერთ ადგილზე.

მას შემდეგ სტეფანო ზღვას აღარ გაჰკარეს. მამამ შორეულ ქალაქში გაამწესა სასწავლებლად. ახალმა გარემომ დროებით გადაავიწყა კიდეც ზღვის ურჩხული. მაგრამ საზაფხულო არდადეგებზე შინ დაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნებისთანავე ბედისწერის გამოსაცდელად ნავსადგურს მიაშურა, მით უმეტეს, რომ გულის სიღრმეში არც სჯეროდა მიხი, რადგან, თუ მამის ნაამბობი სიმართლეს შეეფერებოდა, ასე ხანგრძლივად კოლომბრე მაინც არ დაუდარაჯდებოდა.

სტეფანო კარგახანს გაშევებული იდგა ნაპირზე, მოულოდნელად ნავსადგურიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, ღია ზღვაში, მარცხენა მხრიდან რაღაც გამოჩნდა, ზანტად მოტორტმანობდა კოლომბრე, დროდადრო წამოიწეოდა და მოუთმენლად გამოსცქეროდა ხმელეთს — თითქოს აინტერესებდა, მოაკითხა თუ არა ბოლოს და ბოლოს სტეფანო როემ.

ამ საბედისწერო ქმნილებამ, დღედაღამ რომ მორჩილად ელოდა, საბოლოოდ დაიპყრო სტეფანოს არსება. შორეულ ქალაქშიც კი შუაღამისას გაუცნობიერებელი შიში წამოაგდებდა ხოლმე მძინარეს. თუმცა იცოდა, ასობით კილომეტრი აშორებდა კოლომბრეს, მაინც დარწმუნებული იყო, იქ, მთებისა და ტყეების გადაღმა ურჩხული მას ელოდა და თვით შორეულ მატერიკზეც რომ დასახლებულიყო, კოლომბრე სადმე, შორიახლო, ზღვის სიკამკამეში ერთგულად დაელოდებოდა განგების ნებით.

სტეფანო სერიოზული, გულმოდგინე ჭაბუკი იყო და ბევრსაც მიაღწია. სწავლა რომ დაასრულა, საკმაოდ სარფიანი და ღირსეული თანამდებობა მიანდეს იმავ ქალაქში, სადაც სიყმაწვილიდანვე დამკვიდრდა. ამასობაში მამა გარდაიცვალა; დაქვრივებულმა დედამ მშვენიერი იალქნიანი გემი გაყიდა და შვილს გვარიანი მემკვიდრეობა არგუნა. სამსახურმა, მეგობრებმა, ჭაბუკურმა გატაცებებმა და სასიყვარულო თავგადასავლებმა მთლად შეცვალეს სტეფანოს ცხოვრება, მაგრამ კოლომბრეზე ფიქრი გამუდმებით თან სდევდა, ვითარც ავი და გამთანგველი ბედისწერა. და, რაც დრო გადიოდა, ეს უჩვეულო განცდა უფრო უმძაფრდებოდა.

საამოა საქმეში ჩაბმული კაცის შეძლებული ცხოვრება, მაგრამ გაცილებით ძლიერია მიუღწევლის მიზიდულობის ძალა. და, აი, როგორც კი სტეფანოს ოცდაორი წელი შეუსრულდა, მიატოვა სამსახური, გამოემშვიდობა მეგობრებს და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით, მამის ხელობა გაეგრძელებინა. რა თქმა უნდა, დედასთან სიტყვაც არ დაუძრავს კოლომბრეს შესახებ, საბრალო ქვრივმა დიდად გაიხარა, რადგან გულდაწყვეტილი იყო, შვილმა ზღვას ქალაქური ამაოება რომ ამჯობინა და ოჯახური ტრადიცია დაარღვია.

ასე დაიწყო სტეფანომ სანაოსნო საქმიანობა. მალე სახელიც გაითქვა როგორც უშიშარმა და მოხერხებულმა მეზღვაურმა. და, სადაც უნდა ყოფილიყო, მის გემს დღისით თუ ღამით, დარსა თუ ავდარში, მუდამ თან ახლდა კოლომბრე. სტეფანომ უკვე იცოდა, რომ ეს იყო მისი ბედისწერა და ვერა ძალა ველარ აარიდებდა წერამწერლის განაჩენს. მის გარდა მტარვალს ვერავინ ვერ ამჩნევდა.

— გახედეთ, ერთი, მოჩანს რაიმე? — ჰკითხავდა ხოლმე კიჩოზე შემდგარ ეკიპაჟის წევრებს.

— არაფერი, რა უნდა იყოს? — უპასუხებდნენ გაოცებით.

— არ ვიცი, მომეჩვენა, თითქოს...

— რაო, კოლომბრე ხომ არ მოგელანდა? — დასცინოდნენ მეზღვაურები და მაშინვე რკინას შეავლებდნენ ხელს.

— რატომ იცინით, ან რკინას რაღად ჰკიდებთ ხელს — ჩაეკითხებოდა სტეფანო.

იმიტომ, რომ კოლომბრე ვერაგი თევზია და თუ ჩვენს გემს აედევნა, ეს იმას ნიშნავს, რომელიღაც ჩვენთაგანის საქმე წასულია.

სტეფანო არ ნებდებოდა თავს დატეხილ უბედურებას და კიდევ უფრო უძლიერდებოდა გაშლილ ზღვაში ყოფნის სურვილი. მამის დანატოვარი ქონებით მომცრო გემიც შეიძინა. დაუღალავმა შრომამ უქმად არ ჩაუარა, მალევე დიდი სავაჭრო გემიც იყიდა. ახლა უფრო შორეულ ნაოსნობას მიჰყო ხელი. მაგრამ წარმატებამ და მილიონებმა გულის სიღრმიდან თანამდევი განგაშის განცდა ვერ ამოუშალა — თუმცა გაყიდვა და ხმელეთზე დამკვიდრება არც უფიქრია. ცურვა იყო მისი ერთადერთი ამქვეყნიური სურვილი და დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ თუ რომელიმე ნავსადგურში ცოტა ხნით მიწაზე ფეხს დაადგამდა, მაშინვე რაღაცა ძალა უკანვე, ზღვაში უბიძგებდა. სტეფანომ იცოდა, რომ იქ კოლომბრე ელოდა და მოუხელთებელ ალტკინებას დამონებული, შმაგივით სერავდა ზღვებსა და ოკეანეებს სიკვდილთან შერკინების მოლოდინში.

ერთ დღესაც სტეფანომ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ სიბერე სწვეოდა. ვერავინ მიმხვდარიყო, ეს მდიდარი მოხუცებული ზღვას თავს რატომ არ ანებებდა. სტეფანო უკვე შინაგანად დაღლილი და გამოფიტული იყო. მან ხომ მთელი ცხოვრება მტერთან უაზრო და გახელებულ ბრძოლას შეალია. მაგრამ ახლაც შეძლებულ და მშვიდ ცხოვრებას იღბალთან კიდევ ერთი შეთამაშება ერჩივნა.

ერთ მშვენიერ საღამოს, როცა მის გემს მშობლიური ქალაქის ნავსადგურში ღუზა ჩაეშვა, სტეფანომ იგრძნო, რომ მისმა ჟამმა ჩამოჰკრა, იხმო თავისი ერთგული თანაშემწე და პირობა ჩამოართვა, რომ მის ნებას აღასრულებდა. მაშინ უამბო მოხუცმა კაპიტანმა გაოგნებულ თანაშემწეს კოლომბრეს შესახებ.

— თითქმის ორმოცდაათი წლის მანძილზე ერთგული მეგობარივით არ მომშორებია, — დაასრულა კაპიტანმა. ახლა ვიცი, სიკვდილი მომიახლოვდა. ალბათ, ისიც დაბერდა და გვარიანად დაიღალა. არ მინდა მოლოდინი გავუცრუო.

სტეფანო გამომშვიდობების ნიშნად თანაშემწეს გადაეხვია და სთხოვა, ნავით ზღვაში ჩაეშვა.

— უნდა წავიდე, შევეყარო ჩემს წერას, ჩაიჩურჩულა კაპიტანმა. მოსახდენი უნდა მოხდეს. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ. ნელა უსვამდა სტეფანო ნიჩბებს და ასე გაშორდა გემს. ღამის ბინდბუნდში გახვეული მეზღვაურები გასცქეროდნენ, როგორ უჩინარდებოდა მათი კაპიტანი.

დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია, უცაბედად ამაზრზენი თავი წამოადგა ნავის კიჩოზე.

— აი, მოვედი, — ამოიძახა სტეფანომ, — ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს, — და უკანასკნელად ძალამოკრებილმა ბარჯი აღმართა.

— ოოომ, — მძიმედ ამოიქშინა კოლომბრემ, — დიდხანს გელოდი... მეც ძლიერ დავიქანცე, როგორ მადევნინე თავი, სულ კი გამირბოდი და ვერც მიმიხვდი...

— რას უნდა მივმხვდარიყავი? — უკმაყოფილოდ ჩაეკითხა სტეფანო.

— შენ გეგონა, იმიტომ მოგდევდი, უნდა ჩამეყლაპე. მე ხომ ზღვის მეფემ დამავალა, ეს გადმომეცა შენთვის.

კოლომბრემ საზარელი პირი დააღო და მოხუც კაპიტანს პატარა მბრწყინავი ბურთულა გაუწოდა. სტეფანომ ფრთხილად ააცალა იგი ენიდან. მაშინვე შეიცნო ზღვის დიდი მარგალიტი, რომელსაც მპოვნელისათვის ბედნიერება, ძალა, სიყვარული და სულის სიმშვიდე მოაქვს.

მაგრამ გვიანღა იყო.

— ვაი, ჩემს თავს! — დაიკვნესა სტეფანომ, — როგორ მოვტყუვდი. საკუთარი თავი სატანჯველად გავწირე, შენ კი დაგღუპე!

— მშვიდობით, უბედურო! — გაისმა პასუხად და კოლომბრე საუკუნოდ ჩაიკარგა ზღვის შავ ხახაში.

ორი თვის შემდეგ ციცაბო კლდეების ძირში ზღვის ტალღებმა ნავი გამორიყა. იგი მეთევზეებმა შეამჩნიეს და მიუახლოვდნენ. ნავში გათეთრებული ჩონჩხი იჯდა. თითების ძვლებს მბრწყინავი პატარა ქვა ჩაებღუჯა.

მინაწერი:

კოლომბრე საშინლად უშნო და დიდი ზომის თევზია; იგი იშვიათობას წარმოადგენს. დედამიწის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელს უწოდებენ: კოლომბრე, კაჰლუბრა, კალუნგა, კალუ-ბალუ, ხალუნგ-გრა... ნატურალისტები რატომღაც უგულებელყოფენ მას. ზოგი მათგანი იმასაც ამტკიცებს, საერთოდ არ არსებობსო.

იტალიურიდან თარგმნა
ნუნუ ბელაძემ.



მამუკა ცეცხლაძე

# ჯანუ, ჯანუნ' აინა

„უცხოს თვალები მუდამ დაყვლეპილი აქვს, მაგრამ დანახვით მარტო იმას ხედავს, რაც იცისო“ — ეს იდუმალი ხიბლით აღსავსე მალაგასური ანდაზა 1985 წლის მაისში, მადაგასკარზე გამგზავრების წინ, ამოვიკითხე ერთი რუსი ჟურნალისტის, ვლადიმერ კოროჩანცევის წიგნში: „გამოცანებისა და ამოჩენების კუნძული“. ეს კაცი ჩემამდე კარგა ხნით ადრეა ნამყოფი ამ მართლა ზღაპრულ კუნძულზე და ეს წიგნიც უკვე კარგა ხნის დასტამბული ჰქონდა ჩემსა და იმ ოცდახუთი კაცის ბედზე, ვინც მადაგასკარზე ვაპირებდით გამგზავრებას ჩვენი, ქართველი მეგზევეების საძიებო ექსპედიციის შემადგენლობაში. ჩემი ცოდნა იმხანად მადაგასკარის შესახებ მხოლოდ ამ წიგნით შემოიფარგლებოდა, ერთ ყურმოკრულ ამბავს თუ არად ჩავაგდებთ — ჩვენს ცნობილ გეოგრაფოსს, ალპინისტსა და მოგზაურს, ბატონ ლევან მარუაშვილს „ქაჯეთის ციხის“ ადგილსამყოფელად მადაგასკარის დედაქალაქი, ანტანანარივუ დაუდგენიაო. ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა, რა თქმა უნდა, ეს ამბავი, მაგრამ მაინც, ასე იყო თუ ისე, იმ „ცოდნის“ ნაწილი გახლდათ, რაც ჩემი ცნობიერების რომელიღაც კუთხე-კუნჭულში იმ შორეულ კუნძულს უკავშირდებოდა, სადაც მე მივემგზავრებოდი — რა დასამალია და — ყოვლად მერკანტილური მიზანსწრაფვით შთაგონებული. თვითმფრინავში რომ ვჯდებოდი, მახსოვს, ეს მალაგასური ანდაზა ამეკვიატა მაშინაც თავში და მეცინებოდა გუნებაში — მე ალბათ „ქაჯეთის ციხეს“ დავინახავ ჩასვლისთანავე, რაკიღა სხვა არაფერი ვიცი-მეთქი.

ერთი ჩია ტანის შავი კაცი მგზავრობდა ჩემ გვერდით სავარძელში, თვრამეტი საათი უნდა გვეფრინა ერთად და ამ ხნის განმავლობაში ყოვლად წარმოუდგენელი იყო, ცხადია, რომ ადრე თუ გვიან, ერთიმეორეს არ გამოვლაპარაკებოდით, მით უფრო, რომ მეც მარტოს მიწევდა მგზავრობა და არც იმას ხლებია ვინმე იმ თვითმფრინავში. მალაგასი პროფკავშირული მოღვაწე აღმოჩნდა, ერთ წელიწადს ასწავლიდნენ თურმე ჭკუას მოსკოვში და ბოლოს, სამშობლოში დაბრუნების წინ, საქართველოში გამოუგზავნიათ ექსკურსიაზე. ახტა და დავარდა, ქართველი ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი — ვერ წარმოიდგენთ, როგორა ჰგავს თქვენი სამღერები ჩვენსასო, მითხრა; აღტაცებული იყო საქართველოთი. „ქაჯეთის ციხე“ გამახსენდა, რა თქმა უნდა, მაშინვე და ბატონი ლევან მარუაშვილის პირით ნიშანი მოვუგე საკუთარ თავს — ესეც მე ვართქო! მერე ერთხანს ფიქრებმა წამიღო და ივანე ჯავახიშვილის ის უცნაური ვარაუდიც გამახსენდა ამასთან დაკავშირებით „ადრეკილაჲს“ დღესასწაულის გამო რომ აქვს გამოთქმული. ამ ვარაუდის თანახმად, ქართველ ხალხს, ანუ ქართველურ ტომებს, ოდესღაც მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ შავი, ან მუქი ფერის კანის მქონე ხალხებთან და ტომებთან...

მადაგასკარზე წინაუკმოდ ივარაუდება ამდაგვარი რამ. ეს მერე იყო, მოგვიანებით, მაგრამ აქვე მინდა მოგახსენოთ. ერთ გოგოს ვახმარდით ჩვენს მზარეულს — კარტოფილს უფცქვნიდა, ხახვს უჭრიდა, ჭურჭელს ურეცხავდა და პირველივე დღიდან თავგადაკლული უმტკიცებდა — თეთრი ვარო. ეცინებოდა ჩვენს მზარეულს — შავი ხარ, მაგრამ კარგი ხარო, ეუბნებოდა. ერთხელაც წამოუხდია ამ გოგოს კაბა და — ბარძაყები მართლა თეთრი აქვს, მამის სული ნუ წამიწყდებაო — ამტკიცებდა ამის მერე ჩვენი მზარეულიც — შავი და თეთრი უკანალი აბანოში გამოჩნდებაო — ჩვენში რომ ამბობენ, თურმე ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გვესმოდესო. უცნაურია, არა, თუ მართლა ასე იყო საქმე? მაგრამ ამაზე უფრო უცნაური ის გახლავთ, რომ მალაგასები, მადაგასკარის მკვიდრი მოსახლეობა, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც შავები ყველანი — თეთრიაო — ადამიანზე რომ იტყვიან, მისი კანის ფერს კი არ გულისხმობენ მაინცდამაინც, არამედ იმას, რომ ეს ადამიანი „ანდრიანაა“, ანუ კეთილშობილი და, ესე იგი, არისტოკრატი. ჩვენ კი ამ დროს — მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც თეთრები ყველანი — „შავლეგოს“ რომ ვმღერით, მაგალითად, გული სიამაყით გვევსება, „საავდროდ გამზადებულ შავ ღრუბელსა ჰგავს“ ჩვენი ამირანიც, რომელიც სულხან თანიაშვილს, გალექსილი „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორს, თუ დავუჯერებთ, რატომღაც „ორაა“ — სურათზე გამოსახული ექვსივე ჭაბუკი და მათ შუა „შუქით მზის მონამატული“ ქალი „ტურფებად“ იხსენიებიან ყველანი, ამირანზე კი „ორაო“ — ასე ამბობს სულხან თანიაშვილი. ჩვენს მთაში ცოლ-ქმარი დღესაც ასე მოიხსენიებს ერთიმეორეს სიყვარულით — „ჩემი კაცშავაო“ და „ჩემი ქალშავაო“. კაი ვაჟკაცზეც, მოგეხსენებათ, „შავყვერას“ იტყვიან.

ალექსანდრე დიუმა-მამის პიროვნულ ფენომენზე ვწერდი ამას წინათ სწორედ „დროშაში“, მის ხასიათს მისსავე წარმოშობას ვუკავშირებდი — პაპა საფრანგეთის ერთ-ერთი უბრწყინვალესი გვარიშვილი ჰყავდა, ბებია — ჰაიტე-

ლი მონა, ულამაზესი ზანგის ქალი. ალექსანდრე დიუმა-მამას ჯვარი სწყალობდა ჯვარცმული და თავის გემოზე მოსჭამა ეს წუთისოფელი ისევე, როგორც — ნათელი დაადგეთ! — ბარეორ „ორას“ მოუჭამია ჩვენშიც, მაგრამ მე იმას ვფიქრობ ახლა, რომ მალაგასებისა არ იყოს, ოდესღაც, როგორც ჩანს, ამ ჩვენს საგიორგოსაც მოსძალებია სიშავე და მაშინ ამირანს, „პირქუშს“, ჩვენში მზეჭაბუკი აღდგომია წინ, პირიმზისას პირიმთვარისა დაუჩრდილავს და მზეთუნახავი მთვარის კულტს ნიშანდობლივად თ ე თ რ ი გიორგი ჩანაცვლებია, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს დაახლოებით.

სწორი გამოდგა ჩემ შემთხვევაშიც ეს მალაგასური ანდაზა, როგორც ხედავთ, მეც ის დავინახე ამ მშვენიერ კუნძულზე, რაც ვიცოდი და რაც დავინახე იმას მოგახსენებთ ამ წიგნში.

მალაგასური სიმღერები ქართულს ჰგავსო, იმ ჩემმა თანამგზავრმა რომ მითხრა, ამაზე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, ნიშანდობლივად, თუ არ ვცდები, არცერთი ჩვენი კუთხის სიმღერას არ უნდა ჰგავდეს მალაგასური სიმღერა, მაგრამ ზოგადად შეიძლება მართალიც იყოს ეს. „რანუ რანუნ' აინა“, მაგალითად, აწ უკვე საეკლესიოდ ქცეული, ერთი უძველესი მალაგასური სიმღერის სიტყვებია და ნიშნავს „წყალი, სიცოცხლის (ცხოვრების) წყალი“, მახვილი ამ „აინას“ (სიცოცხლე, ცხოვრება) ისეთნაირად მოუდის, რომ ჩვეულებრივ მეტყველებაშიც და მით უფრო, სიმღერაში „რანუ რანუნაჲ“ ისმის მხოლოდ და ჰანგიც საკმაოდ ზუსტად იმეორებს ჩვენებური სიმღერის რეფრენს.

ეს იყო და ეს, ამის მერე კაი ხანი გავიდა ისე, რომ „ქაჯეთის ციხე“ ჩემთვის აღარაფერს გაუხსენებია.

ერთ მშვენიერ დღეს კი — „ბუთხუზიო“ — რომ გაიგონეს, გულიანად, ალალად და უსაყვედუროდ გაეცინათ ჩვენს მუშებს. ბატონ თენგიზ ბუთხუზს, ჩვენი კონტრაქტის ხელმძღვანელს, ეს არ შეუმჩნევია და არ დაუნახავს, ადგილობრივმა უფროსებმა წყრომით გადახედეს და უმალვე ჩააჩუმეს ის მუშები, მაგრამ მე გამახსენდა ამ დროს, რომ თავიდან ამ უფროსებსაც ეცინებოდათ ხოლმე ულვაშებში, ამ გვარს რომ წარმოსთქვამდნენ. დავიმარტოხლე ხან ერთი, ხან მეორე, უფროსებმა სიტყვა ბანზე ამიგდეს და არაფერი მითხრეს, ბოლოს ისევ ერთი იმ მუშათაგანი გამოვტეხე. „ბუტა“ პატარა ბიჭს ნიშნავსო, მითხრა, მსუქანას, „ჰუზი“ კი — გოგოს, ერთად ქალაბიჭა გამოდისო. ჩემ ბედზე იმ მუშას „რაკუტუ“ ერქვა. „კუტუ“ აგრეთვე ბიჭს ნიშნავს მალაგასურად, ის „ბუტა“ ამ „კუტუდან“ არის წარმომდგარი, „რაკუტუ“ კი უკვე საკუთარი სახელია, ჩვენებურ „ბიჭიკოსავით“. იქვე მივუთარგმნე, როგორც იტყვიან, თავისი სახელის ქართული მნიშვნელობა და ასე ვიძიე შური ჩვენი საყვარელი უფროსის გამო. ბატონი თენგიზისათვის იქ არაფერი მითქვამს ამის შესახებ, აგერ ამ წიგნიდან შეიტყობს ალბათ ამ ამბავს და არ შემიძლია, ამ შემთხვევით არ ვისარგებლო და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით არ მოვიხსენიო აქ თავად იგიც, მისი სათნო მეუღლე — ქალბატონი ლეილა და ის შესანიშნავი გუნდი ქართველი მეგზევეებისა, ერთიმეორეზე უფრო პურადი და გულადი ვაჟკაცებისაგან რომ შესდგებოდა. არასოდეს დამავიწყდება, მაგალითად, ბატონი ლეო კალანდაძე, უკიდურესი გაჭირვების, უკიდურესი დაღლილობის, უკიდურესი მონატრების ჟამს ცად რომ აღაპყრობდა ხელებს და ლოცვასავით წარმოსთქვამდა თავისი სათაყვანებელი მოგვარის ამ სიტყვებს: „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო, შენ ისე ღრმა ხარ...“ არასოდეს დამავიწყდება იმ პურის გემო, რაც ამ მართლა კაი ყმებთან გამიტეხია მე — მათს უხეირო თარჯიმანსა და უღონო ჩრდილს იმ მიწაზე, საიდანაც, ვინ იცის, იქნება მართლა დაუნახავთ ოდესღაც „ქართული ცა“ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსა თუ მის გმირებს.

* * *

„ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიას, ანუ „გამოგონილი“ ქვეყნების საკითხს, ბევრი მკვლევარი შეხებია და არსებობს ამის თაობაზეც რამდენიმე, ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი, მაგრამ გეოგრაფოსი მათ შორის, თუ არ ვცდები, მხოლოდ ლევან მარუაშვილი გახლდათ. მადაგასკარიდან რომ დავბრუნდი, მერელა წავიკითხე პირველად მისი გამოკვლევა და ინსტიტუტში ვეახელი. დიდხანს ვისაუბრეთ, მახსოვს, ერთი მიმართულებით ვფიქრობდით ორივე, ჩახრუხაძეს გადასწვდა ბოლოს ისიც... (ისიც-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მეც ასე მეგონა და ახლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ჩახრუხაძის გარდა სხვას არავის შეეძლო დაეწერა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, თუ სიტყვამ მოიტანა). მერე ის იყო, მისი ერთი წერილი ვათარგმნინე ფრანგულად, მინდოდა მადაგასკარზე გამეგზავნა, მაგრამ ქვეყანა აირია ამასობაში და ველარ მოვაბი თავი ვერც ამ საქმეს. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაურეკავს ჩემთან, არ ვიყავი იმ დროს ქალაქში, უეჭველია, რომ იმ თარგმანის ბედი აინტერესებდა... ველარ მოესწრო, ნათელში ამყოფოს ღმერთმა იმისი სული!

* * *

გულანშაროში მე ვერ მოვხვდი. გულანშარო, ლევან მარუაშვილის მიხედვით, მადაგასკარის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზეა, ჩვენი ექსპედიცია კი აღმოსავლეთ სანაპიროზე ატარებდა თავის საძიებო სამუშაოებს, მაგრამ ანტანანარივუში, ანუ „ქაჯეთის ციხის“ ადგილ-სამყოფელში, კაი ნახევარი წელიწადი ველოდე ჩემს უფროსებთან ერთად ამ ექსპედიციას და იმ პატარა რესტორნის პატრონი, სადაც ჩვენ ვსადილობდით და ვვახშმობდით ყოველდღე, ხშირ-ხშირად იწონებდა თავს ჩვენს წინაშე — ამ დილით ჩამომიტანა ეს თევზი, კიბოები, ლანგუსტები და ლოკოკინები მაჟუნგადან ჩემმა მეგობარმა მფრინავმა, ხომ არ მიირთმევთო. სილამაზით დღესაც განთქმულია გულანშარო, დღესაც საკმაოდ დიდი საპორტო ქალაქია და სავაჭრო ცენტრი მადაგასკარის პირობაზე და დღესაც ძირითადად მუსულმანებით არის დასახლებული. მაჟუნგა თანამედროვე სახელია „ვეფხისტყაოსნისეული“ „ზღვათა სამეფოს“, ანუ ოდესღაც — რუსთაველის ეპოქაშიც და მანამდეც — რეალურად არსებული, 1598 წელს პორტუგალიელების მიერ იავარქმნილი მადაგასკარის მუსულმანური სასუნთლოს დედაქალაქისა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით გულანშარო ჰქვია, ხოლო სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხები ხან გულანშახრს ეძახდნენ თურმე, ხან ლულანჯანის, ხან ლანჯანის და ხანაც მანძას. ეს უკანასკნელი სახელი — „მანძა“ — საკუთრივ მალაგასური უნდა იყოს, „მანძა“ ლამაზს ნიშნავს მალაგასურად.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ორლოვი

# სტალინი და ესპანეთის ოქრო



ცნობილი ჩეკისტი ალექსანდრე ორლოვი ჯერ კიდევ ი. სტალინის სიცოცხლეში აღმოჩნდა დასავლეთში. მან უცხოეთში გამოაქვეყნა თავისი მემუარები.

მისი ერთი ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ „ოგონიოკში". გთავაზობთ ფრაგმენტს ამ მოგონებებიდან. ვფიქრობთ, ქართველ მკითხველს ეს უთუოდ დააინტერესებს.

ესპანეთის საპორტო ქალაქ კარტახენიდან შებინდებულზე გავემგზავრეთ. მანქანაში ჩემს გვერდით ესპანეთის ფინანსთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი იჯდა, რომელსაც სახეზე შიში და შეშფოთება ნათლად ეხატებოდა.

ჩვენს ავტომობილს საბარგო მანქანა მიჰყვებოდა და მთელი ეს კოლონა ჩრდილოეთისაკენ, ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზისაკენ მიეშურებოდა. თუმცა ჩვენ არც სამხარი ტექნიკა გვაინტერესებდა და არც ფეთქებადი მასალა. მიზანი გაცილებით უფრო სერიოზული იყო.

კარგად მოვლილი ბაზის ტერიტორიაზე აღმოვჩნდით, მერე კი ცენტრში მოთავსებულ საწყობში შევედით, რომლის კედლების გასწვრივ ათასობით ზის ყუთი ელაგა. მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ, რომ ამ პაგულდაგულოდ შემოსალტულ და დალუქულ ყუთებში ოქროს ზოდები და რამდენიმე მილიონი ოქროს მონეტები ეწყო.

საკავშირო მთავრობის განკარგულებით სწორედ ამ განძის წასაღებად ვიყავით აქ მივლინებული. ესპანეთის ოქროს ხელუხლებელი მარაგი მოსკოვში უნდა გაგვეგზავნა. ,

ეს ყველაფერი, რასაც გიამბობთ, 1936 წელს მოხდა, სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე.

მე ვხელმძღვანელობდი ეგრეთ წოდებულ „ოქროს ოპერაციას", რომელიც დეტალურად წუთებში იყო გათვლილი.

ესპანეთის რევოლუციის ბელადებმა, იმის შიშით, ეს უძვირფასესი განძი გენერალ-სიმუს ფრანკოს მფლობელობაში არ აღმოჩენილიყო, გადაწყვიტეს, საზღვარგარეთ მძიმე დღეებისათვის გადანახული ქონება „დროებით შესანახად" საბჭოთა კავშირისათვის მიებარებინათ.

რუსეთისათვის ესპანეთის ოქროს გადაცემა (600 მილიონი დოლარი 1936 წლის კურსით) წლების მანძილზე იდუმალებით მოსილ ლეგენდად იქცა, ათასგვარად დამახინჯდა და აირ-დაირია, მით უმეტეს, რომ ამ ოპერაციის მონაწილეთაგან ომის შემდგომ ორნილა დავრჩით ცოცხალი — მე და ერთი ესპანელი.

მადრიდში 1936 წლის 16 სექტემბერს ჩავედით, სამოქალაქო ომი ორი თვის დაწყებული იყო. მე დავალებული მქონდა საბჭოთა სამხედრო მისიის სადაზღვევო უწყების ხელმძღვანელობა და რესპუბლიკური მთავრობის დაზვერვის, კონტრდაზვერვის და პარტიზანული ბრძოლების კოორდინირება.

როგორც აქ მივლინებული რუსების უმრავლესობას, მეც სულითა და გულით მსურდა რესპუბლიკელთა გამარჯვება.

ჩემი ჩამოსვლიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ საბჭოთა საელჩოს რადისტმა გადმომცა რადიოგრამა გრიფით: „სრულიად საიდუმლოდ. გადაეცეს პირადად შვედს" (შვედი ჩემი ფსევდონიმი გახლდათ). ტექსტი კი შემდეგს იუწყებოდა: „მოელაპარაკეთ პრემიერ-მინისტრ ლარგო კაბალეროს ესპანეთის ოქროს საბჭოეთში გადმოგზავნის თაობაზე, აუცილებლად ჩვენი გემებით. დაიცავით გასაიდუმლოების უმკაცრესი წესები. თუ ესპანელები ხელწერილს მოითხოვენ, კატეგორიული უარი განაცხადეთ. გიმეორებთ — სრული უარი. დაარწმუნეთ, რომ ყველა სათანადო საბუთი გაფორმდება მოსკოვში, სახელმწიფო ბანკში განძის მითვლის შემდეგ. ოპერაციაზე პირადად ხართ პასუხისმგებელი. ივან ვასილიჩი,. ეს ფსევდონიმი ადასტურებდა, რომ ბრძანება პირადად სტალინის გაცემული იყო.

იმ დროისათვის მადრიდის გარშემო ყულფი ინასკვებოდა, ქალაქი დღე-დღეზე ნაციონალისტების ხელში უნდა გადასულიყო. საბჭოთა კავშირისათვის ოქროს მარაგის გადაცემის 13 სექტემბრის დეკრეტს ხელი მოაწერეს პრეზიდენტმა მანუელ აზანმა და ფინანსთა მინისტრმა დოქტორმა ხუან ნეგრინმა.

განძის ადგილმდებარეობა დეკრეტში არ იყო მინიშნებული, უბრალოდ ფინანსთა მინისტრს ავალებდნენ, მოენახა „ოქროს გარკვეული რაოდენობისათვის სათანადო და უსაფრთხო ადგილი".

ესპანეთის პარლამენტს ამ ოპერაციის შესახებ არაფერი აცნობეს და მიუხედავად იმისა, რომ დეკრეტის ოფიციალურ საბუთში საბჭოეთის ხსენებაც კი არ იყო, ნეგრინმა დახმარებისათვის მაინც საბჭოთა საელჩოს სავაჭრო წარმომადგენლობას მიმართა, აქედან თავის მხრივ ფაქტი მოსკოვს აცნობეს და სტალინი „დიდსულოვნად" დათანხმდა.

სტალინისაგან მიღებული დეპეშა-დირექტივის მიღების მეორე დღესვე პირადად შევხვდი ნეგრინს. ფინანსთა მინისტრი ინტელიგენციის იმ ტიპიურ წარმომადგენლებს ეკუთვნოდა, რომლებიც „კომუნიზმს, როგორც თეორიას არ აღიარებდნენ, მაგრამ რუსეთის დიდ ექსპერიმენტს თანაუგრძნობდნენ".

მინისტრის მიმნდობი ხასიათი და გულუბრყვილობა დიდად დაგვეხმარა ოქროს მარაგის უმტკივნეულოდ გადაგზავნის საქმეში. ამაში ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ ისტორიის არსებულ მონაკვეთში ესპანეთის რესპუბლიკურ ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის გარდა ფაქტობრივი დამხმარე არ ჰყავდა.

—სად არის ოქრო"? — ვკითხე მე.

„კარტახენის მახლობლად, გასაიდუმლოებულ სამხედრო საწყობში" — მიპასუხა ნეგრინმა.

კარტახენა ჩვენთვისაც ხელსაყრელი იყო, რადგან ამ პორტში ყოველთვის იდგა ცარიელი საბჭოთა გემები, რომლებსაც რესპუბლიკელებისათვის სამხარი იარაღი ჩამქონდათ.

ფინანსთა მინისტრის გარდა საქმის კურსში იყო ესპანეთის ერთი მინისტრი, რომელიც სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ძალებს ხელმძღვანელობდა. მას უშუალოდ ევალებოდა რუსეთისაკენ მიმავალი გემების დაცვა და უსაფრთხოება.

სიტუაცია სწრაფ და მოქნილ მოქმედებას გვკარნახობდა, რადგან საკმარისი იყო, „ოქროს ოპერაციის“ ფაქტი გახმაურებულიყო, რომ იტალიელებიც და გერმანელებიც ყოველ ღონეს იხმარდნენ მის ხელში ჩასაგდებად, მეტიც, თვად ესპანელები ჩაგვიკეტავდნენ ნავსადგურს და არც გასამტყუნარი იქნებოდნენ. რომელი სახელმწიფო ისურვებს, თავისი ნებით გადასცეს საკუთარი ეროვნული განძი სხვა ქვეყნის მფლობელობაში?!

ახლა კი მოსკოვში შექმნილი სცენარით ჩემს პირად განკარგულებაში გადმოდიოდა ოქროთი პირთამდე სავსე ათი ათასი ყუთი, ყოველ ყუთში 145 გირვანქა პატიოსანი ლითონი ეწყო, რომლის სუფთა წონა 725 ტონას შეადგენდა.

მეორე დღესვე კარტახენაში გავემგზავრე. ჩემი ძველი მეგობარი ნიკოლოზ კუზნეცოვი (მომავალში საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი) უკვე პორტში მელოდა. მას დავალებული ჰქონდა სრულ მზადყოფნაში მოეყვანა საბჭოთა გემები, რომელთა საომარი ტექნიკისაგან დაცვა და განთავისუფლება უკვე მოესწროთ.

ოქროს ტრანსპორტირების პრობლემა როგორღაც თავისთავად წყდებოდა — რამდენიმე საათის წინ საბჭოთა სატანკო ბრიგადა გადმოსხეს. ბრიგადას პოლკოვნიკი კრივოშეინი მეთაურობდა. მან სრულიად დაუბრკოლებლად გამომიყო 20 სატვირთო მანქანა და საუკეთესო მძღოლებით მომამარაგა.

უკლებლივ ყველას ესპანელი მეზღვაურის ფორმა ეცვა, ხოლო კოლონის თანხლება და დაცვა 60 ესპანელს დაევალა, რომლებსაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა ეწყო ყუთებში. არც საბჭოთა გემზე იცოდა ვინმემ ტვირთის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და ფასი.

მანქანები ათეულებად ეწყობოდნენ და კოლონებად მიემართებოდნენ პორტისაკენ, ყოველ ასეთ ათეულს 500 ყუთი გადაჰქონდა, დატვირთვა და გადაზიდვა მხოლოდ ღამით ხდებოდა, დღისით ყოველგვარი მოქმედება აკრძალული გვქონდა. „ოქროს ოპერაციის“ შესრულებას სამი ღამე დასჭირდა და სამივე ისეთი ღამე იყო, ჩვენს საქმეს რომ წაადგებოდა — უმთვარო და მრუმე.

მანქანები ჩამქრალი შუქფარებით მოძრაობდნენ, ხშირად ეროდათ გზაკვალი და ჩერდებოდნენ.

ყველაზე მეტად რესპუბლიკელთა პატრულისა მეშინოდა. ფაქტი იყო, რომ „ესპანელი“ მძღოლებიდან ერთმაც არ იცოდა ესპანური ენა, პატრული მათ აუცილებლად გერმანელ დივერსანტებად მიიღებდა და დააპატიმრებდა. მერე ყუთებს გახსნიდნენ და ეშმაკმა უწყის, რას მოიმოქმედებდნენ.

მეორე დიდი საშიშროება სამხედრო ბაზის შესაძლო დაბომბვა გახლდათ. კარგად ვიცოდი, აქ თავმოყრილ უამრავ ფეთქებად მასალას ერთი ბომბიც რომ დასცემოდა, ჩვენ, ოქროსთან ერთად, უთვალავ მოლეკულად დავიშლებოდით. დღეში საშუალოდ ოთხი საათი მეძინა, ესპანელები ბაზის ტერიტორიაზე არსებულ გამოქვაბულში ამჯობინებდნენ დასვენებას. ხშირად შევსწრებივარ წვრილ ფულზე ბანქოს მოთამაშე ესპანელებს, რომლებიც იმ ყუთებზე ისხდნენ, ოქროთი რომ იყო პირთამდე სავსე.

ბოლო ღამეს ფაშისტური ავიაცია მაინც დაგვესხა თავს. დიდხანს და გულმოდგინედ ბომბავდნენ და რესპუბლიკელების ერთი კრეისერიც კი ჩაძირეს. აქაც ბედმა გაგვიღიმა, ჩვენი არც ერთი გემი არ დაზიანებულა.

გათენებისას გემების დატვირთვა დამთავრდა. ტრიუმებში 7800 ყუთი იყო მოთავსებული — ესპანეთის სახელმწიფო ოქროს მარაგის თითქმის სამი მეოთხედი.

როდესაც უკანასკნელი ყუთი დავაბინავეთ, საკმაოდ უსიამოვნო წუთების განცდა მომიხდა. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ხელწერილი მომთხოვა, მე თავს ვარიდებდი და თავის დაძვრენას ვცდილობდი.

„კომპანიერო! — უსინდისოდ ვიტყუებოდი, მე არა ვარ უფლებამოსილი ხელწერილი მოგცეთ. მაგრამ ეს ნუ შეგაშინებთ, როგორც კი მოსკოვში ჩავალთ, იქ სახელმწიფო ბანკში ოქროს მიითვლიან და სათანადო დოკუმენტაციას გადმოგცემენ. ყველა ფორმალური საკითხი იქ მოგვარდება“.

ესპანელი არათუ შეწუხებული, გვარიანად დამფრთხალიც კი იყო. იმ პერიოდში მცირე შეცდომაც სიცოცხლის ფასად ჯდებოდა. ფინანსთა სამინისტროს ეს უხერხემლო წარმომადგენელი რომ დამერწმუნებინა, განძის გამყოლად ოთხი კაცის გამოყოფა შევთავაზე, თითო კაცი ყოველ გემზე. ჩემთვის ამ წარმომადგენლობას არავითარი ზიანის მოტანა არ შეეძლო, რადგან განძი უკვე გემებზე იყო მოთავსებული.

ორი საათის შემდეგ გემების ქარავანმა ოდესისაკენ აიღო გეზი.

ოპერაციის შემდგომ მიმდინარეობაში, მართალია მონაწილეობას აღარ ვღებულობდი, მაგრამ მისი დეტალური აღდგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან გემების თანმხლებ ბევრ მონაწილეთაგან პირადი მეგობრობა და ურთიერთობა მაკავშირებდა.

ოდესაში გემების ჩასვლამდე საბჭოთა კავშირის ყველა რეგიონიდან, განსაკუთრებით მოსკოვიდან და კიევიდან, მივლინებული იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აურაცხელი თანამშრომელი. რამდენიმე დღის მანძილზე ისინი, როგორც რიგითი მტვირთავები, გემებს ცლიდნენ და ძვირფას ტვირთს განსაკუთრებული დანიშნულების მატარებლის შემადგენლობისაკენ ეზიდებოდნენ.

ქალაქის ქუჩები სამხედრო ნაწილებით იყო გადაკეტილი, ხოლო როდესაც მატარებელი დაიძრა, მას ახობით მაღალი ჩინის ოფიცერი გაჰყვა.

საბოლოოდ ესპანეთის სახელმწიფო განძი მოსკოვში აღმოჩნდა.

სტალინმა ოპერაციაში მონაწილე ოფიცრებისათვის მდიდრული ვახშამი გამართა. ამ თავყრილობას სრული შემადგენლობით ესწრებოდა პოლიტბიურო. დიქტატორი მშვენიერ გუნებაზე იყო. იოსებ ბესარიონის ძეს, რომელმაც რევოლუციური მოღვაწეობა ექსპრობრიაციით დაიწყო (ჩვეულებრივი ენით ყაჩაღობა რომ ჰქვია), ასეთი მასშტაბის წარმატებამ, უდავოდ, ახალგაზრდობა გაახსენა.

ეჟოვმა ერთ ჩემს ახლობელს, რომელიც ამ ღრეობას ესწრებოდა, საიდუმლოდ გაანდო ის, რაც სტალინმა ვიწრო წრეში განაცხადა: „ესპანელები ისევე ვეღარ იხილავენ იმ ოქროს, როგორც საკუთარ ყურებს“. „ოქროს ოპერაციის“, წარმატებით დასრულებიდან 21 თვე გავიდა და ესპანეთის განძის შემდგომი ბედით არავინ დაინტერესებულა, მხოლოდ ერთხელ ფინანსთა მინისტრმა ნეგრინმა მკითხა გაოცებით: „სად გაქრა სამინისტროს ის წარმომადგენელი, რომლებიც ოფიციალური პირებად გაჰყვნენ რუსეთში სახელმწიფო განძს, რატომ არ ბრუნდებიან სამშობლოში?“

მისი ეს შეკითხვა პოლიტიკურად ბეცი ინტელიგენტის გულუბრყვილობის საუკეთესო ნიმუში იყო.

უდავოა, ფრანკო მადრიდის აღებისთანავე შეიტყობდა ოქროს მარაგის გაქრობის ფაქტს, მაგრამ მას კრინტიც არ დაუძრავს არათუ მაშინ, არამედ არც შემდგომი 18 წლის მანძილზე.

საიდუმლო მხოლოდ 1956 წელს, ხუან ნეგრინის გარდაცვალების შემდეგ გახმაურდა, მაშინ როდესაც მის პირად არქივს ესპანეთის საგარეო საქმეთა თანამშრომლები აზარისხებდნენ.

რამდენიმე თვის შემდეგ „პრავდაში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც ავტორი აცხადებდა, რომ 1936 წელს ესპანეთიდან 500 ტონა ოქროს გადმოზიდვა ფაქტია! მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ამბავი, რომ სამოქალაქო ომის დროს ესპანეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირს არ გადაუხადა უზარმაზარი თანხა სამხედრო-საომარი ტექნიკის მიწოდებისათვის. მართალია, სსრკ-მ მიიღო 500 ტონა ოქრო, მაგრამ მისმა ლირებულებამ ესპანეთის სახელმწიფო ვალი მთლიანად მაინც ვერ დაფარა და ამჟამად ეს დავალიანება 50 ათას დოლარს აღემატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ბრიტანეთში დღემდე ყველაზე მაღალ ადამიანად ითვლება ბრისტოლის მკვიდრი, ირლანდიელი პატრი კოტე ო' ბრაიენი, რვა ფუნტისა და ერთი დიუმის (2.46 მ.) სიმაღლის იყო. როგორც ამბობენ, ქირურგ კონ ჰანტერს მისი ჩონჩხის ხელში ჩაგდება ეწადა. ის არაფერს ეპუებოდა, პირში ეუბნებოდა, დიდ რკინის ქოთანში მოგხარშავ, სანამ წელებს არ დაგაყრევინებო. ო' ბრაიენი ჩიოდა, რომ ასე ულმობლად ექცეოდნენ, არ ასვენებდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ. 1806 წელს, მართლაც, მოხდა ის, რასაც ასე ერიდებოდა, საცოდავი ავარიაში მოჰყვა, დაიღუპა და მისი გვამი გაიძვერა ქირურგს ხელში ჩაუვარდა. ჰანტერს ადგილობრივი ყველა დამკრძალავი ბიურო ისე მოესყიდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დააჭილდოებდნენ. ო' ბრაიენის ჩონჩხი ლონდონის ქირურგთა სამეფო კოლეჯში ინახება და მისი ზომები ჯერ კიდევ 1975 წელს შემოწმდა.

## მამა

ქეიფს შეუყვებოდა და... დედას თავზე დაათენდებოდა.

ბავშვები ვიძინებდით. ვიცოდით, დილას მაინც გამოჩნდებოდა, ჩვენს იქით გზა არ ჰქონდა.

გარდაიცვალა. დავმარხეთ. მეორე დღეს სასაფლაოზე გავედით.

დედა ლოდზე დაემხო და გულამოსკვნილი აქვითინდა:

— წუხელაც გარეთ დარჩი, შე უბედურო!..

## ბებია

თვალს ვაპარებ მოპირდაპირე შენობის კედელზე, რაღაც სახწაულით, გადარჩენილ გაცრეცილ აფიშას.

შენც, ასევე, გულზე ამკვრიხარ და ცხოვრების მაჯისცემას ყურს აპყრობ...

* * *

გაზაფხულზე ბუნება იმოსება, ჩვენ ვიძარცვებით...

შენც, ფარჩა-დიბა შემოიფხრიწე ტანზე, და დედიშობილა, პირველყოფილი სილამაზით გამომეცხადე...

* * *

შენზე უფროსი არ ვარ; უბრალოდ, ადრე დავიბადე.

ამქვეყნად გვიან მოვლინებით კი ბევრს მოიგებ, ძვირფასო!

* * *

ფუნაგორიები მზეს ცის დასალიერისკენ მიაგორებდნენ, ბაყაყის დღე კი ყიყინში გადიოდა.

* * *

ნახევრად ჩაბნელებულ, ცივ ოთახში თვალებჩალამებული მოხუცი ცოლქმარი დავლანდე...

ნესტიანი კედლიდან გამოჩრილ გამურულ აგურზე ჰრაქი ბჟუტავდა.

გულს შემომეყარა.

— დედი, რას მოგიწყენია? — ვკითხე, — ბუზარი აგიზგიზე... სუფრა გააწყვე, ხედავ, ახალი წელია!

— ბავშვები რომ შინ არ არიან?!

* * *

სოფელში, ახლაც იმავე ქვაზე მჯდარმა, გიჟმა გიორგამ პირველმა შენიშნა.

იცნო ის ბიჭუნა, ერთ დროს სიცოცხლეს რომ უმწარებდა...

გაიღიმა, ტაში შემომკრა...

* * *

ყვითელნისკარტა ჩიტუნამ ჩემი თმა აიტაცა, წაიღო, ჩააწნა ბუდეს.

ერთი ბეწვითაც დავუკავშირდი დედაბუნებას.

* * *

ჩემი გულის წიაღიდან იწოვდი ნავთს... და ლამპა გენთო...

მამიკონ თაგვორიანი.



## შერონ სთოუნი — ძერა ლამაზმანი



პენსილვანიის პატარა ქალაქ მეადვილში, ფოლადის ფორმების ჩამომსხმელის ოჯახში, დაიბადა მომხიბლავი გოგონა შერონ სთოუნი. იგი ადრეული ასაკიდანვე ოცნებობდა, მიეტოვებინა ეს მოსაწყენი ქალაქი, რადგანაც იცოდა, აქ ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევდა და ამიტომაც გადაწყვიტა, ნიუ-ორკში ეცადა ბედი. თვრამეტი წლისამ მონაწილეობა მიიღო სილამაზის კონკურსში; ორი წლის შემდეგ მანეკენად დაიწყო მუშაობა ცნობილ მოდელიერ ვილენ ფორდთან. იგი სამი წლის განმავლობაში მუშაობდა მანეკენად. მისმა ფოტოებმა დიდი წარმატებები მოიპოვა, მაგრამ ეს შერონის მთავარი მიზანი არ იყო. მას ჰოლივუდში დამკვიდრება სურდა, ამიტომ ცოლად გაჰყვა ახალგაზრდა ტელერეჟისორს მიშელ გრეენბურგს. ორი წლის შემდეგ ისინი განქორწინდნენ.

პირველად შერონ სთოუნი 1980 წელს ვუდი ალენმა აღმოაჩინა და მიიწვია რამოდენიმე ფილმში. კინოვარსკვლავის ტიტულის მოპოვებამდე შერონი მონაწილეობდა სერიალში. მიუხედავად მრავალი როლისა, მომხიბლავ სთოუნს წარმატება რამდენიმე ფილმმა მოუტანა: „გაიხსენე ყოველი“, სადაც მას პარტნიორობას უწევს არნოლდ შვარცენეგერი, „ძირითადი ინსტინქტი“. ამბობენ, ამ ფილმში შერონი და მაიკლ დუგლასი გადაღების დროს ნამდვილად ათამაშებდნენ სასიყვარულო სცენებს. „როდესაც ფილმი ეკრანზე ვნახე, ყველა ჩემს მეგობარს ვთხოვე, არ ენახათ იგი“,— იხსენებს შერონი.

1995 წელს გამოვიდა ფილმი „კაზინო“, სადაც შერონს პარტნიორობას უწევს ცნობილი კინოვარსკვლავი რობერტ დე ნირო. სწორედ ამ ფილმით წარადგინეს შერონ სთოუნი ამერიკის კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოზე „ოსკარზე“.

მიუხედავად დიდი წარმატებისა, შერონ სთოუნს არასოდეს ავიწყდებოდა თავისი წარსული და დაბალი წარმოშობა.

მომხიბლავი კინოვარსკვლავი დიდი პოპულარობით სარგებლობს მამაკაცთა შორის.

„მსიამოვნებს, როცა მამაკაცები მიყურებენ, რადგან ვიცი, რომ მათაც სიამოვნებთ ეს. მე არც ისეთი ლამაზი ვარ, მაგრამ შემიძლია თვალების ისე მინაბვა, რომ მამაკაცები მოვხიბლო. როცა ოცი წლის ვიყავი, ყურადღებას არავინ მაქცევდა, ახლა ოცდათექვსმეტი წლისას ყველას სურს, ჩემგან იყოლიოს ბავშვი, არა! კარიერისათვის ათწლიანი ბრძოლის შემდეგ, მე მივხვდი, რა არის ჰოლივუდი“. მსახიობი ყოველ მეორე დღეს იცვლის საყვარელს და თავადვე ირონიულად დასძენს — „არ ვიცი, რამდენ ხანს გავუძლებ ამას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვივა იტალია!

იტალიური კინოს გრანდების გაქრობის შემდეგ ბევრის აზრით, იტალიური კინოხელოვნება ჩაკვდა. მით უფრო, რომ 1993 წლის კინოპროდუქცია რაოდენობრივად სახარბიელო არ იყო, ას ექვსი ნამუშევრიდან მხოლოდ ოცდაათი წარმოადგინეს კინოთეატრებში; არც სხვა ქვეყნებში გამოჩენილა იტალიური კინოფილმები.

1994 წელს იტალიელმა კინორეჟისორებმა კვლავ მოიპოვეს თავიანთი მაყურებელი. ჩინეჩიტამ სცადა, ტოლი არ დაედო ჰოლივუდისათვის — რობერტო ბენინის „ურჩხული" არაფრით ჩამოუვარდებოდა დისნეის „მეფე ლომს", ხოლო მასიმო ტროიზის ფილმი „პოსტინო" წლის საუკეთესო ფილმად აღიარეს.

აი, არასრული სია იმ იტალიელი რეჟისორებისა, რომელთა ფილმებმაც მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურა: ნანი მორეტი, ჯანი ამელიო, ტორნატორე, ბერტოლუჩი, სკოლა და სხვები. ამრიგად, იტალიურმა კინოხელოვნებამ თავისი ჩვეული სახე მიიღო.



## ელეგანტურობის დედოფალი

იხარგებლეთ შანელით. მისი სახელი ლეგენდად იქცა. პატარა, ღარიბ გოგონას, რომელმაც შემდგომში სახელი გაითქვა როგორც მოდელიერმა, ეყო მხნეობა, დაშორებოდა თავის დებს, რომლებმაც დიდი სახელი დატოვეს მოდის ისტორიაში. ქალბატონ შანელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მდიდარ და ელეგანტურ მაღალი წრის ქალბატონებთან, რომელთა დახმარებით მან 60-იან წლებში წარმატების მწვერვალს მიაღწია. მის შესახებ არაერთი დოკუმენტური ფილმია გადაღებული. იშვიათია, ასეთი დაბალი წარმოშობის ქალი ამგვარ დიდებას აღწევდეს. მრავალი მანდილოსანი შემოსილა შანელის ფორმის ტანსაცმლით. მან დიდი სახელი დატოვა მოდის ისტორიაში და ალბათ კიდევ კარგახანს ღირსეულად ატარებს ელეგანტურობის დედოფლის სახელს.



## ფირმა „რენოს" 50 წელი

ფირმა „რენოს" პირველი მანქანა საფრანგეთში 1945 წლის იანვარში გამოჩნდა. ამ საწარმოს სულისჩამდგმელი იყო ოკუპანტი გენერალი. ამის შემდეგ იგი თითქმის ორმოცდაათი წელი ედგა ამ საწარმოს სათავეში. რენოს ფირმის ავტომანქანებმა ნელ-ნელა მოიხვეჭა სახელი და ამჟამად ეს ფირმა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მანქანებს აწარმოებს.

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ჩიქვაიძემ.

## უბრალოდ მერიელ სტრიპი

ამერიკული კინოს ვარსკვლავი მერიელ სტრიპი ჰოლივუდში ყველაზე უბრალო და სადა ვარსკვლავია. „პლასტიკური ოპერაციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — განაცხადა მან კორესპონდენტთან საუბარში — ალბათ არაერთი ქალისთვის მოუტანია მას ბედნიერება, მაგრამ მე პირადად არასოდეს ვისურვებდი ჩემს გარეგნობაში რაიმეს შეცვლას. მე მინდა მაყურებელმა ეკრანზე ისეთი მიხილოს, როგორიც ვარ". როგორც კინომსახიობი აღნიშნავს, ცხოვრებაში ია-ვარდით მოფენილი გზა არ ჰქონია, მაგრამ არცერთი რეჟისორისათვის თავი არ მოუწონებია და არც როლისთვის უბრძოლია.



## ბრიჯიტ ნელსენი

სილვესტრ სტალონეს ყოფილი ცოლი ბრიჯიტ ნელსენი მეოთხედ გათხოვდა შვეიცარიელ მფრინავზე პოლ ორტოლანიზე. მას ეს-ეს არის შეეძინა მესამე ვაჟი და განაცხადა, რომ არ გაჩერდება„ კიდრე ქალიშვილი არ ეყოლება. კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჰყავს სტალონესთან შვილი, მან უპასუხა „იმდენად დაკავებული ვიყავით საკუთარი საქმეებით, ამაზე არც გვიფიქრიაო". თუმც ამას სულაც არ შეუშლია ხელი ბრიჯიტისათვის, დიდძალი ქონება წაერთმია მდიდარი ქმრისათვის. „ახლა ჩემთვის მთავარია ჩემი ქმრისა და შვილის ბედნიერება". იგი აქტიურად იბრძვის შიდსის წინააღმდეგ. რადგან თვლის, რომ დაავადება დიდ საფრთხეს უქმნის ბავშვების მომავალს.



## ესტელი

ჯონ ჰოლიდეის ცოლყოფილი, სახელგანთქმული ტოპ-მოდელი ესტელი ცოლად გაჰყვა ფრანგ მუსიკოსსა და მომღერალს დევიდს. თაფლობისთვის შემდეგ დევიდი მთელ დროს სტუდიაში ატარებს, ესტელი კი თვითმფრინავში. ამიტომაც მომავლისთვის გადადეს ხამი შვილის ყოლა. „ჩემი პროფესია არ არის მუდმივი. სანამ ტოპ-მოდელი ხარ, ყველას უყვარხარ და ყველა კომპლიმენტს გიძღვნის, მე კი ვიცი, ლამაზი ვარ, ხანამ უკეთესი არ დაიჭერს ჩემს ადგილს". მაგრამ ეს დიდად არ აღელვებს და სურს, რაც შეიძლება მეტი დრო ჰქონდეს, რათა ხშირად ჩავიდეს მშობლიურ ნორმანდიაში. საკუთარ თავს იგი ასე ახასიათებს, თავშეკავებული, პესიმისტი, გულწრფელი, ერთგული და პირდაპირი. „თუ ადამიანი არ მომეწონა, პირდაპირ შემიძლია მივახალო, ხოლო თუ მომეწონა, ამასაც დიდი სიამოვნებით აღვნიშნავ".

ფრანგულიდან თარგმნა
ქეთევან მაისურაძემ.

# კროსვორდი




შვეულად: 1. საყურე, რომელიც დამჭერით მაგრდება ყურზე; 2. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი ზოგ ქვეყანაში; 3. ქვა ან ნიჟარა, რომელზედაც რელიეფურად ამოკვეთილია ჩუქურთმა; 4. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანი ვრცელი ველი ჩრდილო ამერიკაში; 5. ფრანგი კინორეჟისორი; 6. მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 8. ნივთიერება, რომლითაც იჟღინთება ქსოვილი რაიმე თვისების მისაცემად; 9. ჩრდილო ამერიკის სახელმწიფოს დედაქალაქი; 12. ტანსაცმლის კარადა; 13. პატარა აკლდამა; 14. მთელი სიდიდე; 15. ცხენოსანი ჯარი; 16. ამერიკის ქალაქი; 17. სხეულის თვისება; 18. სახტამბო შრიფტი; 19. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა მეორე სახელმწიფოზე; 28. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 29. ქალაქი გერმანიაში; 31. ძვირფას ქვაზე ჩაღრმავებულად ამოკვეთილი გამოსახულება; 32. „გრძელხელება" მაიმუნი; 34. გულისრევის საწინააღმდეგო წამალი; 35. ჩირქდენა; 37. ელექტრული განმუხტვისა და მზის ულტრაიისფერი სხივების მოქმედების შედეგად წარმოქმნილი გაზი; 38. ნახატი ან ქანდაკება, რომელზედაც გამოხატულია ჯვრიდან ჩამოხსნილი იესო ქრისტეს დატირება.

თარაზულად: 7. შეგროვილი ფულით ქეიფი; 10. ქართული წარმოშობის, ცნობილი ამერიკელი ქორეოგრაფი; 11. ეგვიპტის დედოფალი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა; 13. ერთგვარი თევზი ქაშაყისებრთა ოჯახისა; 16. პარკოსანთა ოჯახის ერთწლიანი ზეთოვანი მცენარე; 18. მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის მფარველი რომაულ მითოლოგიაში; 20. წყალწყალა მოყვითალო სითხე, რომელიც რჩება რძის აჭრის ან ყველის ამოყვანის შემდეგ; 21. ღმერთების ხელმწიფე ვედიზმის მიხედვით; 22. სოფელი ხაშურის რაიონში სურამთან ახლოს; 23. მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ჰყვავის და ნაყოფის მომწიფების შემდეგ კვდება; 24. ამერიკის შტატი; 25. ფრანგი კინომსახიობი ქალი, ცხოველების დიდი ქომაგი; 26. ნორვეგიული ნაციონალური მუსიკალური სკოლის დამაარსებელი, კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი; 27. სავსებით სხვისი მსგავსი ადამიანი; 30. იტალიელი რეჟისორი, სოფი ლორენის მეუღლე; 32. მევალისათვის ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ნივთი, ქონება; 33. კურორტი — ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე; 35. ფრანგული თეატრის კომიკური პერსონაჟი მე-17-18 საუკუნეებში; 36. ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ძალით შეერთება; 39. ბიბლიური წინასწარმეტყველი; 40. ფარისეველი, ვერაგი ადამიანი, რომლისგანაც ყოველგვარი სისაძაგლეა მოსალოდნელი; 41. ძველებური აპარატი, რომელიც გადმოსცემს ფირფიტაზე ჩაწერილ ხმას; 42. მათემატიკის ნაწილი; 43. პატარა მტაცებელი ნადირი ძვირფასი ბეწვით.

თამარ ნემსიწვერიძე

---

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: ბიჭვინთა —
— მაინც დავბრუნდებით!

---

გადაეცა წარმოებას 15.08.96. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.96. ქაღალდის ზომა 60X90¹/₈, გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69.

ტირაჟი 1 000. შეკვეთა 915. ფასი სახელშეკრულებო.

**რედაქციის მისამართი:**

380008. თბილისი 8, რუსთაველის პროსპექტი 42.

ტელეფონები, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის — 99-54-66; პასუხისმგებელი რედაქტორის და განყოფილებათა გამგეების — 98-28-42

მხატვარი — ზაზა სვანიშვილი




უსიტყვოდ

— რა ხდება, მიწისძვრაა?!

— არა, მეზობელმა „დვიჟოკი" ჩართო.





• ულიფტობის პრობლემა გადაწყვეტილია.

„პოსტი"



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76056

№196/3
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფშავლის სიმღერა

მკვდარი ნურვისა გვგონივართ,
გრძნობა-მიხდილი ლეშია,
კიდევაც მიდუღს ვაჟასა
მთიური სისხლი მკერდშია.
რად-რა დავკარგავ იმედსა?
რად-რა ჩავიცვამ შავებსა?
რა მაქვს მე სამგლოვიარო,
ვენაცვლე შენსა თვალებსა?
ხანამ კი ვსუნთქავ ბედკრული,
შევყურებ მზეს და მთვარესა,
შენს სიბეჩავეს დავაცვეთ
ჩემს დაწყლულებულს მკლავებსა.
თუ გიღალატო, დედაო,
ნუმც დავიმარხო მთაშია,
ნუ დახვდან ვაჟის ფშავლისა
ხმალი სატირლის თავშია:
ნუ დამიტირონ ქალ-რძალმა
საკაცეზედა კარშია;
შავეთში გამგზავრებულსა
ცხენი წამექცეს გზაშია:
ქვეყნისგან შაჩვენებულმა,
ბინა დავკარგო ცაშია,
გამიწყდეს ბეწვის ხიდაი,
ჩავვარდე კუპრის წყალშია!

1886 წ.

